პარტნიორი მედია

# ლელო

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

1 სექტემბერი **ხუთშაბათი** 2011

№ 205 (13 502) ფასი 80 თეთრი

რეპორტაჟების სპონსორია გერმანული ლუდი ვარშტაინერი

როუმინგულ კავშირს უზრუნველყოფს GOODLINE




# ისტორიისთვის!

## და არა მხოლოდ

# 81



# 59



ვაჟა სიმონიშვილი კლაიპედიდან

## ბელგიას თბილისი კლაიპედაში ნავამნარეთ

8-9

## დღეს საქართველო რუსეთია

ეროვნული ბიბლიოთეკა

U 21. საქართველო-ესპანეთის წინ

# ესპანელებს სჯერათ. გაბელიასაც სჯერა: არის ერთი მაგრამ...



არჩილ გეგენავას ფოტო

## გასეირნება ქუთაისში

საქართველოსა და ესპანეთის ახალგაზრდულ ნაკრებთა 2013 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის ქუთაისში დანიშვნამ ადგილობრივები ძალიან გაახარა - დიდი ხანია, ქუთაისს საერთაშორისო მატჩისთვის არ უმასპინძლია. ჩამოსვლის დღეს კოპიტნარის აეროპორტში ესპანელებს ახალგაზრდების ჯგუფი დახვდა, რომელთაც სტუმრებმა ფოტოების გადაღებასა და ავტოგრაფებზე უარი არ უთხრეს. ესპანელებმა ქუთაისელებთან ფოტოსესია არც გუშინ იუარეს, როცა ნასადილევს ქალაქის ცენტრში გაისეირნეს, საღამოს კი ქუთაისის ცენტრალურ სტადიონზე ივარჯიშეს. მოედნის საფარიც მოეწონათ და ამინდიც. ესპანელებმა ვარჯიშს მხოლოდ ათი წუთი დაგვასწრეს და მაშინაც მხოლოდ მსუბუქი ვარჯიშით შემოიფარგლნენ. სტუმრების წვრთნამ დაახლოებით საათს გასტანა. ვარჯიშის შემდეგ ესპანელებმა ადგილობრივ გულშემატკივრებს სუვენირები ჩამოურიგეს, შემდეგ კი ჟურნალისტებისთვისაც მოიცალეს.

**ლუის მილია** (მთავარი მწვრთნელი): ,,რთული თამაში გველის. საქართველოს კარგი გუნდი ჰყავს, რომელსაც ნებისმიერი მეტოქისთვის შეუძლია სიურპრიზების შეთავაზება. შეხვედრას სრულ მზადყოფნაში ვხვდებით. ყველა ფეხბურთელი მწყობრშია. ტრავმა არავის აწუხებს. შესარჩევის პირველ შეხვედრას ვატარებთ და ვეცდებით, 3 ქულა ავილოთ, თუმცა ვიცით, რომ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები იოლად არაფერს დათმობს. რაც შეეხება მოედნის საფარს, ის მშვენიერ მდგომარეობაშია და ორივე გუნდს კარგი ფეხბურთის თამაშის საშუალება ექნება.

**ბარტა** (ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრებისა და "ბარსელონას" მცველი): ,,პირველი შთაბეჭდილებები კარგია. საქართველოში თბილად დაგვხვდნენ. კარგი ნაკრები გყავთ, ხორვატიას სტუმრად 1:0 მოუგო, რაც მის სიძლიერეზე მეტყველებს. საერთოდაც, ძლიერი ჯგუფია, შვეიცარია, ხორვატია, საქართველო სერიოზული მეტოქეები არიან. დღეს ნებისმიერს შეუძლია სიურპრიზის შემოთავაზება. ამიტომაც სრულად უნდა დავიხარჯოთ. ჩვენი გუნდი ყოველთვის მოსაგებად იბრძვის. ძლიერი და დაბალანსებული შემადგენლობა გვყავს, მთავარია, მთელი შემართებით ვითამაშოთ და ნებისმიერ მეტოქესთან შეგვიძლია გამარჯვება.

## თავდადება ჩვენი, ქომაგობა თქვენი

ესპანელები ჯერაც მოედანზე იყვნენ, როცა სტადიონზე ჩვენები გამოჩნდნენ. გულშემატკივრები **ოთარ გაბელიას** გუნდს ტაშით შეეგებნენ. ქართველების წვრთნაც, ჩვეულებრივ, მოთელვით დაიწყო, შემდეგ იყო კვადრატები, კარში დარტყმები, სხვადასხვა სათამაშო ნიუანსის დამუშავება. მეკარეთა მწვრთნელმა **დავით გვარამაძემ გიორგი მაკარიძე** და **თორნიკე ზარქუა** ცალკე დატვირთა. განსაკუთრებული ყურადღება გვარამაძემ გამოსვლაზე თამაშს დაუთმო. ბოლოს გაბელიამ ფეხბურთელები ორ გუნდად გაყო და მოედნის ნახევარზე ორკარა ათამაშა. ერთი შემადგენლობა ასეთი იყო: ზარქუა, იოსელიანი, ჯილაური, კვერკველია, კანდელაკი, თარხნიშვილი, ძალამიძე, შეყილაძე, მჭედლიძე, ჭანტურია; მეორეში კი იყვნენ მაკარიძე, კაკუბავა, კალანდაძე, აფაქიძე, ჯიშკარიანი, კვეკვესკირი, ყაზაიშვილი, ქობალია, ოქრიაშვილი, ბეგლარიშვილი. ქართველი ფეხბურთელები საკმაოდ ხალისიანად გამოიყურებოდნენ და ლაღადაც თამაშობდნენ. გაბელიაც ოპტიმისტურად არის განწყობილი და ჟურნალისტებს ჯერ კიდევ ვარჯიშის დაწყებამდე გაგვესაუბრა:

- ესპანეთის ნაკრების ძალაზე ლაპარაკიც ზედმეტია - ევროპის ჩემპიონია. მართალია, იმ გუნდიდან მხოლოდ ექვსი ფეხბურთელილაა დღევანდელ ნაკრებში, მაგრამ მათ, ჩვენგან განსხვავებით, მოთამაშეთა დიდი არჩევანი აქვთ და ახლაც არანაკლებ ძლიერი გუნდი ჰყავთ. ჩვენ რა კონტინგენტიც გვყავს, ვეცდებით, მათი შესაძლებლობები ბოლომდე გამოვიყენოთ და პირველიდან ბოლო წუთამდე ვიბრძოლოთ. თუ გვაჯობეს, რა გვეთქმის, მთავარია, რომ ცდა არ დავაკლოთ.

**- როგორ თამაშს ელოდებით?**

- თამაში, რა თქმა უნდა, რთული იქნება, მაგრამ ახალგაზრდებისთვის ეს კარგიცაა. ფეხბურთელი ძლიერ მეტოქეებთან თამაშში იძენს გამოცდილებას. შემდეგ კი ასეთი მოთამაშე ეროვნულ ნაკრებსაც გამოადგება.

**- როგორ საფეხბურთო ატმოსფეროს ელოდებით ქუთაისში?**

- ქუთაისი ჩემთვის უცხო ქალაქი არ არის, აქ ფეხბურთსაც ვთამაშობდი და მწვრთნელიც ვიყავი. ალბათ, სტადიონი გაივსება და საქართველოს ნაკრებს ქომაგობა არ მოაკლდება. თუ თამაში ჩვენთვის სასურველად არ წარიმართა, სწორედ იმ მომენტში დაგვჭირდება მხარდაჭერა და იმედია, ქუთათურები გვერდში დაგვიდგებიან. თამაში და მოგება რომ შეგვიძლია, ამაში ხორვატიის ნაკრების დამარცხებამ დაგვარწმუნა. მართალია, ესპანეთი უკეთესი გუნდია, მაგრამ ხორვატებსაც არანაკლებ კარგი გუნდი ჰყავდათ და დავამარცხეთ. მთავარია, ბიჭების თავდადება და გულშემატკივრების აქტიურობა.

**- ყველა ფეხბურთელი მწყობრშია?**

- მიკროტრავმები აქვთ კაკუბავას და მჭედლიძეს, თუმცა სერიოზული არაფერია. ორივე სრული დატვირთვით ემზადება ხვალინდელი მატჩისთვის. ხვალ დილით, მოთელვისას ვნახავთ, რა მდგომარეობაში იქნებიან.

**- თქვენთვის ფრე თუ იქნება მისაღები შედეგი?**

- კარგად უნდა ვითამაშოთ და ბოლომდე ვიბრძოლოთ. ევროპის ჩემპიონებთან ფრე მისაღებია, მაგრამ მოგებასაც უნდა ვეცადოთ. აბა, ყველასთან და ყოველთვის ესპანეთმა ხომ არ უნდა გაიმარჯვოს?!

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან



დავით კოხრეიძის ფოტო

ლეგიონერი



გიორგი ჭანტურია (მარჯვნივ)

# გიორგი ჭანტურია
# ყველაფერი გასაგებია, გაუგებარი არაფერია

**გიორგი ჭანტურია უკვე ჰოლანდიის ერედივიზიონის "ვიტესის" ძირითადი შემადგენლობის სრულუფლებიანი წევრია, ამჟამად კი აქ არის და საქართველო- ესპანეთის ახალგაზრდულ ნაკრებთა დღევანდელი მატჩისთვის იმედიანად ემზადება.**

**- როგორც იქნა, "ვიტესში" თამაშობ და გოლიც გაიტანე. ერთწლიანი უთამაშებლობის პერიოდში რა იყო შენთვის ყველაზე ძნელი?**

- ლოდინი. ველოდებოდი, როდის გავხდებოდი 18 წლის და მომცემდნენ თამაშის უფლებას. გუნდთან ერთად კი ვვარჯიშობდი, მაგრამ შაბათ-კვირას მხოლოდ ტრიბუნაზე ვიჯექი და გუნდს ვერ ვეხმარებოდი. საბედნიეროდ, ეს ყველაფერი დასრულდა და, რაც მთავარია, ჰოლანდიური კარიერა კარგად დავიწყე.

**- შენი ასაკის ფეხბურთელებს მცირე წარმატებაც ჰყოფნით და შექება მათზე ხშირად ცუდად მოქმედებს. ოთარ გაბელიაც დარდობდა, "ვიტესის" სტადიონზე გამოფენილმა წარწერამ - "ჭანტურია ჩვენი მესია" - გიორგიზე ცუდად არ იმოქმედოსო.**

- კარგად მესმის ბატონი ოთარის, მსგავსი რამ მართლაც ბევრჯერ მომხდარა, მაგრამ მე გაჩერება კი არა, წინსვლა და წარმატებების მიღწევა მინდა. ეს პლაკატი ჩემთვის სტიმული იყო და მეტი არაფერი. აბა, ახლა რა ტიტულები მაქვს, ან თავში რა უნდა ამივარდეს, როდესაც ჰოლანდიაში ჯერ მხოლოდ ერთი გოლი გავიტანე...

საერთოდ, მე მცირედი არ მაკმაყოფილებს, მინდა ვიყო ინიციატივიანი, ყველა თამაშისას კონცენტრირებული, რათა პირველივე სეზონში გამოვიჩინო თავი. ეს არის ჩემთვის სტიმული, რომლის გამოც ვარჯიშებსა და თამაშებზე ორმაგად მონდომებული ვარ.

**- ახლა "ვიტესში" შენი მეგობარი ვაკო ყაზაიშვილიც ჩარიცხეს და პასის მიმცემიც გეყოლება.**

- ყაზაიშვილი უსიტყვოდ მიგებს და მისი გადმოსვლა ძალიან მახარებს. ჩემი თქმა საჭიროც არ არის, ყველამ იცის, რომ ის გამორჩეული ნიჭის მოთამაშეა და მიმაჩნია, რომ "ვიტესს" გამოადგება. ფიზიკურადაც ძლიერია და პასიც მშვენივრად ეხერხება. ერთად ბევრ კარგს შევძლებთ, იმედია, უპირველესად, საქართველოს ნაკრებისთვის.

საერთოდ კი, კარგ გუნდში ვარ, სადაც ყველა პოზიციაზე მაღალი კლასის მოთამაშეები არიან. თუმცა ჯერ ახალგაზრდული გუნდია, მისი შენება ახლა დაიწყო, გაზრდა, გამოცდილება გვჭირდება, პირველივე სეზონში დიდი მიზნებისთვის ვერ ვიბრძოლებთ.

**- წლევანდელ სეზონში რას უმიზნებთ?**

- ევროპის ლიგაზე მოხვედრას.

**- "ბარსელონას" მესამე გუნდიდან ჰოლანდიის უმაღლეს დივიზიონში აღმოჩნდი. ყმაწვილებიდან უფროსებში გადართვა არ გაგიჭირდა?**

- ადაპტაციის პრობლემა არასოდეს მქონია. პირიქით, ამ დროს განსაკუთრებულად მობილიზებული და მონდომებული ვხდები.

**- ახალგაზრდულ ნაკრებში მომხდარი უსიამოვნებაც წარსულს ჩაბარდა...**

- ამის გახსენება და დეტალებზე ლაპარაკი აღარც მსურს. ცხოვრებაში ყველაფერი ხდება, მთავარია, გაბელიამ ყველაფერი დაივიწყა, გაუგებრობა დასრულდა და ნაკრებში კვლავ გამომიძახა. მწვრთნელსა და მოთამაშეს შორის რომ უნდა იყოს, ახლა ასეთი ურთიერთობა გვაქვს.

**- ესპანეთის ნაკრებიდან რომელიმე მოთამაშეს იცნობ?**

- ხუთ ფეხბურთელს ვიცნობ, რადგან "ბარსელონაში" ერთად ვთამაშობდით და ვიცი, ვის რა შეუძლია. ეს ცოდნა მათ წინააღმდეგ თამაშში დამეხმარება, მაგრამ თავადაც მიცნობენ და თუ ბატონი ოთარი მათამაშებს, ჩემ წინააღმდეგ ისინიც მომზადებულები გამოვლენ. მეც ძალიან მაინტერესებს, რა შემიძლია - ეს ქუთაისის შეხვედრაში გამოჩნდება.

**- მრჩება შთაბეჭდილება, რომ ესპანელთა ძალას სათანადოდ ვერ ვაფასებთ.**

- მე ასე ვიტყოდი: ეს არის არა დაუფასებლობა, არამედ ბრძოლის სურვილი. დღეს ფეხბურთი ისე განვითარდა, ბრძოლა ყველასთან შეიძლება. ესპანეთი ჩვენთან ფავორიტია, მაგრამ საქართველოში ვთამაშობთ, ჩვენი მაყურებელი გაგვამხნევებს და მეტი მოგვეთხოვება. ბიჭები კი მონდომებულები ვართ, რადგან თავის გამოჩენა ყველას გვინდა. თუ მწვრთნელის დავალებებს კარგად შევასრულებთ და ერთსულოვნები ვიქნებით, ალბათ, შედეგს მივაღწევთ. წინასწარ ლაპარაკი წესი არც არის, მხოლოდ ერთს ვიტყვი — მოგებისთვის მაქსიმუმი უნდა გავიღოთ.

**მერაბ მამულაშვილი**

ფიზკულტურულ-სპორტული კლუბი „დინამო" და ვეტერან მოჭიდავეთა კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი ვეტერანი ფეხბურთელი, სსრ კავშირის ჩემპიონი და არაერთგზის პრიზიორი

**ჯემალ ზეინკლიშვილი**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**
გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაობა მოდის

# თორნიკე ოქრიაშვილი: იმედი? დიახ!



დღევანდელი მატჩი ქუთაისში საქართველოსა და ესპანეთის ახალგაზრდულ ნაკრებებს შორის ლაკმუსის ქაღალდის როლსაც შეასრულებს - ვნახავთ, რეალურად რა შეუძლია იმ თაობას, რომელიც ჩვენს ფეხბურთში თანდათან იმკვიდრებს ადგილს. გუშინდელი ყმაწვილები დღეს უკვე დიდ ფეხბურთში არიან, საუკეთესოები ახალგაზრდულ ნაკრებში მოხვდნენ და ევროშესარჩევის პირველ შეხვედრაში ხორვატიას მისსავე მოედანზე 1:0 მოუგეს.

წარმატებული სტარტით შეგულიანებული ქართველი ახალგაზრდები ესპანელებთან მატჩებამდეც იმედიანად არიან. მარიუპოლის "ილიჩივეცის" ცენტრალური ნახევარმცველი **თორნიკე ოქრიაშვილის** კომენტარიც ამაზე მეტყველებს:

*"ძალიან ძლიერი მეტოქე გვყავს, ესპანეთის ძალა ყველას მოეხსენება. მაგრამ მიმაჩნია, რომ ჩვენს თაობასაც ბევრი შეუძლია, საკმაოდ კარგად შეთამაშებული, მებრძოლი ნაკრები გვყავს და მოგების იმედიც მაქვს. ვნახოთ, რა გამოვა, ჩვენ კი საამისოდ ყველაფერს გავაკეთებთ"* – ამბობს ოქრიაშვილი.

მერაბ მამულაშვილი

ტორპედო

# მირცხულავა: ქუთაისი, ლისაბონი, ქუთაისი

## სეთურიძე რუსთავს დაუბრუნდა

ქუთაისის "ტორპედოს" ოფიციალურმა ვებგვერდმა საყურადღებო საკადრო ცვლილებების თაობაზე გვაუწყა. გუნდი დატოვა საქართველოს ნაკრების ყოფილმა წევრმა **გიორგი სეთურიძემ**. 26 წლის ფლანგის ნახევარმცველმა ახალ კლუბთან კონტრაქტს მოაწერა ხელი - ის ამიერიდან რუსთავის „მეტალურგში" ითამაშებს, სადაც ორი წლის წინაც გამოდიოდა.

მორიგი სიახლე კი გუნდის გულშემატკივრებს უთუოდ გაახარებს - „ტორპედო" ქუთაისის ფეხბურთის აღზრდილით, ლისაბონის "ბენფიკას" სარეზერვო შემადგენლობის ვიცე-კაპიტან **ბაქარ მირცხულავათი** გაძლიერდა.



ბაქარ მირცხულავა

ტანმაღალი (184 სმ) ცენტრალური მცველი პორტუგალიაში ორი წელი თამაშობდა, მაგრამ იქ საქმეები ისე ვერ აეწყო, როგორც სურდა, თუმცა კლუბში მოწყობის იმედად იყო ზაფხულშიც, როდესაც თბილისის "დინამო" დაუკავშირდა და მაშინ საქართველოში დაბრუნება არ ისურვა.

მირცხულავა საქართველოს 17 და 19-წლამდელთა ნაკრებებში **საბა კვერკველიას** მეწყვილე იყო, "ბენფიკას" დუბლებში შეუცვლელად თამაშობდა, **ოთარ გაბელიამ** ახალგაზრდულ ნაკრებშიც გამოიძახა რამდენჯერმე, მაგრამ, ცხადია, ზაფხულში უგუნდოდ დარჩენილი აღარ მიუწვევია.

19 წლის ცენტრალურმა მცველმა ქუთაისის "ტორპედოსთან" კონტრაქტი ოფციონის (2+3) წესით გააფორმა.

მერაბ მამულაშვილი

ხმები და რეალობა

# ტორპედო ოფიციალურად: მწვრთნელები რჩებიან

ქუთაისის "ტორპედომ" ეროვნული ჩემპიონატი წარუმატებლად დაიწყო: სამი ტურის შემდეგ ქუთათურებს მხოლოდ სამი ქულა აქვთ, ერთი მატჩი მოიგეს და ორი წააგეს.

ცხადია, ამბიციური კლუბისგან გულშემატკივრები და პატრონები გაცილებით მეტს ელოდნენ და, ეტყობა, ამიტომაც გავრცელდა ხმები, "ტორპედოს" ხელმძღვანელები ზაფხულში დანიშნულ მთავარ მწვრთნელ **გიორგი კიკნაძესა** და მის ასისტენტ **ზაზა ზამთარაძეს** შემოსწყრნენ და გათავისუფლებას უპირებენო. მეტიც, იმასაც ამბობენ, ქუთათურთა თავკაცებმა "ზესტაფონის" ყოფილ მთავარ მწვრთნელ **გია გეგუჩაძესთან** დაიწყეს მოლაპარაკებაო. თუმცა გუშინ გუნდის პრესსამსახურმა ეს ხმები უარყო.

*"ბოლო პერიოდში ვრცელდება ხმები ქუთაისის „ტორპედოს" სამწვრთნელო შტაბში მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ. საფეხბურთო კლუბი ქუთაისის „ტორპედო" ოფიციალურად აცხადებს, რომ გიორგი კიკნაძე და ზაზა ზამთარაძე მოქმედი კონტრაქტის საფუძველზე აგრძელებენ მუშაობას და ამზადებენ გუნდს ეროვნული ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრისთვის"* - იუწყება "ტორპედოს" პრესსამსახური.

მერაბ მამულაშვილი



საფეხბურთო კლუბი „დინამო" თბილისი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს გუნდის „ოქროს თაობის" წარმომადგენლის, 1964 წლის ჩემპიონის

ჯემალ ზეინკლიშვილის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

სიახლე

# საკუთარი აკადემია, ახალი ფორმები და სხვა...

ახალი საფეხბურთო სეზონის დაწყებას „ვიტ ჯორჯია" არაერთი სიახლით შეხვდა: სამწლიანი პაუზის შემდეგ გუნდი საშინაო მატჩებს მშობლიურ სტადიონზე, მცხეთაში მდებარე განახლებულ, კეთილმოწყობილ და ახალსაფრიან „მცხეთა-პარკზე" ატარებს; სახე იცვალა კლუბის ვებგვერდმა და აი, გუშინ კიდევ სხვა საინტერესო ამბებიც შევიტყვეთ. არახალი ამბავია, რომ 1998 წლის დასაწყისში დაარსებულ კლუბს მართლაც „განსაკუთრებული" და სხვებისგან განსხვავებული სტრატეგია აქვს შემუშავებული; ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ამ 13 წლის განმავლობაში კლუბის სატრანსფერო პოლიტიკა უცვლელი რჩებოდა და ძირითადი გუნდი თითქმის ასი პროცენტით კლუბის აღზრდილებით კომპლექტდებოდა. ამ ყველაფერმა კი ის შედეგი მოიტანა, რომ კლუბის უცვლელი პრეზიდენტის, **გურამ რუხაძისა** და ასევე უცვლელი დირექტორის **მალხაზ კაკაურიძის** ძალისხმევით „ვიტ ჯორჯია" საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ და სტაბილურ კლუბად ჩამოყალიბდა. საქართველოს ორგზის ჩემპიონი, თასისა და სუპერთასის მფლობელი გუნდი ტრადიციას არც ახლა ღალატობს და კლუბის ოფისში მოწყობილ გუშინდელ პრეზენტაციაზე შევიტყვეთ, რომ ამიერიდან „ვიტ ჯორჯიას" საკუთარი აკადემია ეყოლება! პრეზენტაციაზე მოწვეული იყო „ვიტ ჯორჯიას" 1996 წელს დაბადებულთა გუნდი, რომელიც ახალი შექმნილია და ეროვნული ჩემპიონატის ჭაბუკთა ლიგის უმცროს ჯგუფში იასპარეზებს. იმასაც ვიტყვით, რომ „ვიტ ჯორჯიას" აქამდე უკვე ჰყავდა 17 და 15-წლამდელთა გუნდები; ანუ, ამიერიდან აკადემიაში სამი ასაკობრივი გუნდი ეყოლება. პრეზენტაციაზე წარმოდგენილი იყო გუნდის ახალი ფორმებიც, - განახლებული დიზაინი, რომელსაც კლუბის სპონსორების ლოგოები („ზოოპლაზა", „ჰილსი", „ენერვიტი") ამშვენებს. პრეზენტაციას უძღვებოდნენ კლუბის პრეზიდენტი გურამ რუხაძე, დირექტორი მალხაზ კაკაურიძე, „ვიტ ჯორჯიას" ძირითადი გუნდის მთავარი მწვრთნელი **ზურაბ ბერიძე** და 1996 წელს დაბადებულთა მწვრთნელი **გიორგი ბუაძე.**





ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

**გურამ რუხაძე**: „აკადემიის ჩამოყალიბება „ვიტ ჯორჯიასთვის" ძალიან მნიშვნელოვანია, რამეთუ ის წარმოადგენს კლუბის წარმატებულად მუშაობის ფუნდამენტს. კლუბში ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის ახლახან დაახლოებით 2 მილიონი ლარი დაიხარჯა, რეკონსტრუქცია გაუკეთდა ჩვენს სტადიონს მცხეთაში; გარდა ამისა, იქვე შევიძინეთ 3 ჰექტარი მიწა და ახლა უკვე 5 ჰექტარია ჩვენს განკარგულებაში ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარებისათვის. იქითკენ მივდივართ, რომ ინტერნატის ტიპის აკადემია შევქმნათ; მოგეხსენებათ, „ვიტ ჯორჯია" ტრადიციულად საკუთარ კადრებს ეყრდნობა, თუმცა არის ისეთი გამონაკლისებიც, როცა სხვა გუნდებიდან მხოლოდ ახალგაზრდა ფეხბურთელები მოგვყავს. ჩვენი ასაკობრივი გუნდები „ულსპორტის" ეკიპირებით შეიმოსებიან — ეს გერმანული კომპანია ჩვენი ტექნიკური სპონსორია და ამ ნაწარმით სარგებლობენ „კაიზერსლაუტერნი", „მიუნხენ-1860", „ვალენსიენი". ამას გარდა, გავაფორმეთ ახალი კონტრაქტი ცნობილ კომპანია „ერერვიტთან" — გეცოდინებათ, რომ ეს ფირმა ბოლო წლებში „მილანის" ერთ-ერთი სპონსორი იყო".

**მალხაზ კაკაურიძე**: „1996 წელს დაბადებულთა გუნდის შექმნა ჩვენთვის კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია. ჭაბუკთა ლიგაში ეს გუნდი აუცილებლად ლიდერებში უნდა იყოს".

**ზურაბ ბერიძე**: „მსურს დაგარწმუნოთ, რომ „ვიტ ჯორჯიას" ძირითადი გუნდის კარი ყოველთვის ღიაა ნიჭიერი, შრომისმოყვარე და ამ კლუბის ერთგული ფეხბურთელებისათვის. დამსახურებას არავის დავუკარგავთ და ჭაბუკთა ლიგაში ჩვენი გუნდის ასპარეზობას მუდამ დიდი ყურადღებით დავაკვირდებით".

**გიორგი ბუაძე**: „დიდი მადლობა „ვიტ ჯორჯიას" ამ ახალი პროექტისათვის. ყველანი მონდომებულები ვართ და მჯერა, რომ ჭაბუკთა ლიგაში მოწინავე გუნდი ვიქნებით."

ზურაბ ჩიტიშვილი

ლეგიონერი

# მთავარი დასაწყისი კი არა, გაგრძელებაა

## ძალამიძე და ვარიანტები

**ნიკა ძალამიძე პოლონეთის ექსტრაკლასას ლოძის "ვიძევში" მოსკოვის ცსკა-ს სარეზერვო შემადგენლობიდან მოხვდა. ახალ გუნდს იოლად შეეწყო და ძირითადშიც დამკვიდრდა. პოლონურ კლუბ "იაგელონიას" (რომელმაც ახლახან მერაბ გიგაური აიყვანა) ვებგვერდი წერს, ძალამიძის ნიჭიერებამ განაპირობა ის, რომ პოლონელებმა საქართველოსკენ გაიხედეს და ტალანტებს იქ ეძებენო...**



- მიხარია, ქართველებზე ასე თუ ფიქრობენ. თუმცა, ყველა ჩვენგანმა იცის, რომ ნიჭიერი ბიჭები ყოველთვის გვყავდა და ახლაც გვყავს. თავად ზუგდიდელი ვარ, სადაც მუდამ იზრდებიან გამორჩეულად ნიჭიერი ფეხბურთელები. ასევეა მთელ საქართველოშიც და მათ კარგი სავარჯიშო პირობები რომ ჰქონდეთ, ქართული ფეხბურთი სულ სხვა დონეზე იქნებოდა. კარგია, რომ ბოლო დროს სტადიონების მოვლა დაიწყეს, გუნდებსაც თუ მიხედავენ, ჩვენი პოტენციალი უკეთ გამოჩნდება.

პოლონელთა ქება კი დიდ პასუხისმგებლობას მაკისრებს. ძალიან გამიმართლა, გუნდს ასე იოლად რომ შევეწყვე და იღბლიანი დასაწყისიც მქონდა, მეორე თამაშში გოლიც გავიტანე და საგოლე პასიც გავაკეთე. ამის მერე ყველაფერი კარგად მიდის და იმედია, უკეთესად გაგრძელდება. მთავარი სწორედ ესაა და არა თუნდაც კარგი დასაწყისი. წლეულს ხუთიდან ოთხ მატჩში ძირითადში ვითამაშე, ერთხელ კი შეცვლაზე შევედი, გოლი გავიტანე და ორჯერ სიმბოლურში მოვხვდი.

**- "ვიძევისა" და და პოლონეთის ჩემპიონატის დონეზე გვითხარი.**

- არ ვიცი, ქართველ გულშემატკივარს პოლონეთის ჩემპიონატზე როგორი წარმოდგენა აქვს, მაგრამ იქ საკმაოდ სწრაფ ფეხბურთს თამაშობენ, მატჩებზე ბევრი მაყურებელი მოდის, სტადიონები კი ისეთი მოწყობილია, თამაში გესიამოვნება.

სხვათა შორის, ქართველები უყვართ, ქუჩაში რომ გავდივარ, ყურადღებას ვგრძნობ, კარგად მხვდებიან.

**- ახლა უკვე "ვიძევს" ეკუთვნი?**

- ჯერ იჯარით ვთამაშობ, რომლის ვადაც დეკემბერში იწურება, მაგრამ პოლონელებს კონტრაქტის გამოსყიდვის უფლება აქვთ და ეს სურთ კიდეც. "ზაიას" არც ისე დიდი თანხა ეკუთვნის, მაგრამ გუნდს ფინანსურად უჭირს და არ ვიცი, შეძლებს თუ არა გამოსასყიდი თანხის გადახდას. თუ მოახერხებენ, გუნდში დავრჩები, თუ ვერა, სხვა ვარიანტებიც არის.

**- პოლონეთში თუ სხვა ქვეყნებში?**

- პოლონეთში "ვიძევზე" უკეთესი კლუბები მიწვევენ, თუმცა ჯერ კონკრეტულად ვერაფერს გეტყვით.

**- მომავალ მატჩზეც ვთქვათ: ესპანეთის ნაკრებზე რა იცი?**

- ევროპის ჩემპიონია, ესპანური ფეხბურთი კი დღეს მსოფლიოში საუკეთესოა და ამით ყველაფერია ნათქვამი. სხვა თუ არაფერი, მათი მოთამაშეების უმრავლესობა მსოფლიოში საუკეთესო ლიგაში, პრიმერადივიზიონში გამოდის.

თუმცა, არც ჩვენ გვყავს ცუდი ნაკრები, კარგი თაობაა და საინტერესო მატჩის მოლოდინში ვარ. სახლში მოსაგებად კი ყველაფერი უნდა ვილონოთ.

მერაბ მამულაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

● მსაჯთა საფიხვნო.
ინტერვიუ ლევან ფანიაშვილთან

# თანამედროვე ტექნოლოგიების მოლოდინი



ერთი კვირის წინათ იყო „ლელომ“ ახალი რუბრიკა რომ შემოგთავაზათ; მაშინაც ალვნიშნეთ და დღესაც „შეგახსენებთ“, თუ რამდენად აქტუალურია ნებისმიერ საფეხბურთო ქვეყანაში სამსაჯო თემა. როგორც დაგპირდით, ამ თემაზე სასაუბროდ ყველაზე ხშირად საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სამსაჯო განყოფილების უფროსს ლევან ფანიაშვილს „შევაწუხებდით“. ისე როგორც ერთი კვირის წინათ, ჩვენი რუბრიკის სტუმარი ლევან ფანიაშვილი გახლავთ, ვისაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში შევხვდით და რამდენიმე მეტ-ნაკლებად საჭირბოროტო საკითხზე ვესაუბრეთ.

**— ერთი კვირის წინათ, ჩვენი გაზეთისათვის მიცემულ ინტერვიუში სეზონის დაწყებიდან ჩვენი მსაჯობის მუშაობა დადებითად შეაფასეთ. საქართველოს ჩემპიონატის ბოლო ტურის შემდეგაც იმავე აზრის ხართ?**

— ვხვდები, რომ ტურის ცენტრალურ მატჩში მომხდარ იმ ეპიზოდზე უნდა ვისაუბროთ, როცა „ზესტაფონის“ ფეხბურთელმა „დინამოს“ კარში პირველი გოლი გაიტანა.

**— რა თქმა უნდა! ტრიბუნიდან, შესაძლოა, გარკვევით არ ჩანდა, მაგრამ ტელემაყურებელმა აშკარად ნახა, რომ გორგიაშვილის დარტყმის მერე ბურთს „დინამოს“ კარის ხაზი არ გადაუკვეთავს. არადა, გოლი ჩაითვალა...**

— გეთანხმებით, — სხვადასხვა კამერით გადაღებულ კადრებში აშკარად ჩანდა, რომ გოლი არ იყო. ასეთ დროს ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება, თუ სად დგას მსაჯის ასისტენტი და მინდა გითხრათ, რომ სწორი პოზიცია ეკავა. სამწუხაროდ, ასეთ შემთხვევებში მხოლოდ და მხოლოდ 100 პროცენტით თუ არა ხარ დარწმუნებული იყო, თუ არა გოლი, სჯობს გადაწყვეტილების მიღებისაგან თავი შეიკავო და თამაში გააგრძელო.

**— ანუ, ასისტენტის შეცდომას თქვენც აღიარებთ, თან იმასაც ამბობთ, რომ სწორი პოზიცია ჰქონდა შერჩეულიო...**

— კიდევ ვიმეორებ: სამწუხაროა, რომ ასე მოხდა, თუმცა მსგავსი შეცდომებისგან დაზღვეული არავინ არის; აბა, გაიხსენეთ შარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონატი, როცა ინგლისელებს, ფაქტობრივად, 100-პროცენტიანი გოლი არ ჩაუთვალეს გერმანელებთან მატჩში; ალარაფერს ვამბობ 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ შეხვედრაზე. მოკლედ, „დინამო“-„ზესტაფონის“ მატჩმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა ყველა, რომ თანამედროვე ფეხბურთში აუცილებელია უახლოესი ტექნოლოგიების დანერგვა.

**— ამ მართლაც აქტუალურ თემას აუცილებლად დავუბრუნდებით, მანამდე კი ისევ „დინამო“-„ზესტაფონის“ მატჩზე გვინდა გკითხოთ. შეხვედრის არბიტრი სწორად მოიქცა, როცა ის გოლი ჩათვალა?**

— სხვათა შორის, ვიდრე არბიტრი ცენტრისკენ მიუთითებდა, თუ შეამჩნევდით, მცირე პაუზაც გააკეთა. ასეთ დროს არბიტრი ასისტენტის გადაწყვეტილებას ეყრდნობა, მაგრამ თვითონ რომ დაენახა ბურთს კარის ხაზი არ გადაუკვეთავს, მერწმუნეთ, გოლს არ ჩათვლიდა.

**— ამავე შეხვედრაში სხვა სადავო ეპიზოდებიც იყო: კახელიშვილის გოლი თამაშგარე მდგომარეობის გამო გაუქმდა, დინამოელთა მეორე გოლის დროს კი ზოგი ამტკიცებდა, რომ დარტყმის მომენტში ჩისკო ოფსაიდში იმყოფებოდა.**

— ორივე ეპიზოდში მსაჯებმა აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილება მიიღეს და ამ პრეტენზიებზე ვერავის დაგეთანხმებით.

**— გასულ ტურში კიდევ ერთ მატჩში მოხდა სადავო ეპიზოდი: „მეტალურგი“-„სპარტაკის“ შეხვედრისას, ბოლო წუთზე სტუმრებმა გოლი გაიტანეს, მაგრამ ასისტენტმა „თამაშგარე მდგომარეობა“ დაფიქსირა.**

— პირველი არხის „საფეხბურთო მიმოხილვაში“ ვნახე ეს ეპიზოდი, თუმცა იმ მატჩის მსაჯთა დამკვირვებლის ინფორმაციით, ასისტენტმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო.

**— „სპარტაკის“ წარმომადგენლებს მატჩის შემდეგ ან მერე ამ ეპიზოდის გამო პრეტენზია არ გამოუთქვამთ?**

— მსგავსი არაფერი გაგვიგია...

**— ახლა კი ზემოთნახსენებ ახალი ტექნოლოგიების დანერგვაზეც ვისაუბროთ.**

— ამ მხრივ ექსპერიმენტები დაწყებულია და კვლავაც გაგრძელდება: ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ და მომავალი წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპებზეც კარების უკან ასისტენტები კვლავაც იქნებიან. ანუ, ხუთმსაჯიანი ბრიგადები ნელ-ნელა მკვიდრდება და ნუ გამოვრიცხავთ, რომ კარს უკან მდგომი ასისტენტები მსოფლიოს ჩემპიონატზეც ვიხილოთ.

**— სხვა ტექნოლოგიებზე სიახლე არაფერია? ვგულისხმობთ ვიდეოგამეორებებს, ბურთში ჩამონტაჟებულ ჩიპებსა და ასე შემდეგ.**

— უახლოესი 1-2 წლის განმავლობაში ბევრი რამ შესაძლოა შეიცვალოს: რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ერთდროულად 8 კომპანია მუშაობს ამ საკითხებზე, შემდეგ ყველაფერი ფიფა-ს გადაეცემა და ეს ძვირადღირებული, მაგრამ მართლაც საჭირო ტექნოლოგიური სიახლეებიც შესაძლოა დროთა განმავლობაში დაინერგოს.

**— თემას გადავუხვევთ და კვლავაც საქართველოს ჩემპიონატს დავუბრუნდებით; ოლონდ, ამჯერად პირველი ლიგის გათამაშებაზე გვინდა გკითხოთ, — გაშუქების მხრივ უმაღლეს ლიგასთან შედარებაც არ შეიძლება და, აქედან გამომდინარე, მსაჯობის საკითხიც გვაინტერესებს.**

— სხვათა შორის, პირადად ვარ დამკვირვებელი პირველი ლიგისა თუ დუბლების თამაშებზე და მინდა გითხრათ, რომ ნორმალური მსაჯობაა. თანაც, არ დაგავიწყდეთ, ამ ორივე ტურნირს ძირითადად ახალგაზრდა მსაჯები ემსახურებიან და ბევრი მათგანი ტურიდან-ტურამდე პროგრესირებს. მათი პროფესიული ზრდა კი ჩვენთვის შეუმჩნეველი არ რჩება და 2012 წლიდან ზოგიერთს შესაძლოა უმაღლესი ლიგის მატჩებიც ვანდოთ.

**— დაბოლოს, ევროტურნირების, კერძოდ, ევროპის ლიგის პლეი ოფის მატჩებზეც გვაინტერესებს თქვენი აზრი. კერძოდ, „ზესტაფონი“-„ბრიუგესა“ და „დინამო“-აეკ-ის მატჩების არბიტრთა რამდენიმე საკამათო გადაწყვეტილებას როგორ შეაფასებდით?**

— კონკრეტულად რომელ ეპიზოდებს გულისხმობთ?

**— აი, თუნდაც ჯაბა დვალი რომ წააქცია ბელგიელთა მეკარემ საკუთარ საჯარიმოში; ან ბელგიელთა პირველ გოლზე, — ტრიბუნიდან თამაშგარეს რომ წააგავდა.**

— რა თქმა უნდა, ყველა ქართველის სურვილი იყო, რომ ორივე ჩვენი გუნდი ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრილიყო. რაც შეეხება თქვენ მიერ ნახსენებ ეპიზოდებს, ორივე შემთხვევაში არბიტრმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო.

**— „დინამო“-აეკ-ის მატჩის არბიტრზე რას გვეტყოდით?**

— სამწუხაროდ, ეს შეხვედრა არ მინახავს, — საქართველოში არ ვიმყოფებოდი, თუმცა, რამდენიმე კოლეგისაგან მოვისმინე, რომ არბიტრს თავიდანვე სიმკაცრე უნდა გამოეჩინა და მერე, ალბათ, იმ შეხვედრის მონაწილენი ნერვებსაც მოთოკავდნენ. თუმცა, კიდევ ვიმეორებ, რომ ამ მატჩს არ დავსწრებივარ და, აქედან გამომდინარე, კონკრეტულად ვერ ვილაპარაკებ.

**გია ტუხაშვილი**

● საკონტროლო მატჩი

# ინტერნაციონალური ჩვენებურებით

უკვე ერთი კვირაა თბილისში საწვრთნელ შეკრებაზე იმყოფება ბაქოს „ინტერი“; შეგახსენებთ, რომ დსთ-ს თასის წლევანდელი გამარჯვებულისა და აზერბაიჯანის შარშანდელი ჩემპიონი გუნდის მთავარი მწვრთნელი **კახა ცხადაძე** გახლავთ მისი ასისტენტია **გიორგი ჩიხრაძე,** ხოლო ნამყვან ფეხბურთელებად ჩვენებურთა „კვარტეტი“ მიიჩნევა — **გიორგი ლომაია, ილია კანდელაკი, ვალერი აბრამიძე** და **ბაჩანა ცხადაძე.** „ინტერი“ თბილისის მართლაც კომფორტულ სასტუმრო „ბომონდ-გარდენშია“ დაბინავებული და აი, გუშინ კახა ცხადაძის გუნდმა პირველი საკონტროლო მატჩი ჩაატარა გორის „დილასთან“. ეს მატჩი მცხეთაში, განახლებულ „მცხეთა-პარკზე“ ჩატარდა და დაახლოებით ასამდე მაყურებელმა მეტად საინტერესო მატჩიც იხილა. თანაც, გავუსწრებთ მოვლენებს და ვიტყვით, რომ ორი აბსოლუტურად განსხვავებული ტაიმი ვნახეთ: პირველ ტაიმში „ინტერი“ მეტ-ნაკლებად ოპტიმალური შემადგენლობით ასპარეზობდა და სოლიდური უპირატესობაც ჰქონდა; აი, შესვენების შემდეგ კი, როცა აზერბაიჯანულ გუნდში ძირითადი შემადგენლობის ორიოდე ფეხბურთელიღა (მათ შორის, რაღა თქმა უნდა, გიორგი ლომაია) დარჩა, ტერიტორიული და სათამაშო უპირატესობა მთლიანად „დილას“ მხარეს გადავიდა. თუმცა, სჯობს ყველაფერს თანმიმდევრობით მივყვეთ და უპირველესად, გუნდების შემადგენლობებს გაგაცნობთ.

„დილა“ (4-3-3): **შეყრილაძე-ლომიძე, ბაქრაძე, ქარქუზაშვილი, გველესიანი-ნემსაძე, ვ. ხორგუაშვილი, პ. ხორგუაშვილი-რაჟამაშვილი, ი. ბერაია, გოგინაშვილი**

*შეცვლაზე შევიდნენ:* ***დ. ჩაგელიშვილი, ლ. ჩაგელიშვილი, ჯოჯუა, გ. თოდუა, ჭითანავა, ახალკაცი, ნ. ნოზაძე, ცარიელაშვილი, მურადაშვილი***

„ინტერი“ (4-2-3-1): **კრამარენკო-დაშდემიროვი, ასიოლი, ხრაპანი, კანდელაკი-მირილი, რაგიმოვი-მამედოვი, ზლატინოვი, აბდულოვი-კარლსონსი**

*შეცვლაზე შევიდნენ:* ***აბასოვი, მუსტაფაევი, ფოლადოვი, გაჯიევი, ზარგაროვი, ჩერვენკა, ცხადაძე.***



პავლე ხორგუაშვილი (მარცხნივ) და ილია კანდელაკი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

აქვე, ისიც უნდა ვთქვათ, რომ „ინტერს“ ტრავმების გამო **ვალერი აბრამიძე, ვლადიმერ ლევინი** და **ენიო კრასტოვჩევი** (ბულგარეთი) აკლდა, ხოლო ორი ბრაზილიელი ლეგიონერი (**სოუზა, და როჩა**) გუნდს სულ ახლახან შეუერთდა და „დილას“ წინააღმდეგ არ უასპარეზიათ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პირველი ტაიმი „ინტერის“ სრული უპირატესობით წარიმართა და ლატვიის ნაკრების ცენტრფორვარდის, 30 წლის **გირტს კარლსონსის** „დუბლი“ ლოგიკურიც გახლდათ. კარლსონსის გარდა ბევრს აქტიურობდა „ინტერის“ კიდევ ერთი გამოცდილი ლეგიონერი, 30 წლის **პეტარ ზლატინოვი**. მაგრამ აზერბაიჯანული გუნდის ბულგარელ პლეიმეიკერს ერთ ეპიზოდში ნერვებმა უმტყუნა (სავარაუდოდ, არბიტრს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა) და შეხვედრის არბიტრის, **ოთარ ხეცაძისგან** ... წითელი ბარათიც მიიღო (რადგან მატჩი ამხანაგური იყო, გაძევებული ფეხბურთელის ნაცვლად სხვა მოთამაშე შემოვიდა — ჩეხი ნახევარმცველი **ბრანისლავ ჩერვენკა**). სტუმართა გამოცდილი ფეხბურთელების გვერდით არცთუ ურიგო შთაბეჭდილება დატოვეს ახალგაზრდა აზერბაიჯანელმა ფეხბურთელებმაც — 19 წლის **ასიფ მირილიმ** და 18 წლის **ელნურ აბდულოვმა.** „ინტერი“ მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში მჭიდრო პრესინგს ეთამაშებოდა მეტოქეს და ფეხბურთელებიც, მაქსიმალურად ცდილობდნენ „ერთი შეხებით“ თამაშს. აი, რაც შეეხება „დილას“ კი, ახალგაზრდა და, ვფიქრობთ, ერთობ საინტერესო სპეციალისტის **გია ცეცაძის** შეგირდებმა პირველ ტაიმში მხოლოდ ორჯერ შეუტიეს მეტ-ნაკლებად სახიფათოდ: 22 წლის **დავით რაჟამაშვილის** ფლანგურ გარღვევას გაგრძელება არ მოჰყოლია, სამაგიეროდ, ტაიმის ბოლოს 20 წლის **ვაჟა ნემსაძემ** საშუალო მანძილიდან ბურთი მეტოქის კარის „ცხრიანს“ დაუმიზნა, მაგრამ „ინტერის“ 37 წლის მეკარემ **დიმიტრი კრამარენკომ** (ათი წელი ნამყვან რუსულ კლუბებში რომ ასპარეზობდა) უდიდესი გამოცდილების ხარჯზე ეს სიტუაცია განმუხტა.

შესვენების შემდეგ, როგორც გითხარით, „ინტერმა“ ძირითადი შემადგენლობის 9 ფეხბურთელი შეცვალა; ახალი მოთამაშეები გამოიყვანა **გია ცეცაძემაც** და „დილას“ აშკარად შეტევაზე ორიენტირებულმა და „თამამმა“ სათამაშო სტილმა შედეგიც გამოიღო. რა თქმა უნდა, ერთი-ორ ეპიზოდში მართლაც კურიოზულს წააგავდა „ინტერის“ მცველების (განსაკუთრებით, ფლანგელების) შეცდომები, მაგრამ „დილას“ ფეხბურთელებს გარჯა როგორ უნდა დავუკარგოთ? თანაც, ხუმრობა საქმე ხომ არ არის, 0:2-ზე თამაშს რომ შემოატრიალებ? პირველი „სიგნალი“ მაშინ იყო, უაღრესად აქტიურმა დავით რაჟამაშვილმა... კუთხურიდან რომ სცადა გოლის გატანა, მაგრამ **გიორგი ლომაიამ** ბურთი მოიგერია. თუმცა, ორიოდ წუთში გორელთა გუნდს აქტიური თამაში დაუფასდა: ეფექტური კომბინაცია 24 წლის **პავლე ხორგუაშვილმა** დააგვირგვინა, ვისაც ჩინებულად გაუწია ასისტენტობა 29 წლის **გია თოდუამ.** ამის შემდეგ „ინტერს“ გოლის გატანის ჩინებული შანსი მიეცა: მრავალსვლიან კომბინაციას (ალბათ, 6 ფეხბურთელი მაინც მონაწილეობდა) 23 წლის **ნიზამი გაჯიევი** ძლიერი დარტყმით აგვირგვინებდა, მაგრამ ბურთი **ბექა შეყრილაძის** კარს ზემოდან გადააცილა. აი, ამის მერე კი „დილა“ მოედნის სრული ბატონ-პატრონი გახდა და ერთ ეპიზოდში გიორგი ლომაიამ გიორგი თოდუას ძლიერად დარტყმული ბურთი მოიგერია; თუმცა, საქართველოს ნაკრების ყოფილი მეკარე გორელთა მომდევნო ორ შეტევაში უძლური იყო: რაჟამაშვილის წამოწყებული კომბინაცია პავლე ხორგუაშვილმა გააგრძელა და მის ტყუპისცალს, **ვალტერ ხორგუაშვილს,** ფაქტობრივად, ცარიელი კარის აღება არ გასჭირვებია — აი, ასე გათანაბრდა ანგარიში. მატჩის 85-ე წუთზე კი 24 წლის **დავით ჩაგელიშვილმა** მარცხენა ფლანგზე ეფექტური რეიდი განახორციელა და ზუსტი გადაცემით ასევე შეცვლაზე შემოსული **ნიკოლოზ ნოზაძე** მოძებნა — „დილას“ 24 წლის ნახევარმცველმა ახლო მანძილიდან ზუსტად დაარტყა და თავის გუნდს გამარჯვება მოუტანა. ეგ კი არა, სამიოდე წუთში „დილას“ კიდევ ერთი გოლის გატანაც შეეძლო — გია თოდუას წაქცევისათვის „დილამ“ პენალტის დარტყმის უფლება მიიღო, მაგრამ გიორგი ლომაიამ იყოჩაღა და ნოზაძეს „დუბლის“ შესრულება არ დაანება.

მომდევნო საკონტროლო მატჩს „ინტერი“, სავარაუდოდ, შაბათს, 3 სექტემბერს ჩაატარებს „ვიტ ჯორჯიასთან“.

**გია გაგოშიძე**

● დინამო

# ზარქუა აქა, ჰაჯიბულიჩი იქა



თორნიკე ზარქუა

სეზონის წინ ცხინვალის “სპარტაკში” განათხოვრებული **თორნიკე ზარქუა** თბილისის “დინამოს” დაუბრუნდა.

*“20 წლის მეკარე, რომელიც განათხოვრებული იყო, “დინამოს” უბრუნდება და კვლავ გუნდის სრულუფლებიანი წევრი გახდება. ზარქუა ამჟამად ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში ესპანელებთან გასამართი პრინციპული მატჩებისთვის ემზადება, გუნდს კი ამ შეხვედრების შემდეგ შეუერთდება”* – გვითხრა “დინამოს” პრესატაშე **გიგა გვენცაძემ.**

მისივე თქმით, “დინამო დატოვა” ბოსნიელმა ნახევარმცველმა **სამირ ჰაჯიბულიჩმა,** იგი კარიერას სამშობლოში გააგრძელებს, რადგან მთავარ მწვრთნელ **ალექს გარსიას** მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდა. გუნდთან მისი კონტრაქტი ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე შეწყდა.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსენალი



# სამირ ნასრის მორიგი შეტევა

**სამირ ნასრი** ამბობს, რომ მისი ყოფილი გუნდი, „არსენალი“ გასულ სეზონში „ქარლინგის თასის“ ფინალში „ბირმინგემთან“ ნაწვნევმა მარცხმა გატეხა და თან ისე, რომ გონს დღემდე ვერ მოეგო. შეგახსენებთ, რომ „ქარლინგის“ ანუ ლიგის თასის ფინალში „ბირმინგემმა“, რომელიც სეზონის ბოლოს პრემიერლიგიდან გავარდა, „მეთოფეებს“ 2:1 მოუგო. თამაშამდე ფავორიტად, რასაკვირველია, ჩრდილოლონდონური გუნდი ითვლებოდა, მაგრამ ყველაფერი ყირაზე დადგა. ფავორიტებმა თამაშის დამთავრებამდე ერთი წუთით ადრე დაცვაში უხეში შეცდომა დაუშვეს და თასი მეტოქეს, რომ იტყვიან, აჩუქეს. კერძოდ, **ლორან კოშელნიმ**, რომელიც მეკარე **ვოიცეხ შჩესნის** წინ იდგა, ჯერ გადაწყვიტა ბურთი მოეგერიებინა, შემდეგ დაინახა, რომ მას შჩესნი იოლად დაეუფლებოდა და მიუხედავად იმისა, რომ ფეხი უკვე მოქნეული ჰქონდა, გაატარა. ამან შჩესნი დააბნია, იოლად დასაჭერი ბურთი ველარ შეიპყრო, წინ გაუვარდა და **ობაფემი მარტინსმა** დაუცველ კარში შეაგდო.

ამ ამბავმა „მეთოფეები“ ძალიან დათრგუნა, რასაც შემდეგ ჩემპიონთა ლიგაში, ორი თამაშის ჯამში „ბარსელონასთან“ წაგება, პრემიერლიგაში მხოლოდ და მხოლოდ მეოთხე ადგილზე გასვლა და ზაფხულში სატრანსფერო მარცხი მოჰყვა — **გაელ კლიშის, სესკ ფაბრეგასის** და თავად ნასრის გუნდიდან გაქცევას ვგულისხმობთ.

დღეს უკვე „მანჩესტერ სიტის“ ვარსკვლავმა თქვა: „ლიგის თასის ფინალში დამარცხების შემდეგ რამდენიმე ისეთი ამბავი მოხდა, რომელთაც გუნდის ცხოვრებაზე დიდი გავლენა იქონიეს. კერძოდ, ფაბრეგასი „ბარსელონაში“ გადავიდა, მანამდე კი გუნდმა სეზონი საშინლად ჩაამთავრა. და მაინც, „არსენალის“ ფსიქოლოგიური მდგომარეობა ყველაზე მეტად „ბირმინგემთან“ წაგებამ გააფუჭა. და კიდევ, „არსენალს“ ძველებური რესურსები აღარ აქვს. კლუბი გამოჩენილ ფეხბურთელებს არ ყიდულობს და ცდილობს, ფონს ყმაწვილებით გავიდეს“.

24 მილიონ ფუნტად გაყიდული 24 წლის ნახევარმცველის თქმით, „არსენალი“ იმ კლუბად ჩამოყალიბდა, რომელიც თანხებს მოთამაშეების გაყიდვით შოულობს. სხვა სიტყვებით, ერთ დროს მრისხანე გუნდი დონორად იქცა.

„დღეს „მეთოფეები“ იძულებულები არიან საუკეთესო მოთამაშეები გაყიდონ და ყმაწვილებს დაეყრდნონ, რაც, რასაკვირველია, ლატარეაა, ან გაამართლებს - ან არა. თან, როდესაც დიდ გუნდობაზე გაქვს პრეტენზია, მთავარი ეს სულაც არ არის. მთავარია გუნდში ვარსკვლავები გყავდეს და ტიტულები მოიგო, რასაც გუნდი ვერ ახერხებს.

არსენ ვენგერი შეუცვლელი მწვრთნელი და უდიდესი პიროვნებაა. ის ფეხბურთელებს თავს ევლება და შესაძლოა ზედმეტიც მოსდის. ვენგერი გახლავთ ადამიანი, რომელსაც კონფლიქტი არ შეუძლია“.

შემდეგ ნასრიმ თქვა, რომ „არსენალში“ დარჩენა და ახალი გუნდის ჩამოყალიბებაში მონაწილეობა მას არ ხიბლავდა. გულს ისიც უმძიმებდა, რომ „არსენალმა“ მთელი ექვსი წლის განმავლობაში ვერ მოახერხა თუნდაც ერთი, მეორეხარისხოვანი ჯილდოს მოპოვება.

„არსენს ძალიან უნდოდა, რომ დავრჩენილიყავი, მაგრამ მე საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ კიდევ ივნისში მივიღე. გასული სეზონის კოშმარული დასასრულის შემდეგ მინდოდა გავქცეულიყავი იქიდან. აშკარა გახდა, რომ ჩემთვის კარიერის ის ნაწილი, რომელიც „არსენალთან“ იყო დაკავშირებული, დამთავრდა. წარმოიდგინეთ: „ქარლინგის თასზე“ წავაგეთ, ჩემპიონატში საშინლად გამოვედით, სესკი წავიდა... და „მანჩესტერ სიტიმ“ შესანიშნავი წინადადებით მომმართა. რაში მჭირდებოდა იმ გუნდის ლიდერობა, რომელსაც ჯილდოს მოგება არ შეუძლია? დღეს, „მანჩესტერ სიტიში“ ვგრძნობ, რომ ჩვენ შეგვიძლია ტიტულების მოპოვება “.

„ფრანს ფუტბოლისთვის“ მიცემულ ამ ინტერვიუში ნასრიმ, როგორც ხედავთ, ისეთი მოსაზრებები გამოთქვა, რომ „არსენალის“ ფანები, რომლებიც მასზე და ფაბრეგასზე ისედაც აღრენილები იყვნენ, კიდევ უფრო გაალიზიანა. თან, რანაირად დაემთხვა: პრემიერლიგის მესამე ტურში, როდესაც „არსენალი“ „ოლდ ტრეფორდზე“ „მანჩესტერ იუნაიტედთან“ შეხვედრაში 8:2 შერცხვა, ნასრი „მანჩესტერ სიტისთან“ ერთად „უაით ჰართ ლეინზე“ „ტოტენჰემს“ 5:1-ს არბევდა და **ედინ ჯეკოს** საგოლე პასებს აწვდიდა.

და კიდევ ერთი ნიუანსი სამირ ნასრის პორტრეტისათვის: მოგეხსენებათ, მას „მანჩესტერ იუნაიტედიც“ ეპატიჟებოდა და „სიტიზე“ ნაკლებ ხელფასს სულაც არ ჰპირდებოდა, მაგრამ ფეხბურთელმა უარი თქვა. რატომ მოიქცა ასე, ფრანგმა ნათლად განმარტა:

„მანჩესტერის ორ გუნდს შორის „სიტი“ იმიტომ ვამჯობინე, რომ მირჩევნია ისტორია შევქმნა, ვიდრე მასში უბრალოდ მონაწილეობა მივიღო. პატრიკ ვიეირამ დამარწმუნა, რომ „მანჩესტერ სიტისგან“ დიდი კლუბი კეთდება“.

მანჩესტერ სიტი

# რაო? ვინ? ჰარგრივზი სიტიში?

ესნამდვილი სენსაციაა: **ოუენ ჰარგრივზი** „მანჩესტერ სიტიმ“ აიყვანა. სენსაცია რაში მდგომარეობს? 30 წლის ფეხბურთელმა ბოლო ორ წელიწადში მოედანზე სულ 11 წუთი გაატარა. „მანჩესტერ იუნაიტედის“ ყოფილი ფეხბურთელი, რომელიც ინგლისის ნაკრებში 2008 წლის შემდეგ არ გამოუძახიათ, დარწმუნებულია, რომ ისტლენდზე კარგი მომავალი ელის.

საპირისპირო აზრისა გახლავთ ჰარგრივზის ახლა უკვე ყოფილი თანაგუნდელი **უეინ რუნი**, რომელიც ფიქრობს, რომ 2002 და 2006 წლების მსოფლიოს ჩემპიონატების მონაწილე ძველებურად ველარასოდეს ათამაშდება. სხვათა შორის, საუკეთესო წლებში ჰარგრივზი ინგლისში სულაც არ თამაშობდა, ის მიუნხენის „ბაიერნის“ წევრი იყო. საერთოდაც, კანადაში დაბადებული ინგლისელი ფეხბურთელად „ბაიერნის“ ბავშვთა სკოლამ აღზარდა. 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ოუენ ჰარგრივზი ინგლისის ნაკრების საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.

რუნიმ თქვა: „აგერ უკვე რამდენიმე წელიწადია ჰარგრივზი საქმეს არის ჩამოშორებული. უნდა ითქვას, რომ ის მთელი ამ ხნის განმავლობაში ბევრს მუშაობდა, ხელები არ ჩამოუშვია და მდგომარეობას არ შეგუებია, მაგრამ ბედი არ სწყალობს. გასულ გაზაფხულზე მან მოახერხა ფორმის აღდგენა, მოედანზეც დაბრუნდა, მაგრამ ორთავა კუნთი კვლავ დაიზიანა და ისევ სამკურნალო გახდა. მე ოუენს, რასაკვირველია, ყველაფერს საუკეთესოს ვუსურვებ, მაგრამ ძალიან მეეჭვება, მან კვლავ შეძლოს ძველებურად თამაში.



ოუენ ჰარგრივზის სტილის ფეხბურთელი ინგლისის ნაკრებს ადრე არ ჰყოლია და თუ ის მართლა დაგვიბრუნდება, ძალიან გამიხარდება, მაგრამ ვიმეორებ, ამის გაკეთება მის მდგომარეობაში მყოფი კაცისთვის ძნელი იქნება“.

შეგახსენებთ, რომ ჰარგრივზი, რომელმაც ბურთის გორება კანადის ლიგაში, „კალგარი ფუტჰილში“ დაიწყო, „მანჩესტერ იუნაიტედმა“ გასული სეზონის ბოლოს გაათავისუფლა. ფეხბურთელი ბედს არ შეეგუა, მუხლჩაუხრელად ივარჯიშა, ვარჯიშები ვიდეოზე გადაიღო და Youtube-ზე დადო — ასე სცადა სხვადასხვა კლუბის მწვრთნელთა ყურედღების მიპყრობა და იმის დამტკიცება, რომ უკვე გამოჯანმრთელდა.

ცნობამ, რომ „სიტიმ“ ჰარგრივზი დაიმატა, ამ გუნდის ფეხბურთელები შოკში ჩააგდო. როდესაც „სანის“ ჟურნალისტმა ისტლენდელთა მეკარე **ჯო ჰარტს** დაურეკა და აზრი ჰკითხა, მან პასუხად ლუღლუღილა მოახერხა:

„ბოდიში, რა თქვით? მართლა? საიდან მოიტანეთ ეს ამბავი? მართლა? არც კი ვიცი რა გიპასუხოთ... დიდებულია, ვფიქრობ ეს შესანიშნავი შენაძენია. ჰარგრივზთან ერთად არასდროს მითამაშია, მაგრამ მისი ფეხბურთი მინახავს. კარგად მახსოვს როგორი იყო ის „ბაიერნსა“ და „მანჩესტერ იუნაიტედში“. მას ძალიან ძლიერ ფეხბურთელად ვთვლიდი. მთავარია ჯანმრთელად იყოს და ფიზიკური მომზადების თვალსაზრისით არ ჰქონდეს პრობლემები“.

„სიტისა“ და ინგლისის ნაკრების ცენტრალური მცველი **ჯოლიონ ლესკოტი:**

„ჰარგრივზის ყიდვა არ მიკვირს, რადგან ის დიდებული ფეხბურთელია. ჩვენთან, „სიტიში“ ბევრი უნიჭიერესი ფეხბურთელი თამაშობს და კიდევ ერთის დამატება შესანიშნავია. მთავარია, ოუენი ჯანმრთელად იყოს. როგორც ჩანს, ჩვენმა მწვრთნელმა რაღაც დაინახა და ჩაიფიქრა. მთავარი არგუმენტი, ალბათ, ის იყო, რომ ჰარგრივზს ჩემპიონთა ლიგაში თამაშის გამოცდილება აქვს. ვფიქრობ, ის ინგლისის ნაკრებშიც შეძლებს დაბრუნებას“.

ვარსკვლავი

# მთავარია, მზეს მიეფიცხო



„მანჩესტერ იუნაიტედის“ 25 წლის თავდამსხმელი **უეინ რუნი** დარწმუნებულია, რომ მის თამაშში ძველებური სხივი იმიტომ დაბრუნდა, რომ ზაფხულში მზის სხივებს მიეფიცხა. რუნიმ, კვირას, ოლდ ტრეფორდზე, „მანჩესტერ სიტის“ სამი გოლი გაუტანა. მიმომხილველები წერენ, რომ ის შესანიშნავ ფორმაშია, თუმცა იმის თქმას, რომ ჩვენ წინაშე კვლავ ძველებური, მონატრებული უეინ რუნია, მიმომხილველების დადასტურება არც სჭირდება.

წლეულს ყველაფერი სხვანაირად არის, არადა, შარშან ამ დროს რა ხდებოდა, გახსოვთ? რუნის „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ სხვაგან გადასვლაც კი უნდოდა. მეტიც, შარშან მას პირადი ცხოვრებაც აერია, ცოლმა ღალატის ამბავი გაუგო და მის შემორიგებას დიდი ძალისხმევა დასჭირდა.

ახლა რუნი ნაკრებშია გამოძახებული. ინგლისის ეროვნული გუნდი ევრო 2012-ის შესარჩევი შეხვედრებისთვის ემზადება. ინგლისელებს ბულგარეთთან და უელსთან აქვთ სათამაშო და, რასაკვირველია, თავიანთი მთავარი ვარსკვლავის იმედი აქვთ.

როგორ აღიდგინა რუნიმ ფორმა? ის ამბობს, რომ მთავარი ბარბადოსზე დასვენება იყო. იქ, ვარსკვლავი ზღვის პირას დასეირნობდა და, რაც ყველაზე



საინტერესოა, „მანჩესტერ იუნაიტედის“ მიერ გატანებული ფიზიკური გაჯანსაღების გეგმა არც კი გადაუშლია. მზე და ზღვა — სულ ეს იყო.

„ახლა შესანიშნავად ვგრძნობ თავს — ამბობს ვარსკვლავი — ფეხბურთის თამაშით თავად ვიღებ დიდ სიამოვნებას და იცით, ეს რამ განაპირობა? იმან, რომ ზაფხულში, ხუთი კვირის განმავლობაში საერთოდ არაფერი გამიკეთებია. ერთი წამით არ მივარჯიშია. არც სიმძიმეები ამიწევია, არც მირბენია... სრულიად პასიური ვიყავი. ეს იმდენად სასარგებლო გამოდგა, რომ როდესაც გუნდთან ერთად სეზონისწინა სამზადისს შევუდექი, თავი თითქოს ახლა დავიბადე. „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფიზიკური მომზადების მწვრთნელმა საგანგებო პროგრამა შემიდგინა, მაგრამ ზედაც არ დამიხედავს. რასაკვირველია, მანჩესტერში რამდენიმე კილოთი უფრო მსუქანი დავბრუნდი, მაგრამ ზედმეტი წონის დაგდება სეზონისწინა პერიოდში ადვილი საქმეა.

აშკარად ვგრძნობდი, რომ დასვენება მჭირდებოდა. ბოლოს და ბოლოს, კარგა ხნის განმავლობაში არ დამესვენა“.

შემდეგ რუნიმ 2010 წელი გაიხსენა და თქვა, რომ ის წელიწადი მის კარიერაში - ერთ-ერთი ყველაზე ცუდი იყო. სამხრეთ აფრიკაში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე რუნი საკუთარი თავის ჩრდილს ჰგავდა.

„ტელევიზიით თუ გაზეთების ფურცლებიდან ხალხი კითხულობდა, რა მჭირდა. მათ ეჭვიც კი გამოთქვეს, რომ მე ძველებურად ვერასდროს ვითამაშებდი და, მართალი გითხრათ, ამან ძალიან კარგი როლი ითამაშა — მომინდა ყველასთვის დამემტკიცებინა, რომ ისინი ცდებოდნენ. შემოდგომაზე, როდესაც ყველაფერი დალაგდა და „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ახალ კონტრაქტს მოვაწერე ხელი, საკუთარ თავს გამოვუტყდი, რომ სწორად არ მოვიქეცი და გულშემატკივრის წინაშე ვალში ვიყავი. მე მათი გოლები მმართებდა. „იუნაიტედში“ დარჩენა ყველაზე ჭკვიანური ნაბიჯი იყო, რაც კი ოდესმე გადამიდგამს.

ახალი წელი რომ მოვიდა, ძალიან მიხაროდა, 2010 წელი წარსულს რომ ჩაბარდა. დიდი მოუთმენლობით ველოდებოდი 2011-ს. მინდოდა ნავსი გამეტეხა და ბოლოს და ბოლოს, თამაშიდან, ყოველგვარი პენალტისა და ჯარიმის გარეშე, დიდი ხნის პაუზის შემდეგ პირველი გოლი გამეტანა. როგორც კი ეს გოლი შევაგდე, ვიგრძენი, რომ ყველაფერი შეიცვალა. დღეს ბედნიერი ვარ, საკუთარი თამაში უდიდეს ბედნიერებას მგვრის და გოლებსაც არ ვუჩივი“.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

### გერმანიის ნაკრები

# არა ვაიდენფელერს!

## ლიოვმა თქვა, რობერტი რომანზე უკეთესიაო



რომან ვაიდენფელერს გერმანიის ნაკრების კარი ჩაუკეტეს

**მორჩა**, გათავდა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ დორტმუნდის „ბორუსიას" მეკარე **რომან ვაიდენფელერისთვის** გერმანიის ნაკრების კარი სამუდამოდ დაიხურა. 31 წლის კიპერმა ბუნდესგუნდური კარიერა ისე დაასრულა, რომ არც კი დაუწყია...

როგორც იცით, გერმანიის ჩემპიონის მეკარემ ამას წინათ უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ ბუნდესმწვრთნელმა **იოახიმ ლიოვმა** გერმანიის ნაკრების მესამე კიპერის რანგში „ჰანოვერის" 22 წლის მეკარე **რონ-რობერტ ცილერს** უხმო, დორტმუნდელი კი ისევ უყურადღებოდ დატოვა. ვაიდენფელერმა რამდენიმე დღის წინ ირონიულად თქვა, იქნებ მეც ისე უნდა მოვიქცე, როგორც ზოგიერთები და სანაკრებო კარიერა დასრულებულად გამოვაცხადო მაშინ, როცა ის არც კი დაწყებულაო – ცხადია, რომანმა ბრემენის „ვერდერის" კარის დარაჯი **ტიმ ვიზე** იგულისხმა, რომელსაც თავის დროზე ასეთმა განცხადებამ უშველა.

ვაიდენფელერს ლიოვმა პასუხი სამშაბათს გასცა: *„რომანი კარგი მეკარეა, მაგრამ ცილერი მასზე უკეთეს კიპერად მიგვაჩნია. ამით ვაიდენფელერის შესაძლებლობებისა და ნიჭის დაკნინება ნამდვილად არ მინდა. ის ძალიან კარგად თამაშობს და ბუნდესლიგაში ერთ-ერთი საუკეთესოა – ამაზე ორი აზრი არ არსებობს. მაგრამ ამ შემთხვევაში ნაკრებში ცილერი გამოვიძახეთ, რადგან სამწვრთნელო შტაბში ყველა შეთანხმდა იმაზე, რომ ეს უკანასკნელი ვაიდენფელერზე უკეთესია!"*

ამაზე მკაფიო განცხადების გაკეთება კი ნალდად შეუძლებელია. ლიოვმა ისიც აღნიშნა, ჩვენს გადაწყვეტილებას არც ასაკთან აქვს რაიმე კავშირიო – იყო მოსაზრებები იმის შესახებ, რომ ცილერისთვის უპირატესობის მინიჭების მთავარი არგუმენტი მისი ახალგაზრდული ასაკი იყო.

პასუხის პასუხმაც არ დააყოვნა, ვაიდენფელერმა თქვა: *„ვფიქრობ, ამ თემაზე იენს ლემანმა უკვე ყველაფერი გასაგებად თქვა. ასე რომ, მე აღარაფერს დავამატებ, რადგან ცეცხლზე ნავთის დასხმა ნამდვილად არ მინდა."*

შეგახსენებთ, რომ გერმანიის ნაკრების ყოფილმა მეკარემ ამას წინათ ვაიდენფელერზე თქვა, დღესდღეობით საუკეთესო გერმანელი მეკარეა, გერმანიის ნაკრების შეფები კი ჯეროვნად არ აფასებენო. *„ისეთი განცდა მაქვს, რომ ბუნდესგუნდის მეკარეების მწვრთნელი ანდრეას კიოპკე და მთავარი მწვრთნელი იოახიმ ლიოვი კიპერებს მხოლოდ პოტენციალის მიხედვით არჩევენ და არა ნაღდი შესაძლებლობებით. ჩემი აზრით, გასულ სეზონში რომან ვაიდენფელერი თვით მანუელ ნოიერზე უკეთესიც კი იყო..."* - ამბობდა ლემანი.

როგორც ხედავთ, იენსის ქებამ რომანს ვერ უშველა...

# გიოტცე და იოზილი ერთად მოძოვენ?

## ერთი მოგება ევრო 2012-მდე და ლიოვის ლუქს-პრობლემა


მარიო გიოტცე და მესუთ იოზილი

**გერმანიის** ნაკრებს ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზურის განაღდებამდე ერთი მოგებაღა აშორებს. მართალია, არც აქამდე ეპარებოდა ეჭვი ვინმეს იმაში, რომ ბუნდესგუნდი ევრო 2012-ის საგზურს უპრობლემოდ მოიპოვებდა, მაგრამ ოფიციალურად განაღდება მაინც ოფიციალურად განაღდებაა და შესაბამისად, ხვალ, ავსტრიასთან გასამართავი მატჩის წინ გერმანიაში დიდი ეიფორიაა.

მადრიდის „რეალის" ვარსკვლავი **მესუთ იოზილი** ხვალინდელ მატჩს მოუთმენლად ელის, რასაც ასე ასაბუთებს: *„ავსტრიას გელზენკირხენში ვეთამაშებით, მე კი ამ ქალაქში დავიბადე და გავიზარდე. ჩემი მშობლების სახლი „ფელტინს არენა აუფ შალკედან" სულ რაღაც 300 მეტრშია. ამ სტადიონზე და ამ ქალაქში დაბრუნება, ჩემთვის უსაყვარლესი პუბლიკის თვალწინ თამაში უდიდესი სიხარულია."*

ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ ბუნდესმწვრთნელი **იოახიმ ლიოვი** ძირითად შემადგენლობაში იოზილთან ერთად, დორტმუნდის „ბორუსიას" ვუნდერკინდ **მარიო გიოტცესაც** ათამაშებს. იმის გამო, რომ ორივე მათგანი გამთამაშებელია, გერმანელი ექსპერტების გარკვეულ ნაწილს ეჭვი ეპარება იმაში, რომ იოზილი და გიოტცე ერთად თავს კარგად იგრძნობენ, თუმცა წარმოშობით თურქი პლეიმეიკერი ასე არ ფიქრობს.

*„მარიო საკუთარ თავს მაგონებს. მეც ძალიან ახალგაზრდა ვიყავი, როცა ყველაფერი ძალიან სწრაფად მოხდა – ჯერ ბუნდესლიგის ერთ-ერთი საუკეთესო გავხდი, მერე ნაკრებსაც გავუშინაურდი, ახლა კი „რეალში" ვთამაშობ. გიოტცე მართლაც ძალიან მგავს, მაგრამ ჩემი აზრით, ერთმანეთს კარგად გავუგებთ,"* - ამბობს იოზილი.

*„გიოტცემ ბრაზილიასთან ტესტმატჩში იმდენად კარგად ითამაშა, რომ დასამალი არაფერია, ავსტრიასთან მარიოს ძირითად შემადგენლობაში გამწესებაზე სერიოზულად ვფიქრობ,"* - ეს კი თავად ლიოვის სიტყვები გახლავთ.

იოზილისა და გიოტცეს ერთად თამაშის პრობლემას გამოცდილი სპეციალისტი **ოტმარ ჰიტცფელდი** „ლუქს პრობლემას" უწოდებს და აცხადებს, ნეტა გერმანიის ნაკრებს ყოველთვის ჰქონდეს ასეთი პრობლემებიო. *„დარწმუნებული ვარ, რომ მესუთი და მარიო ერთმანეთს იდეალურად გაუგებენ. სხვანაირად წარმოუდგენელია, რადგან ორივე გენიალური ფეხბურთელია, გენიალური ფეხბურთელები კი ერთმანეთს ყოველთვის უგებენ ხოლმე. მერე რა, რომ ერთი გელზენკირხენელია, მეორე კი დორტმუნდელი – გერმანიის ნაკრებში ყველა ერთიანდება,"* - ამბობს „გენერალი" და მას გერმანიის საფეხბურთო კავშირის სპორტული დირექტორი **მათიას ზამერიც** ეთანხმება.

მათიასის აზრით, ევროპის ჩემპიონატზე გერმანიის ნაკრების შემტევ ნახევარმცველთა ტრიო (4-2-3-1 ტაქტიკურ სქემაში) მარიო გიოტცეს, მესუთ იოზილისა და **თომას მიულერის** სამეული უნდა იყოს. დორტმუნდში მარიო ხან მარჯვენა გარემარბის პოზიციაზე თამაშობს, ხან მარცხნივ, ხანაც ცენტრში, ბუნდესგუნდში კი მისი ადგილი მარცხენა შემტევი ნახევარმცველის პოზიციაზეა, რადგან ცენტრში ადგილი იოზილს აქვს გარანტირებული, მარჯვნივ კი თომას მიულერს და სხვათა შორის, თვითონ 19 წლის გიოტცესაც მარცხნივ თამაში ურჩევნია, რადგან ფიქრობს, რომ გერმანიის ნაკრებისთვის ყველაზე სარგებლიანი სწორედ ამ პოზიციაზე იქნება.

### პოდოლსკი ოფსაიდშია

ეს ყველაფერი კი იმას ნიშნავს, რომ **ლუკას პოდოლსკი** თამაშგარე მდგომარეობაში უნდა დარჩეს, რასაც ჩვენი გერმანელი კოლეგები დიდი ხანია, ისედაც ვარაუდობენ. ლიოვიც ამბობს, პოდოლსკის უდიდესი პოტენციალი აქვს, მაგრამ ბოლო დროს თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმს ველარ ავლენსო. თანაც, პოდოლსკის კონკურენტი მარტო გიოტცე როდია – **ანდრე შიურლე, კევინ გროსკროიტცი, მარკო როისი, ლუის ჰოლტბი** და **ტონი კროოსიც** რიგში დგანან.

*„თამამად ვიტყვი, რომ გერმანიის ნაკრები ასე კარგად დაკომპლექტებული აქამდე არასდროს ყოფილა,"* - ეს ბუნდესგუნდის დაცვის ბურჯის, **პერ მერტეზაკერის** სიტყვებია.

### ტრანსფერები მოკლედ




## ჰანოვერმა როიერი დაიმატა

**ზაფხულის** სატრანსფერო პერიოდის ბოლო დღეს „ჰანოვერმა" ავსტრიის ნაკრების ფეხბურთელი **დანიელ როიერი** დაიმატა. 21 წლის ნახევარმცველი ბუნდესლიგაში „რიდიდან" გადავიდა და „ჰანოვერთან" 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. *„დანიელ როიერი ორივე ფეხით კარგად თამაშობს, ძალიან სწრაფია და ნახევარდაცვის ორივე ფლანგზე შეუძლია თამაში. მიხარია, რომ ავსტრიული ფეხბურთის ერთ-ერთმა უნიჭიერესმა წარმომადგენელმა „ჰანოვერში" გადმოსვლა გადაწყვიტა,"* - ეს სიტყვები გერმანული კლუბის სპორტულ დირექტორ **იორგ შმადტკეს** ეკუთვნის.

## ბრედლი: გლადბახიდან კიევოში



აშშ-ის ნაკრების საყრდენი ნახევარმცველი **მაიკლ ბრედლი** მიონხენგლადბახის „ბორუსიადან" იტალიურ „კიევოში" გადაბარგდა. 24 წლის ბრედლი გერმანიაში 2008 წლიდან თამაშობდა – მაშინ „გლადბახმა" ის ჰოლანდიური „ჰერენვენიდან" გადაიბირა. ბრედლი გასული სეზონის მეორე ნახევარში ინგლისურ „ასტონ ვილაში" იყო განათხოვრებული, ახლა კი კარიერას იტალიაში გააგრძელებს.

## პეკარიკი არველაძესთან

„**ვოლფსბურგის**" მცველი **პეტერ პეკარიკი** კარიერას თურქეთში, კერძოდ **შოთა არველაძის** „ქაისერისპორში" გააგრძელებს. 24 წლის მარჯვენა მცველმა თურქულ კლუბთან ოთხშაბათს 4-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. ჩვენი თურქი და გერმანელი კოლეგების ცნობით, არველაძის კლუბს პეკარიკი მილიონ-ნახევარი ევრო დაუჯდა.

## ჰამბურგმა ელიას შემცვლელი იყიდა

**გუშინ** გაუწყეთ, რომ „ჰამბურგმა" ჰოლანდიელი ნახევარმცველი **ელჯერო ელია** ტურინის „იუვენტუსს" 9 მილიონ ევროდ მიჰყიდა. სამაგიეროდ, ჩრდილოგერმანულმა კლუბმა გუშინ ელიას შემცვლელი იყიდა: „ჰამბურგმა" „კაზერსლაუტერნიდან" 24 წლის გარემარბი **ივო ილიჩევიჩი** გადაიბირა. ჩრდილოელებს ეს ტრანსფერი 4 მილიონი ევრო დაუჯდათ. აღსანიშნავია, რომ ილიჩევიჩი ბუნდესლიგის მეოთხე ტურში („ბაიერნთან" 0:3) მოედნიდან გააძევეს, რის გამოც გერმანიის საფეხბურთო ლიგამ მას ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცა. გამოდის, რომ ილიჩევიჩი „ჰამბურგს" უახლოესი ოთხი ტურის განმავლობაში ვერ დაეხმარება. ივოს „ლაუტერნთან" კონტრაქტი გაისად უმთავრდებოდა და ეშმაკებს ეს ფეხბურთელი ახლა რომ არ გაეყიდათ, ერთი წლის შემდეგ უფასოდ დაკარგავდნენ.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

სკანდალი

# დი კანიო თავისიანებს ეჩხუბება



„სუინდონ თაუნის" მწვრთნელმა **პაოლო დი კანიომ** ფრიად უცნაურ ისტორიაში ამოყო თავი — გასახდელის გვირაბში საკუთარ ფეხბურთელს ეჩხუბა. დი კანიო აღელვებული **ლიონ კლარკის** დაწყნარებას ცდილობდა, მაგრამ სინამდვილეში სულ სხვა რამ გამოუვიდა. ეს ამბავი „ქარლინგის თასზე" „საუთჰემპტონთან" 3:1 დამარცხების დღეს მოხდა.

საინტერესოა, რომ კლარკი „სუინდონში" „ქუინზ პარკ რეინჯერსიდან" სულ რალაც ორი კვირის წინ გადავიდა. დი კანიოსთან ჩხუბამდე ფეხბურთელი სუინდონელთა ფიზიკური მომზადების მწვრთნელს **კლაუდუდიო დონატელის** ეკამათებოდა. როგორც ჩანს, კლარკი თვლიდა, რომ დონატელის ვარჯიშები დამღლელია და ფეხბურთელებზე ცუდად მოქმედებს.

იტალიელი მწვრთნელი მოთამაშეს გასახდელისკენ მიმავალ გვირაბში გამოეკიდა და მხარზე ხელი გადახვია, დაწყნარება უნდოდა, მან კი მუჯლუგუნი უთავაზა. ამან დი კანიო, რასაკვირველია გააბრაზა, თუმცა, როგორც ხდება ხოლმე, კონფლიქტში გარშემო მყოფნი ჩაერიენ და წაკიდებულები დააწყნარეს. თურმე, დროებით. გავიდა ცოტა ხანი და ლიონ კლარკი და პაოლო დი კანიო გაორმაგებული ძალით შეებნენ ერთმანეთს. ეს ამბავი მრავალმა ვიდეოჩანაწერმა დააფიქსირა, რომლებზედაც კარგად ჩანს, როგორი გამწარებით იბრძვიან მწვრთნელი და მოთამაშე. ამას კიდევ უფრო საინტერესო გაგრძელება მოჰყვება — განაწყენებული კლარკი... მოედანზე დაბრუნდა და პროტესტი განაცხადა, მაგ გუნდის გასახდელში ფეხს აღარ შევადგამო. სუინდონელთა კლუბის თავმჯდომარე **ჯერემი ურეი** მოთამაშესთან მივიდა და სცადა დაერწმუნებინა, რომ ის თანაგუნდელებთან უნდა მივიდეს, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. საბოლოოდ, ფეხბურთელმა სტადიონი გუნდისგან დამოუკიდებლად, მარტომ დატოვა.

მატჩის შემდეგ ურეიმ ჟურნალისტებს ასე უთხრა: „თამაში რომ დამთავრდა, ლიონი და ჩვენი გუნდის ფიზმომზადების მწვრთნელი ერთმანეთს წაეკამათნენ. რამდენადაც ვიცი, ლიონი მწვრთნელს საყვედურობდა, რომ ადრე დაიღალა, რაშიც მისი გადამეტებული ვარჯიში იყო დამნაშავე. დამეთანხმებით, ფეხბურთში ასეთი კამათი ყოველ ფეხის ნაბიჯზე ხდება, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში, სამწუხაროდ, ის გაცილებით დიდ და უსიამოვნო კონფლიქტში გადაიზარდა. პაოლოს არ ესიამოვნა, ფეხბურთელმა და მწვრთნელმა ხალხის დასანახად რომ იკამათეს და გვირაბში შევიდა, რათა კლარკი გასახდელამდე მიეცილებინა და მეგობრულად ეთქვა, რომ ასეთი საკითხების საჯაროდ გამოტანა საჭირო არ არის. სამწუხაროდ, ფეხბურთელმა გასახდელში შესვლაზე უარი განაცხადა".

ჟურნალისტებმა ურეის ჰკითხეს, რა უთხრა მან კლარკს, როდესაც მისი და დი კანიოს კონფლიქტის შემდეგ სალაპარაკოდ მივიდა. „სუინდონის" თავმჯდომარემ უპასუხა, რომ მას აინტერესებდა, ხომ არ გადაიფიქრა კლარკმა და ხომ არ აპირებდა საშხაპეში შესვლას, რათა მოწესრიგებულიყო და სტადიონი გუნდთან ერთად დაეტოვებინა, მაგრამ უარი მიიღო.

„როდესაც მწვრთნელმა მოედნიდან გამოსვლა სთხოვა, ის უნდა დამორჩილებოდა. ფეხბურთელი ას არ უნდა იქცეოდეს".

ილია ბაბუნაშვილი

სკანდალი



ინციდენტამდე რამდენიმე წუთით ადრე კარვალიო (უკანა პლანზე მარცხნივ) მხიარულ ხასიათზე იყო

# კარვალიომ პორტუგალიის ნაკრები დატოვა

მადრიდის „რეალის" მცველმა **რიკარდო კარვალიომ** ობიდოსში პორტუგალიის ნაკრების ბანაკი მიატოვა. ტრავმა არაფერ შუაშია - ეროვნულ გუნდში არაჯანსაღი სიტუაცია, რომელიც ვარჯიშის ბოლოს შელაპარაკებაში გადაიზარდა. 33 წლის კარვალიო **პაულუ ბენტუმ** 23-კაციან სიაში დაასახელა, რომელიც კვიპროსთან მატჩისთვის ემზადება, თუმცა რეალელმა თავისი ინიციატივით მიატოვა ვარჯიში. ის აღარ იმყოფება ბენტუს განკარგულებაში, თუმცა მადრიდში არ დაბრუნებულა.

პორტუგალიური „რეკორდი" იუწყება, რომ ინციდენტი კარვალიოს ოთხშაბათს საღამოს ვარჯიშზე მოუვიდა. თვითმხილველებმა შეამჩნიეს, თუ როგორ ტოვებდა ვარჯიშს მცველი თანაგუნდელ **ფაბიო კოენტრაოს** მანქანით. უფრო დეტალურად, რა მოხდა არავინ იცის, რადგან იმ დროს ობიდოსის ბაზაზე ჟურნალისტები არ იმყოფებოდნენ. რიკარდო კარვალიოს პორტუგალიის ნაკრებში 71 მატჩი აქვს გამართული, თუმცა ამ შემთხვევის შემდეგ მისი სანაკრებო კარიერა კითხვის ნიშნის ქვეშაა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ლივერპული



# კოატესმა სუარესი ახსენა

ურუგვაელმა **სებასტიან კოეტესმა** თქვა, რომ მის „ლივერპულში" გადასვლაში მთავარი როლი მისმა თანამემამულემ და ახლა უკვე თანაგუნდელმა **ლუის სუარესმა** ითამაშა. 20 წლის მცველისთვის, რომელიც მერსისაიდელებმა მონტევიდეოს „ნასიონალიდან" დაახლოებით 7 მილიონ ფუნტად გადაიყვანეს, სწორედ სუარესს უთქვამს, რომ კარიერის „ენფილდ როუდზე" გაგრძელება მის კარიერაში საუკეთესო ელება იქნებოდა. კოეტესმა „ლივერპულის" ვებგვერდზე დაწერა: „ლუისმა „ლივერპულის" შესახებ უამრავი რამ მიამბო. ყველაზე მეტს და გატაცებით ლივერპულელი ფანების შესახებ მიამბობდა. აქაური ფანების ამბავი ჩემი თვალით გასულ შაბათს, „ბოლტონთან" შეხვედრაში ვნახე. გასაოცარი იყო, რა გატაცებითა და ერთგულებით ედგნენ ისინი მხარში თავიანთ საყვარელ გუნდს. კიდევ, ლუისმა „წითლების" ისტორიასა და ტრადიციებზე ილაპარაკა. მან ამიხსნა, თუ რა წარსულის მქონე გუნდში გადავედი, რამაც ძალიან გამახარა — ერთი დიდი კლუბიდან, რომელსაც „ნასიონალი" ჰქვია, მეორეში გადავედი. ეს დიდი ბედნიერებაა.ის, რომ უცხო გარემოში და ძალიან დიდ კლუბში თანამემამულესთან ერთად ვიქნები, ჩემთვის უდიდესი შელავათია. მე და ლუისი ერთი კულტურის წარმომადგენლები ვართ და ეს ცხოვრებას გამიიოლებს".

ილია ბაბუნაშვილი

ბაიერნი

# ჰოლანდიელი პაციენტი

## რობენი ალბათ ჩემპიონთა ლიგისთვის დაბრუნდება

შარშან, ასეთი ტრავმის გამო **ჰოლგერ ბადშტუბერს** ორი თვე გაუცდა, რაც იმას ნიშნავს, რომ მიუნხენის „ბაიერნის" ხელმძღვანელები ძალიან ფრთხილად უნდა ყოფილიყვნენ, რადგან ახლა იგივე ტრავმა რეკორდმაისტერის მარგალიტ **არიენ რობენსაც** აქვს. 27 წლის ჰოლანდიელი გარემარბი მუხლში ტკივილებს არ გრძნობს, მაგრამ არც ბადშტუბერი გრძნობდა და გაუფრთხილებლობას ორთვიანი პაუზა მოჰყვა. რობენი ისედაც ძალიან ხშირად შავდება და კარიერის ერთი მესამედი ლაზარეთში აქვს გატარებული – შესაბამისად, მიუნხენელებს რობენის გაუფრთხილებლობით გამოწვეული ტრავმა ნამდვილად არ აწყობთ.

ციურიხსა და კაიზერსლაუტერნში „ბაიერნის" მთავარმა მწვრთნელმა **იუპ ჰაინკესმა** არიენი დაასვენა. რობენი არც ჰოლანდიის ნაკრებს დაეხმარება (ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში), რადგან ჰოლანდიელს უმცირეს რისკზე ნასვლაც კი არ უნდა. ამრიგად, მისი თამაში ბუნდესლიგის მომდევნო ტურშიც (10 სექტემბერს, ფრაიბურგთან) საეჭვოა, აი, იმ მატჩიდან ოთხ დღეში კი რეკორდმაისტერს რობენი ძალიან დასჭირდება: ბავარიელები 14 სექტემბერს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის პირველ ტურში „ვილიარეალს" ხვდებიან.

„თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ახლა თავს საკმაოდ კარგად ვგრძნობ და მსუბუქად ვვარჯიშობ. თუმცა ექიმები მეუბნებიან, რომ ამ დღეებში ჩემი სრული დატვირთვა დიდ რისკთანაა დაკავშირებული და თუნდაც მცირე რისკზე წასვლაც კი აღარ მინდა. რამდენიმეთვიან იძულებით პაუზას ნამდვილად ველარ გადავიტან. ამიტომაც მირჩევნია, რომ ეს ორი კვირა დავისვენო და ჩემპიონთა ლიგის სტარტს სრულ მზადყოფნაში შევხვდე, - აცხადებს რობენი და იქვე დასძენს, - საკმაოდ რთულ ჯგუფში მოხვდით: „ვილიარეალი", „ნაპოლი", „მანჩესტერ სიტი". სამივე გუნდი ძლიერია, მაგრამ ამან არ უნდა შეგვაშინოს. თუ სერიოზული მიზნებისთვის იბრძვი, სწორედ ძლიერ მეტოქეებს უნდა მოუგო."

გოტფრიდ ლენცი



ტრანსფერები

## ტუნისელი ჯემალი თხებში

სატრანსფერო პერიოდის ბოლო დღეს ბაზარზე კიდევ ერთხელ გააქტიურდა „კიოლნიც" - „თხებმა" ბერნის „იანგ ბოიზიდან" 24 წლის ტუნისელი მცველი **ამარ ჯემალი** გადაიბირეს, შვეიცარიულ კლუბს კი 2 მილიონი ევრო გადაურიცხეს. ჯემალი უმეტესად მარცხენა მცველის პოზიციაზე თამაშობს ხოლმე, თუმცა ასპარეზობა დაცვის ცენტრშიც შეუძლია და საყრდენადაც. „კიოლნის" სპორტული დირექტორი **ფოლკერ ფინკე** ამბობს, „იანგ ბოიზის" თავკაც **კრისტიან გროსს** ვესაუბრე და ჯემალი იდეალურად დამიხასიათა, გროსს ვენდობი და მიხარია, რომ ასეთი ფეხბურთელის გადმობირება მოვახერხეთო.

## რომამ კიაერი ინათხოვრა

„რომამ" დანიელი მცველის, **სიმონ კიაერის** ტრანსფერი ბოლო დღეს სრულყო: ეს უკანასკნელი „ჯალოროსიში" „ვოლფსბურგიდან" ერთწლიანი არენდით გადადის. ამრიგად, 22 წლის მცველი, რომელსაც დანიის ნაკრებში 17 მატჩი აქვს ჩატარებული, გერმანიაში გატარებული ერთი სეზონის შემდეგ ისევ იტალიაში ბრუნდება.

„რომამ" კიაერის შესყიდვის უპირატესი უფლებაც მიიღო და თუ სიმონი „ჯალოროსიში" თავს დაიმკვიდრებს, რომაელები გაისად მის კონტრაქტს გამოისყიდიან. კიაერი „რომაში" **ფილიპ მექსეს** წასვლით შექმნილ სიცარიელეს ამოავსებს – როგორც იცით, ეს უკანასკნელი „მილანში" უფასოდ გადავიდა. შეგახსენებთ, რომ კიაერი „ვოლფსბურგმა" ზუსტად ერთი წლის წინ, „პალერმოდან" 12 მილიონ ევროდ შეიძინა. გასულ სეზონში დანიელმა „მგლების" ფორმა ბუნდესლიგის 32 მატჩში მოირგო და ერთი გოლიც გაიტანა.

გოტფრიდ ლენცი

Warsteiner EINE KÖNIGIN UNTER DEN BIEREN
რეპორტაჟების სპონსორია გერმანული ლუდი ვარშტაინერი
EuroBasket 2011
როუმინგულ კავშირს უზრუნველყოფს GOODLINE

# ევროპაში ომახიანად შევაბიჯეთ

31 აგვისტო
კლაიპედა, ლიტვა

**საქართველო-ბელგია 81:59**

20:11, 17:13, 21:18, 23:17

2000 მაყურებელი

**მსაჯები:** ხუან არტეაგა (ესპანეთი), სეტი შემეში (ისრაელი), ჩააბა ზიფრა (უნგრეთი)

| საქართველო | წთ | თ.ბ. | თ.ბ.% | 2ქ | 2ქ% | 3ქ | 3ქ% | 1ქ | 1ქ% | მ.შეტ. | მ.დაც. | მ.სულ | პ | შ | ჩ | დ | ფ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4. გამყრელიძე | 3 | 0/1 | 0.0 | 0/1 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 1/2 | 50.0 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 |
| *5. ვ. ბოისა | 19 | 5/5 | 100.0 | 5/5 | 100.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 1 | 1 | 2 | 2 | 0 | 0 | 0 | 1 | 10 |
| 6. ა. ბოისა | 2 | 1/2 | 50.0 | 1/2 | 50.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 |
| *7. ფაჩულია | 21 | 4/7 | 57.1 | 4/7 | 57.1 | 0/0 | 0.0 | 8/9 | 88.9 | 1 | 2 | 3 | 1 | 3 | 1 | 0 | 4 | 16 |
| *8. ცინცაძე | 32 | 3/5 | 60.0 | 2/3 | 66.7 | 1/2 | 50.0 | 1/2 | 50.0 | 0 | 2 | 2 | 4 | 1 | 0 | 0 | 3 | 8 |
| 9. შერმადინი | 19 | 3/4 | 75.0 | 3/4 | 75.0 | 0/0 | 0.0 | 1/2 | 50.0 | 2 | 2 | 4 | 1 | 2 | 0 | 0 | 3 | 7 |
| 10. ფარლალავა | 2 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| *11. მარკოიშვილი | 32 | 2/9 | 22.2 | 2/4 | 50.0 | 0/5 | 0.0 | 1/2 | 50.0 | 1 | 6 | 7 | 4 | 4 | 0 | 0 | 2 | 5 |
| 12. ჰეინსი | 14 | 2/5 | 40.0 | 2/4 | 50.0 | 0/1 | 0.0 | 0/2 | 0.0 | 0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 2 | 4 |
| *13. სანიკიძე | 25 | 6/10 | 60.0 | 6/9 | 66.7 | 0/1 | 0.0 | 1/2 | 50.0 | 4 | 7 | 11 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 13 |
| 14. შენგელია | 15 | 6/6 | 100.0 | 5/5 | 100.0 | 1/1 | 100.0 | 0/0 | 0.0 | 2 | 1 | 3 | 1 | 1 | 0 | 1 | 1 | 13 |
| 15. ცქიტიშვილი | 17 | 0/1 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/1 | 0.0 | 2/4 | 50.0 | 0 | 2 | 2 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 2 |
| გუნდი | | | | | | | | | | 2 | 0 | 2 | | 0 | | | 0 | |
| ჯამი | | 32/55 | 58.2 | 30/44 | 68.2 | 2/11 | 18.2 | 15/25 | 60.0 | 14 | 24 | 38 | 19 | 15 | 4 | 1 | 17 | 81 |

| ბელგია | წთ | თ.ბ. | თ.ბ.% | 2ქ | 2ქ% | 3ქ | 3ქ% | 1ქ | 1ქ% | მ.შეტ. | მ.დაც. | მ.სულ | პ | შ | ჩ | დ | ფ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4. მოორსი | 23 | 2/5 | 40.0 | 1/4 | 25.0 | 1/1 | 100.0 | 2/2 | 100.0 | 0 | 1 | 1 | 1 | 4 | 0 | 0 | 3 | 7 |
| *5. ვან როსომი | 20 | 0/2 | 0.0 | 0/1 | 0.0 | 0/1 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 1 | 0 | 1 | 4 | 2 | 0 | 0 | 1 | 0 |
| *6. ბეგინი | 31 | 5/13 | 38.5 | 4/11 | 36.4 | 1/2 | 50.0 | 2/3 | 66.7 | 2 | 4 | 6 | 4 | 1 | 1 | 0 | 5 | 13 |
| 7. ოვენეკე | 1 | 0/1 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/1 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 8. შტეინბახი | 3 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 0 | 0 | 1 | 2 | 0 | 0 | 1 | 0 |
| 9. ტაბუ | 15 | 1/2 | 50.0 | 1/2 | 50.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 2 |
| *10. ლაუერსი | 20 | 3/5 | 60.0 | 1/1 | 100.0 | 2/4 | 50.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 1 | 1 | 1 | 1 | 0 | 0 | 2 | 8 |
| 11. მუია | 12 | 2/2 | 100.0 | 1/1 | 100.0 | 1/1 | 100.0 | 1/2 | 50.0 | 0 | 2 | 2 | 1 | 0 | 0 | 0 | 2 | 6 |
| *12. ფეისონი | 32 | 3/8 | 37.5 | 2/4 | 50.0 | 1/4 | 25.0 | 0/0 | 0.0 | 1 | 3 | 4 | 3 | 1 | 0 | 0 | 2 | 7 |
| 13. დე ზეეუვი | 5 | 0/2 | 0.0 | 0/1 | 0.0 | 0/1 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 2 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| *14. ვან დენ შპიგელი | 14 | 2/4 | 50.0 | 2/4 | 50.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 1 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 3 | 4 |
| 15. მბენგა | 25 | 6/11 | 54.5 | 6/11 | 54.5 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 1 | 1 | 2 | 1 | 0 | 0 | 2 | 4 | 12 |
| გუნდი | | | | | | | | | | 1 | 0 | 1 | | 4 | | | 0 | |
| ჯამი | | 24/55 | 43.6 | 18/40 | 45.0 | 6/15 | 40.0 | 5/7 | 71.4 | 7 | 14 | 21 | 17 | 17 | 1 | 2 | 23 | 59 |



თამამად შეიძლება ითქვას – კლაიპედაში D ჯგუფის თამაშები საქართველომ გაალამაზა. დიახ საქართველომ თავისი გულშემატკივრებითა და კალათბურთით. დავიწყოთ პირველით. დარბაზისკენ ნაადრევად გავემგზავრე, რათა ჩემთვის კუთვნილი აკრედიტაცია დროულად ამეღო. გაჩერებაზე ორი ქართველი ქომაგი შემხვდა, სპეციალურად უკრაინიდან ჩამოვედით, 18 საათზე ნაკრებს ერთად ვუქომაგოთო. თურმე, მათ ბილეთებზე მატჩის დაწყების დროდ სწორედ 18 საათი იყო მითითებული. როგორც გაირკვა, ადრეულ გაზაფხულზე დაბეჭდილ ბილეთებზე შეცდომით საქართველო-ბელგია 18 საათზე ეწერა.

ასეა თუ ისე, თბილისის დროით 16 საათიდან კლაიპედას არენამ გათეთრება იწყო – ქართველი გულშემატკივრები დარბაზში თეთრ მაისურებში გამოწყობილი და საყვირებით შეიარაღებული მოვიდნენ. მატჩის ოქმში წერია, რომ შეხვედრას 2 ათასი ქომაგი დაესწრო, რომელთაგან 1500 ქართველი იყო. იგორ კოკოშკოვმაც ნამატჩევს სწორედ გულშემატკივრის ფაქტორს გაუსვა ხაზი, კალათბურთელები ისე თამაშობდნენ, თითქოს საკუთარ სახლში იყვნენო.

თეთრ-წითელ ტრიბუნებზე აქა-იქ მიმოიფანტნენ ბელგიის გულშემატკივრები, რომელთა შორის რუსების ჯგუფიც იყო – რუსეთის დროშაშემოხვეული ერთი ახალგაზრდა ბელგიის დროშით დარბაზში ამაყად შემოვიდა, მაგრამ წითელ-ყვითელ-შავი სიმბოლო პირველივე მეოთხედის შემდეგ სადღაც დამალა...

დამალვის მიზეზს ყველა მიხვდებოდა, ვინც მატჩის ოქმს უკვე გადახედა – ქართველებმა ბელგიელებს პირველივე მეოთხედში დააყრევინეს ფარ-ხმალი. ხმამაღალ ნათქვამად გეჩვენებათ? ეს თავად ბელგიელთა მთავარმა მწვრთნელმა **ედი კასტელსმა** აღიარა – პირველივე პერიოდში დავინახეთ, რომ საქართველოს ძლევის რესურსი არ გვქონდაო.

ახლა დოკუმენტურად: საქართველოს ნაკრებმა ბელგიას პოზიციურ თამაშშიც აჯობა და თუ სწრაფი შეტევის საშუალება ეძლეოდა, ეფექტური დრიბლინგებით "ხვრეტდა" მეტოქის დაცვას. რაც მთავარია, ამას ლამაზად აკეთებდა ჩატენვას ეფექტური ალეი უპი მოსდევდა. დაცვას არ იკითხავთ? – მატჩის შემდეგ ქართველთა მწვრთნელებმაც აღნიშნეს, რომ გუშინ ჩვენმა გუნდმა ბოლო წლებში საუკეთესოდ დაიცვა თავი. ამას მხოლოდ ბელგიის მიერ ჩაგდებული 59 ქულა როდი მოწმობს – ბელგიელებმა პირველი საჯარიმო მესამე პერიოდის დასრულებამდე 2:22 წუთით ადრე ისროლეს. ეს საოცარი მაჩვენებელია და ქართველების „აკურატულობაზე" მიუთითებს.

ბელგიას ჩვენთან გამარჯვების ერთადერთი გზა ჰქონდა – სამქულიანები, მაგრამ ვერც ეს მოახერხა, რადგან იგორ კოკოშკოვის შეგირდები კარგად კეტავდნენ პერიმეტრს. არც ფარქვეშ უშვებდნენ **მბენგას, შპიგელსა** და **ბეგინს**. სხვა გზა რომ არ დარჩა, მბენგა მისთვის უჩვეულოდ შორეული ორქულიანებით ცდილობდა ხეირის ნახვას.

ახლა რაც შეეხება ჩვენს გუნდს: **გიორგი ცინცაძემ** დაამტკიცა, რომ შარშან მართლაც ტრავმის გამო ვერ გაისარჯა სათანადოდ. იგი მეტად გონივრულად ხელმძღვანელობდა ქართველთა იერიშებს და მოედანზე ქართველთაგან ყველაზე მეტი დროც გაატარა. მას გამთამაშებლის პოზიციაზე **მარკიზ ჰეინსი** ენაცვლებოდა. **მანუჩარ მარკოიშვილმა** ჩვეულად, ნაყოფიერად იშრომა. მსუბუქი ფორვარდის პოზიციაზე ერთმანეთს **თორნიკე შენგელია** და **ვიქტორ სანიკიძე** ენაცვლებოდნენ. ვიქტორმა ორმაგი დუბლი შეასრულა, ხოლო თორნიკემ 15 წუთში 5-დან 5 ორქულიანი და 1-დან 1 სამიანი ჩააგდო.

**ვლადიმერ ბოისასა** და **ნიკა ცქიტიშვილს ერველეს** არყოფნაში ბელგიელი მძიმე ფორვარდების შეჩერება არ გასჭირვებიათ, ხოლო **გიორგი შერმადინი** საიმედოდ ცვლიდა ლიდერ **ზაზა ფაჩულიას**. ქართველთა კაპიტანი მატჩის ბომბარდირი გახდა – 16 ქულა ჩააგდო.

შეხვედრა რომ დასრულდა, პრესლოჟაში ბელგიელი ჟურნალისტი მოვიდა და ხელი ჩამომართვა: ძალიან ძლიერი გუნდი გყოლიათ, განსაკუთრებით ფიზიკურად. დღეს ბელგიას ყველა კომპონენტში აჯობეთო.

ჩვენს გუნდს გამარჯვება კლაიპედაში მყოფმა საქართველოს პრეზიდენტმა **მიხეილ სააკაშვილმა** მიულოცა.

## ნამატჩევს

მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციას გუნდის მთავარ მწვრთნელებთან – იგორ კოკოშკოვთან და ედი კასტილსთან ზაზა ფაჩულია და კრისტოფ ბეგინიც დაესწრნენ. წესისამებრ, პირველი სიტყვა წაგებული გუნდის მოთამაშეს ერგო:

**კრისტოფ ბეგინი:**

- საშინელი წაგება იყო. ქართველებთან ვერაფერი გავაწყეთ, ისინი ყველა კომპონენტში მოწოდების სიმაღლეზე იყვნენ. ცუდი დაცვა – აი, ესაა ჩვენი ნაკრების წაგების მიზეზი.

**ედი კასტილსი:**

- შეტევაში ძალიან ცუდად ვითამაშეთ, მოხსნებში მეტოქემ გვაჯობა და შედეგიც ლოგიკურია. პირველ მეოთხედშივე შეგვექმნა პრობლემები, რომლებიც არათუ გამოვასწორეთ, არამედ მათ უფრო მძიმე ხასიათი მიიღეს. საქართველომ სულ სხვა კალათბურთი ითამაშა, ვიდრე შარშან და წარმატების მინიმალური შანსიც არ მოუცია.

**ზაზა ფაჩულია:**

- პირველ რიგში აღვნიშნავ, რომ ჩემთვის და მთლიანად გუნდისთვის დიდი პატივია ევროპის ჩემპიონატზე თამაში. ჩვენი ნაკრები ევრობასკეტზე პირველად მოხვდა და გუნდის ყველა წევრი სიამაყის გრძნობით იცავს ჩვენი ქვეყნის სახელს. ჩვენ დღეს პირველი მატჩი გავმართეთ ევროპის ჩემპიონატზე და პირველი გამარჯვება ვიზეიმეთ. რა თქმა უნდა, ძალიან გახარებულები ვართ. ჩვენმა ნაკრებმა მოახერხა ბელგიელი მსროლელების, დიმიტრი ლოუერსის, მარკუს ფეისონის და სხვათა შეჩერება. ბელგიელებმა შარშან ორი თამაში სწორედ შორი სროლების წყალობით მოგვიგეს, ჩვენ მათი შეჩერება კარგი დაცვით მოვახერხეთ.

**იგორ კოკოშკოვი:**

- დავეთანხმები ჩვენი გუნდის კაპიტანს, რომ საქართველოსთვის ევროპის ჩემპიონატზე თამაში და განსაკუთრებით პირველ მატჩში გამარჯვება უდიდესი მნიშვნელობისაა. ბელგია ჩვენთვის კარგად ნაცნობი გუნდია, შარშან ორჯერ დაგვამარცხა და ვიცოდით, რომ თუ მთელი მონდომებით არ ვითამაშებდით, გამარჯვებას ვერ მოვიპოვებდით. საბედნიეროდ, ჩვენ მოვახერხეთ მეტოქის ფორვარდების შეჩერება, რაც გუნდური თამაშის დამსახურებაა.ეს გამარჯვება გასახდელიდან გამოსვლის შემდეგ უნდა დაივიწყოს ყველა მოთამაშემ და მომავალი შეხვედრისთვის მოვემზადოთ.

რუსმა ჟურნალისტებმა ზაზა ფაჩულიას მომავალ მატჩზე დაეკითხნენ და იმით დაინტერესდნენ, მივიდა თუ არა საქართველოს პრეზიდენტი გამარჯვების შემდეგ გუნდთან...

- არა აქვს მნიშვნელობა, რუსეთის ნაკრები იქნება თუ ნებისმიერი სხვა, ჩვენ მაინც სრული მობილიზებით ვემზადებით ხვალინდელი მატჩისთვის – განაცხადა ფაჩულიამ – რუსეთს კარგი გუნდი ჰყავს, მაღალი კლასის მოთამაშეებითაა დაკომპლექტებული. ვნახოთ, ვიბრძოლებთ, ვითამაშებთ და ღირსეული გაიმარჯვებს. ჩვენს ქვეყანაში კალათბურთს ძალიან ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავს. ჩვენი პრეზიდენტიც გვერდში გვიდგას და გვქომაგობს. ის ქართული კალათბურთისთვის უმნიშვნელოვანეს მომენტებში ყოველთვის ჩვენთანაა და ახლაც გვესტუმრა. საერთოდ, ძალიან დიდი მხარდაჭერა გვქონდა ბელგიასთან მატჩში და მაყურებლის აქტიურობამ ძალიან დიდი მუხტი მოგვცა. მადლობა იმ ათასობით ქართველსა თუ არაქართველს, რომელიც მთელი მატჩის განმავლობაში გვერდით გვედგა.

**ვაჟა სიმონიშვილი**
კლაიპედადან

### მატჩის შემდეგ, სანამ გასახდელში შევიდოდნენ, ცინცაძემ და მარკოიშვილმა შემდეგი განაცხადეს

**გიორგი ცინცაძე:** "თამაშზე საოცარი განწყობით გავედით. ამდენი გულშემატკივრის მხარდაჭერამ დამატებითი ძალები შეგვმატა. ბოლო პერიოდში რამდენიმე დასანანი მატჩი დავთმეთ, თუმცა, სწორედ იქ ვიმარჯვეთ, სადაც ეს ყველაზე მეტად გვჭირდებოდა".

**მანუჩარ მარკოიშვილი:** "ცხადია, შედეგი ძალიან კარგია, მაგრამ მე ყველაზე მეტად ერთი ფაქტი მახარებს. მგონი, დავამტკიცეთ, რომ ასეთ დონეზე თამაში საქართველოს ნაკრებსაც შეუძლია. ბელგიასთან შარშან ორი მატჩი წავაგეთ, თუმცა, ყოველთვის ვგრძნობდი, რომ მათი დამარცხება შეგვეძლო".

რეპორტაჟების სპონსორია
გერმანული ლუდი ვარშტაინერი
EINE KÖNIGIN UNTER DEN BIEREN Warsteiner

კალათბურთი. ევრობასკეტი 2011

# უსენსაციო, მაგრამ საინტერესო


პაუ გასოლი

## ესპანეთი ბეწვის ხიდზე

ჩემპიონატის მთავარ ფავორიტსა და მოქმედ ჩემპიონს ესპანეთის ნაკრებს არცთუ ისე დამაჯერებელი სტარტი გამოუვიდა - **გორტატისა** და **ლიამპეს** არყოფნით დასუსტებულ პოლონეთს **გასოლმა** და კომპანიამ მხოლოდ ხუთი ქულა მოუგო.

პირველი ტაიმის ბოლოსკენ პოლონეთი 17 ქულას აგებდა (25:42), საფინალო სირენამდე 17 წამით ადრე კი ანგარიში 80:78 იყო ესპანეთის სასარგებლოდ. **სკარიოლოს** გუნდი **ნავაროს** ზუსტმა თამაშმა გადაარჩინა.

სწორედ ნავარო და პაუ გასოლი დაასახელეს მატჩის საუკეთესო მოთამაშეებად. პირველმა 23 ქულა მოიპოვა, „ლეიკერსის" ცენტრმა კი თავისი 29 ქულიდან 12 მეოთხე მეოთხედში მიითვალა. ასევე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბოლო წამებზე პაუს ჩაჭრას, რამაც გადაწყვიტა კიდეც მატჩის ბედი.

როგორც მოსალოდნელი იყო, თურქეთმა პორტუგალიას გადაუარა. პირველი 16 წუთის შემდეგ მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი 18 ქულას (33:15) იგებდა და შეხვედრას ყოველგვარი აზრი დაეკარგა. NBA-ის წლევანდელი დრაფტის ვარსკვლავმა **ენეს კარტერმა** პირველ ტაიმში 12 ქულა ჩააგდო, თამაშიდან ექვსი ისროლა, ექვსივე ზუსტად და ვალმოხდილი დაჯდა სათადარიგოთა სკამზე.

თურქეთის დიდი უპირატესობა რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა. გამარჯვებულმა თამაშიდან 51 პროცენტის სიზუსტით ისროლა, პორტუგალიამ - 33 პროცენტით. გარდა ამისა, თურქეთის სათადაგიროთა სკამმა 43:17 მოუგო პორტუგალიის რეზერვისტებს.

მარტო **დენგის** ფაქტორი საკმარისი არ აღმოჩნდა იმისთვის, რომ ბრიტანეთს სასწაული მოეხდინა და პირველ ტურში მასპინძელი ლიტვა დაემარცხებინა. არადა, ამის შანსი არსებობდა - საფინალო სირენამდე შვიდი წუთით ადრე ანგარიში 61:60 იყო ლიტველთა სასარგებლოდ. მომდევნო სამ წუთში მასპინძლებმა **კაუკენასის** მონდომებით 13:2 გაქცევა მოაწყვეს და გამარჯვებულის საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნა. კაუკენასი მატჩის გმირად აღიარეს - მან 16 ქულიდან 10 ბოლო მეოთხედში ჩააგდო.

ლიტვამ საშინლად ჩაატარა მესამე მეოთხედი, როცა 10 წუთში 10 (!) შეცდომა დაუშვა და ბოლო მეოთხედის წინ მეტოქეს სამი ქულით წინ გასვლის საშუალება მისცა, მაგრამ შემდეგ რაც მოხდა, უკვე მოგიყევით. რაც შეეხება დენგს, ის 26 ქულით მატჩის ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი იყო. ჩიკაგოელმა ამას 10 მოხსნაც დაუმატა.

### A ჯგუფი

**ესპანეთი-პოლონეთი 83:78**

**22:15, 22:16, 17:21, 21:26**

ე: პ. გასოლი (29+7 მოხსნა), ნავარო (23), მ. გასოლი (16+7 მოხსნა), იბაკა (7), ფერნანდესი (4), სან ემეტერიო (3), რეიესი (1).

პ: კოშარეკი (19), კელატი (18), ჰრიჩანიუკი (12+9 მოხსნა), შევჩიკი (10+5 მოხსნა), ლეონჩიკი (6), შჩეტკა (6), სკიბნევსკი (4), პამულა (3).

**თურქეთი-პორტუგალია 79:56**

**15:9, 24:18, 25:11, 15:18**

თ: კანტერი (14+7 მოხსნა), თურქოგლუ (14), ონანი (10), პრელჯიჩი (9), აქიოლი (8+5 მოხსნა), ილიასოვა (6+8 მოხსნა), სავაში (5), აშიქი (4), არსლანი (4), თუნჩერი (2+6 პასი), თურქილმაზი (2), გიულერი (1).

პ: ევორა (12+12 მოხსნა), და სილვა (9), მირანდა (8), ანდრადე (5+5 მოხსნა), ტავარესი (5), სანტოსი (5), ფონსეკა (4), მინიავა (3), სილვა (3), გონკალვეში (2).

**ლიტვა-ბრიტანეთი 80:69**

**19:18, 30:21, 5:18, 26:12**

ლ: კაუკენასი (16), იასიკიავიჩუსი (13+4 პასი), ლავრინოვიჩი (12+6 მოხსნა), იასაიტისი (11+6 მოხსნა), კალნეიტისი (7+5 პასი), პოჩიუსი (6), სონგაილა (5), პეტრავიჩუსი (4), იავტოკასი (4+6 მოხსნა), იანკუნასი (2).

ბ: დენგი (26+10 მოხსნა+4 პასი), კლარკი (15+8 მოხსნა), ფრილენდი (14), რეინკინგი (13), სალივანი (2).

## ცენტრალური მატჩი სერბეთმა მოიგო

ფავორიტთაგან იოლი გასეირნება არც საფრანგეთის ნაკრებს ჰქონია, რომელმაც ჩააგდო პირველი მეოთხედი და შვიდი ქულით ჩამორჩა ლატვიას. შემდეგ „მამლებისთვის" თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ მეოთხე მეოთხედში ბალტიისპირელებმა ორ ქულამდე შეამცირეს სხვაობა (70:72), თუმცა მეტის გასაკეთებლად ძალა აღარ ეყოთ - **ბატუმმა** და **ჟელაბალემ** სამქულიანები ჩააგდეს და საფინალო სირენამდე სამწუთნახევრით ადრე საფრანგეთი 78:70 გავიდა წინ.

შეხვედრა **ბლუმსისა** და **პარკერის** დუელად გადაიქცა. ლატვიელმა სნაიპერმა ცხრიდან ექვსი სამქულიანი ჩააგდო და 32 ქულით მატჩის საუკეთესო ბომბარდირი გახდა, პარკერის 31 ქულა კი ფრანგებში საუკეთესო მაჩვენებელი იყო. ტონიმ 19 ქულა მეორე ტაიმში მიითვალა.

ალსანიშნავია ლატვიელთა 18 წლის ნევრის **ბერტანსის** თამაში - ის სათადარიგოთა სკამიდან შევიდა მოედანზე და 13 წუთში 9 ქულა დააგროვა.

საფრანგეთის მსგავსად, პირველი მეოთხედი ჩააგდო სერბეთმა იტალიასთან მატჩში. აპენინელებმა ტურის ცენტრალური შეხვედრა 7 უპასუხო ქულით დაიწყეს, საწყისი 10-წუთეული კი 8 ქულით მოიგეს.

იტალიამ მეორე მეოთხედიც კარგად დაიწყო, მაგრამ ამჯერად მეტოქისგან საკადრისი პასუხიც მიიღო, თანაც თავი იჩინა **პიანიჯანის** გუნდის სუსტმა მხარემ - არაკვალიფიციურმა რეზერვმა. სერბეთმა ინიციატივა მოიპოვა და დიდი შესვენებისთვის თავად გავიდა წინ ექვსი ქულით. ერთ მომენტში **ივკოვიჩის** გუნდის უპირატესობა 17 ქულასაც შეადგენდა და ერთადერთი, რაც იტალიამ შეძლო, **ბელინელისა** და **ბარნიანის** მონდომებით სხვაობის ოთხ ქულამდე შემცირება იყო - 53:57. მეოთხე მეოთხედში სერბეთმა ისევ იძალა და საბოლოოდ, 12 ქულით მოიგო უმნიშვნელოვანესი მატჩი.

გერმანიის ნაკრები ისრაელის წინააღმდეგ მეორე მეოთხედში 25:23-ს იგებდა, როცა **კრის კამანმა** თავისი გუნდის 15:3 გაქცევას დაუდო სათავე და ისრაელი ამ შოკიდან მატჩის ბოლომდე ვერ გამოვიდა.

### B ჯგუფი

**სერბეთი-იტალია 80:68**

**10:18, 25:11, 22:24, 23:15**

ს: ტეოდოშიჩი (15+8 პასი), ტეპიჩი (15+4 პასი), მაჩვანი (14+8 მოხსნა), კრსტიჩი (8), კეშელი (7), პეროვიჩი (6), სავანოვიჩი (5+6 მოხსნა), რაშიჩი (5), ბიელიცა (3+5 მოხსნა), მარკოვიჩი (2+5 პასი).

ი: ბარნიანი (22+9 მოხსნა), გალინარი (15), ბელინელი (9+5 პასი), მანჩინელი (8+6 მოხსნა), ჰაკეტი (7), მორდენტე (3), კუზინი (2), კარარეტო (2).

**საფრანგეთი-ლატვია 89:78**

**18:25, 22:16, 23:18, 26:19**

ს: პარკერი (28+7 პასი), დიაო (14), ჟელაბალე (11), ბატუმი (10), ნოა (10+7 მოხსნა), დე კოლო (4), ჩიკამბუ (4), პიეტრუსი (3), ტრაორა (2).

ლ: ბლუმსი (32+6 პასი), ფრეიმანისი (11), დავ. ბერტანში (9), მეიერსი (8), სტრელნიექსი (6), კუკსიქსი (6), დაირ. ბერტანში (3).

**გერმანია-ისრაელი 91:64**

**15:14, 25:12, 25:17, 26:21**

გ: ნოვიცკი (25), კამანი (18+10 მოხსნა), ბენცინგი (12), შაფარციკი (10), შვეტელმი (9+5 მოხსნა), ჰერბერი (8), ოლბრეხტი (6+6 მოხსნა), შტაიგერი (2), იაგლა (1).

ი: პნინი (20), ელიაჰუ (11+6 მოხსნა), ჰალპერინი (7), ნაიმი (7), ბლუ (6), ბურშტეინი (5), კადირი (3), გრინი (3), მეკელი (2).

## ფინეთს სენსაცია შეეძლო

„ბალკანურ" ჯგუფშიც არ ყოფილა სენსაცია, თუმცა დღის მთავარ მოულოდნელობასთან ახლოს იყო ფინეთის ნაკრები. სკანდინავიური გუნდი 11 ქულით უგებდა ხორვატიას მეორე მეოთხედში და თამაშს დამაჯერებლად აკონტროლებდა იქამდე, სანამ მეტოქის 10:0 გაქცევა არ გამოეპარა. ამის გამო ფინეთმა ტაიმი მხოლოდ ორი ქულით მოიგო. შესვენებაზე კი ხორვატებმა საჭირო დასკვნები გააკეთეს და მეორე ტაიმში გაცილებით კარგად ითამაშეს, თუმცა იქაც ჰქონდათ ერთი კრიტიკული მომენტი, როცა ფინეთმა მინიმუმამდე შეამცირა სხვაობა (66:67). იქვე **მარკოტამ** მეტად საჭირო სამქულიანი ჩააგდო და ხორვატიამ შვებით ამოისუნთქა.

რაც შეეხება სამქულიანებს, ამ მხრივ ბრწყინვალე იყო ხორვატების სნაიპერი **ბოგდანოვიჩი** - მან პერიმეტრიდან ექვსჯერ ჩააგდო. თამაშის ამ კომპონენტში ფინეთი მოიკოჭლებდა - შორეული ტყორცნების 33 პროცენტი ჩააგდო. არადა, უკეთ რომ აემუშავებინა თავისი მთავარი იარალი, ვინ იცის, იქნებ მართლაც მომხდარიყო დიდი სენსაცია.

საბერძნეთის ნაკრები პირველ ტაიმს აგებდა ბოსნიასთან, მაგრამ მეორე ტაიმში, კერძოდ კი მესამე მეოთხედში გარდატეხა შეიტანა თამაშში. ბოსნია ახერხებდა თამაშისთვის ინტრიგის შენარჩუნებას, რომელიც საფინალო სირენამდე ექვსი წუთით ადრე მოკვდა, როცა ზედიზედ ორი სამქულიანით ბერძნებმა ათი ქულით წაიყვანეს ანგარიში - 66:56.

ბოსნია დაალალატა თავისმა ერთ-ერთმა ლიდერმა **ტელეტოვიჩმა**, რომელმაც ბოლო ცხრა სროლიდან ყველა ააცილა. საბერძნეთის რიგებში კი თითქმის ყველამ კარგად ითამაშა. მაგალითად, შეცვლაზე შესულმა **ბრამოსმა** 10 ქულა და სამი მოხსნა მიითვალა, რაც მეტოქისთვის დიდი მოულოდნელობა იყო.

პირველ ტურში ერთი ოვერტაიმიც ვიხილეთ. ჩერნოგორიას შეეძლო ძირითად დროში დაემარცხებინა მაკედონია, მაგრამ **პეკოვიჩმა** ბოლო წამს ააცილა ტყორცნა. სამაგიეროდ, დამატებით დროში **დაშიჩმა** ურთულესი სიტუაციიდან ჩააგდო და ოთხქულიანი უპირატესობა მოუტანა ჩერნოგორიას, რომელმაც სასურველი ჰანდიკაპი ოვერტაიმის ბოლომდე შეინარჩუნა. დაშიჩი კი 20 ქულითა და 16 მოხსნით შეხვედრის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს.

### C ჯგუფი

**საბერძნეთი-ბოსნია 76:67**

**15:17, 16:17, 24:15, 21:18**

ს: კალატესი (13+7 მოხსნა), ცისისი (13+4 პასი), ბურუსისი (12+5 მოხსნა), კუფოსი (10+10 მოხსნა), ბრამოსი (10), ფოცისი (9), პაპანიკოლაუ (5), კაიმაკოგლუ (2), ქსანტოპულოსი (2).

ბ: კიკანოვიჩი (15), გორდიჩი (12), ვასილევიჩი (9+5 პასი), ბაირამოვიჩი (9+5 მოხსნა), ჯედოვიჩი (8), დომერკანტი (7+6 მოხსნა), ტელეტოვიჩი (6), ბავჩიჩი (1).

**ჩერნოგორია-მაკედონია 70:65 (ო)**

**15:14, 10:16, 24:19, 12:12, 9:4**

ჩ: დაშიჩი (20+16 მოხსნა), დრაგიჩევიჩი (12), პეკოვიჩი (9+9 მოხსნა), კუკი (8+4 პასი), ვუჩევიჩი (7), იერეტინი (6+5 მოხსნა+4 პასი), ბაკიჩი (6), ვრანიეში (2).

მ: მაკალები (17+4 პასი), ანტიჩი (11), ილიევსკი (8), ჩეკოვსკი (8+6 მოხსნა), ვ. სტოიანოვსკი (7+8 მოხსნა), სოკოლოვი (5), სამარძიისკი (5+11 მოხსნა), დ. სტოიანოვსკი (4).

**ხორვატია-ფინეთი 84:79**

**25:26, 16:17, 19:13, 24:23**

ხ: ბაირამოვიჩი (27+7 მოხსნა), ტომიჩი (14+8 მოხსნა), პოპოვიჩი (12), მარკოტა (11+7 მოხსნა), ანდრიჩი (6), ზორიჩი (5+6 მოხსნა), სიმონი (4), სტიპჩევიჩი (3), ტომასი (2).

ფ: კოპონენი (14+6 პასი), სალინი (13), ჰაფი (11), პანიკო (10), ლი (7), მუურინენი (7), კოტი (6+9 მოხსნა), კოივისტო (6), მოტოლა (3), ნიკილა (2)

## რუსეთთან თამაში შეიძლება, სლოვენიასთანაც

ჩვენი ჯგუფის ფავორიტს სლოვენიის ნაკრებს ძალიან დიდი წინააღმდეგობა შეხვდა ბულგარეთის ნაკრებისგან. თამაშის დასრულებამდე ხუთი წუთი რჩებოდა და ბულგარეთი კომფორტული ექვსქულიანი სხვაობით იგებდა - 57:51. სლოვენია 11:0 გაქცევამ გადაარჩინა, რომელიც **ერაზემ ლორბეკის** ზუსტი ტყორცნით დაიწყო. ფავორიტის ეს სპურტი 56:59-ზე დაიწყო და ბოლო ორნახევარ წუთში ბულგარეთმა ერთი ქულაც ვერ აილო.

მატჩის გმირად ბულგარეთის ნატურალიზებული კალათბურთელი **როულენდი** მიიჩნიეს, რომელმაც 20 ქულა, ცხრა მოხსნა და სამი ჩაჭრა მიითვალა, გამარჯვებულთა რიგებში კი სამი კალათბურთელი ბრწყინავდა. ლორბეკმა 18 ქულა და 9 მოხსნა დააგროვა, „ჰიუსტონის" გამთამაშებლის **გორან დრაგიჩის** ანგარიშზე 13 ქულა, 6 პასი და ამდენივე მოხსნა იყო, მისი ძმა - **ზორანი** კი 12 ქულითა და 7 მოხსნით დაეხმარა თავის გუნდს.

ორივე გუნდის სუსტი წერტილი იყო სამქულიანები - თითოეულმა 3-3 შორეული ტყორცნა მოათავსა კალათში. ბულგარეთს ამისთვის 21 ცდა დასჭირდა, სლოვენიას - 26.

სლოვენია თითქმის მთელი თამაში წინ იყო - მოიპოვებდა კომფორტულ უპირატესობას და შემდეგ დაწევის საშუალებას აძლევდა მეტოქეს. პირველად სლოვენიელები ორნიშნა უპირატესობით წინ მესამე მეოთხედში გავიდნენ - 43:32 და თითქოს გადაწყვიტეს მატჩის ბედი, მაგრამ ბულგარეთის 13:2 გაქცევას მოჰყვა ის კრიტიკული მომენტი, რომლის შესახებაც ზემოთ გელაპარაკეთ - სლოვენიას ბოლო წუთებზე ექვსქულიანი დეფიციტის გაბათილებაზე ზრუნვამ მოუწია.

უკრაინის ნაკრებმა დაგვანახვა, რომ რუსეთთან ბრძოლა შეიძლება. ბოლო მეოთხედის წინ ბლატის გუნდის უპირატესობა სულ რაღაც სამი ქულა იყო. ეს სხვაობა იყო დაფიქსირებული საფინალო სირენამდე სამი წუთით ადრე (65:62), როცა რუსეთმა თავისი მთავარი იარალი - დაცვა აამოქმედა და მაქსიმალურად შეზღუდა შეტევაში მეტოქე. **ხრიაპასა** და **კირილენკოს** კარგი თამაშის წყალობით რუსეთმა შვიდქულიანი ჰანდიკაპი აღადგინა და ამის შემდეგ მოგება დიდ სირთულეს აღარ წარმოადგენდა.

რაც შეეხება რუსების შეტევას, ამ მხრივ მხოლოდ **კირილენკოს** გამოყოფა თუ შეიძლება. სულ კი ჩვენმა დღევანდელმა მეტოქემ თამაშიდან 64-ჯერ ისროლა და მხოლოდ 25 ჩააგდო, რაც 40 პროცენტზე ნაკლები იყო.

### D ჯგუფი

**სლოვენია-ბულგარეთი 67:59**

**17:13, 12:12, 18:15, 20:19**

ს: ლორბეკი (18+9 მოხსნა), გ. დრაგიჩი (13+6 მოხსნა+6 პასი), ზ. დრაგიჩი (12+7 მოხსნა), ლაკოვიჩი (6+5 პასი), ბეგიჩი (4+5 მოხსნა), ოზბოლტი (4), ს. უდრიხი (3), იაგოდნიკი (3), სლოკარი (2).

ბ: როულენდი (20+9 მოხსნა), ვიდენოვი (14), კოსტოვი (7), კ. ივანოვი (5), დ. ივანოვი (5+9 მოხსნა), ვარბანოვი (4), ავრამოვი (2), გეორგიევი (2).

**რუსეთი-უკრაინა 73:64**

**15:11, 13:13, 25:26, 20:14**

რ: კირილენკო (20+11 მოხსნა+4 ჩაჭრა), შვედი (10), ფრიძონი (9), ბიკოვი (8), ხრიაპა (6+4 პასი), ვორონცევიჩი (6+6 მოხსნა), მოზგოვი (4), პონკრაშოვი (3), მონია (2).

უ: ლიშჩუკი (13), კრავცოვი (12), კოლჩენკო (9), ბერტი (7+6 პასი), პუსტოზვონოვი (6), პეჩეროვი (6+9 მოხსნა), ზაბირჩენკო (5), კოზლოვი (3), ლუკაშოვი (3).

გია თვალაბეიშვილი

**ქართული სპორტი**

**კალათბურთი**

# იგორ კოკოშკოვი: მერწმუნეთ, ძალიან გახარებული ვარ

**კალათბურთელ** ვაჟთა ევროპის ჩემპიონატზე ბელგიასთან სასტარტო მატჩის მოგების (81:59) შემდეგ საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა იგორ კოკოშკოვმა რუსულ „სპორტექსპრესს" ინტერვიუ მისცა, რომლის შემცირებულ ვარიანტს აქვე გთავაზობთ:

**- იმის მიუხედავად, რომ ეს-ეს არის ცხოვრებაში ლამის ყველაზე მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეთ, რალაც დალონებული მეჩვენებით...**

- (ილიმება). მაკვირვებთ. როგორ, ბედნიერად არ გამოვიყურები? მერწმუნეთ, ძალიან გახარებული ვარ. ეს იყო ჩვენი პირველი თამაში ისეთ პასუხსაგებ შეჯიბრებაზე, როგორიც ევროპის ჩემპიონატია. ის ჩემთვისაც და მთლიანად საქართველოსთვის ბევრს ნიშნავდა. კარგია, რომ ადამიანებს სიხარული მივანიჭეთ. მადლობა გულშემატკივრებს ომახიანი მხარდაჭერისთვის. შესაძლოა, აშკარად ვერ გამოვხატავ ჩემს ემოციებს, როგორც ჩემი შეგირდები, მაგრამ, დამიჯერეთ, ჩემი სული ნამდვილად მღერის.

**- რუსეთის ნაკრებთან მატჩზე რას ფიქრობთ?**

- ამ დაპირისპირებაში ჩვენ აუტსაიდერებად გამოვიყურებით. რუსეთის ნაკრებს შეუძლია, გუნდის დასაკომპლექტებლად საუკეთესოთა შორის საუკეთესოები შეარჩიოს. საქართველო პატარა ქვეყანაა და ამდენი ტალანტი არ მოეძებნება. ვავარჯიშებ ნაკრებს, რომლის წევრებმაც წარმატებისთვის საუკეთესო თვისებები უნდა წარმოაჩინონ. ისეთ გუნდებთან თამაშისას, როგორიც რუსეთი და სლოვენიაა, აუცილებელია, თითოეულმა ქართველმა კალათბურთელმა შესაძლებლობის 100 პროცენტი გამოავლინოს. წარმატების შანსიც მაშინ გამოჩნდება.

**- და მაინც, რუსებთან პაექრობისას რა შეიძლება გადამწყვეტ მომენტად აღმოჩნდეს?**

- ევროპულ და ნბა-ს კალათბურთს შორის სხვაობა სწორედ ეს არის: ამერიკაში თითოეულ მატჩს აქვს გარკვეული საკვანძო წერტილები. მათზე ზუსტი ზემოქმედება დადებით შედეგს გაძლევს. ევროპული კალათბურთი უფრო გუნდური თამაშია. შეგირდები მწვრთნელის ყველა მითითებას და თამაშის გეგმას ზუსტად თუ შეასრულებენ, მხოლოდ მაშინ მიაღწევ გამარჯვებას...

**ვაჟა დანელია**

# ჯვაროსნები უკრაინელთა თვალით



**საქართველოს ნაკრების სრულფასოვანი ისტორია ახლა იწყება, რადგან სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საერთაშორისო სარბიელზე ქართველ კალათბურთელებს მნიშვნელოვანი წარმატებისთვის არ მიუღწევიათ. საგულისხმოა, რომ ქვეყნის სუსტ ჩემპიონატში შესანიშნავ მოთამაშეთა მთელი თაობა აღიზარდა. საქართველოს ამჟამინდელი ნაკრები ახალგაზრდულია, არადა, გუნდის წევრები ხუთი წელიწადია, ერთად გამოდიან. წლეულს ისინი ევრობასკეტის ფინალურ ეტაპზე რომ თამაშობენ, ეს უკვე დიდი წარმატებაა, ამიტომ ლიტვაში მათი ნებისმიერი შედეგი ქართული კალათბურთის ახალი მწვერვალი იქნება.**

## მწვრთნელი

ქართველ კალათბურთელთა ბოლოდროინდელი წარმატებები იგორ კოკოშკოვის სახელს უკავშირდება. სერბი მწვრთნელი, ამერიკული გამოცდილებით, 2007 წელს ჩაუდგა სათავეში ეროვნულ გუნდს და ევროპის ჩემპიონატის B დივიზიონიდან ევრობასკეტამდე მიიყვანა იგი. ჯერ კიდევ 1997 წელს 26 წლის ბალკანელს ბელგრადის „პარტიზანის" ახალგაზრდული კოლექტივი ანდეს, თუმცა მისი სამწვრთნელო ნიჭი არა სამშობლოში, არამედ ამერიკაში გაიფურჩქნა: 2003 წელს იგი „კლიპერსის" მთავარი მწვრთნელის ასისტენტად მუშაობდა, ერთი წლის შემდეგ კი „დეტროიტში" აღმოჩნდა და მასთან ერთად ნბა-ს ჩემპიონიც გახდა. ამჟამად კოკოშკოვი „ფინიქსში" ელვინ ჯენტრის ეხმარება. 2004 წლის ათენის ოლიმპიადასა და 2005 წლის ევრობასკეტზე იგი ჟელკო ობრადოვიჩის სამწვრთნელო შტაბში შედიოდა, რომელიც სერბეთსა და ჩერნოგორიას ხელმძღვანელობდა.

## ძალა

ძალიან ბევრ მწვრთნელს შეშურდება იგორ კოკოშკოვისა, ისეთი ნიჭიერი კალათბურთელები არიან მის განკარგულებაში. უპირველესად ატლანტელი ცენტრი ზაზა ფაჩულია უნდა გამოვყოთ. საქართველოს ნაკრებში ერთადერთი ნბა-ს წარმომადგენელი არა მარტო გუნდის კაპიტანი და ლიდერია, არამედ ნაკრების მთელი თამაში მასზეა აწყობილი. როცა კოკოშკოვი ზაზას სულის მოთქმის საშუალებას აძლევს, ფაჩულიას პარტნიორები ძალუმად გრძნობენ მის არყოფნას მოედანზე. ალბათ, სასურველია, ჩამოვთვალოთ გუნდის ლიდერის ძლიერი მხარეები - კარგი ტყორცნები საშუალო მანძილიდან, ფარისკენ ზურგით დგომით თამაშის ხელოვნება, ოპონენტთა დაჩაგვრა, მოედნის არცთუ ცუდი ხედვა, აგრესიულობა დაცვაში... ამგვარი თვისებებით ნბა-ში ძნელია, ვინმე გააკვირვო, მაგრამ ევრობასკეტზე ვისაც საქართველოს ნაკრების დამარცხება სურს, უპირველესად „ფაჩულიას პრობლემა" უნდა მოაგვაროს. ამხანაგურ მატჩებსა და შესარჩევ ციკლში, სწორედ, რომ ზაზა აგროვებდა გუნდში ყველაზე მეტ ქულას. ამის ახსნა კი იოლია - პარტნიორები ფაჩულიას სამწამიან ზონაში აწვდიან ბურთს და მან კარგად იცის, როგორ გაგზავნოს ის კალათში. თუკი ზაზა ვერ პოულობს მდგომარეობიდან თავის დაღწევის საშუალებას, მაშინ იგი მოედნის სიღრმისკენ მეტოქის რამდენიმე კალათბურთელს გაიტყუებს და გამოთავისუფლებულ თანაგუნდელს აწვდის ბურთს სამქულიან რკალთან ახლოს. შეტევის ამგვარი განვითარება ნაკრების მეორე იარაღია. სნაიპერებს შორის კი უნდა გამოვყოთ მანუჩარ მარკოიშვილი - კიევის ბკ-ს უწინდელი ლიდერი, რომელიც ახლა იტალიის ვიცე-ჩემპიონ „კანტუს" ძირითადი ფორვარდია. მართალია, მანუს ჩინებულად შეუძლია გარღვევები ფარქვეშ, მაგრამ ამ თვისებით ნაკრებში იშვიათად სარგებლობს. ამის მიუხედავად, იგი ყველაზე საშიში ადამიანია რკალში. მეტოქეებმა იციან ამის შესახებ და ცდილობენ, მას სივრცე შეუზღუდონ, თუმცა მარკოიშვილი მაინც ახერხებს ზუსტი ტყორცნისთვის თავისუფალი ადგილის მოძებნას მოედანზე. თუკი ფაჩულიას გვერდით მანუჩარი არ აღმოჩნდება, მას ელვისებურად ცვლიან ვიქტორ სანიკიძე და ნიკოლოზ ცქიტიშვილი, მცველები - გიორგი ცინცაძე და მარკის ჰეინსი.

სხვათა შორის, ნაკრების თამაშის სისწრაფე ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, პლეიმეიქერთა შორის ვინ იმყოფება მოედანზე. ამ ეტაპზე კოკოშკოვი უფრო მეტად ცინცაძეს ენდობა. მართალია, შეტევაში იგი პარტნიორზე სუსტად გამოიყურება, მაგრამ უფრო ძლიერია დაცვაში. შეტევისას გიორგის ამოცანა მეტოქის ნახევარზე ბურთის გადატანა და მისი „მაღლებისთვის" გადაწოდება, ასევე, ტყორცნისთვის შესაფერისი მდგომარეობის შერჩევაა. რაც შეეხება ჰეინსს, მას შეუძლია როგორც პირველი, ისე მეორე ნომრის პოზიციაზე თამაში. გამოირჩევა სისწრაფით. არცთუ იშვიათად საკუთარ თავზე იღებს ინიციატივას, ელვისებურად იწყებს შეტევას და პარტნიორებს რომ არ ელოდება, ისე ცდილობს მის დამთავრებას. ზოგჯერ გამოსდის, ზოგჯერ კი - არა.

ნაკრების ძლიერი მხარეა მისი გრძელი სკამი. სერბი მწვრთნელის სასტარტო ხუთეულის წევრებს - ფაჩულიას, სანიკიძეს, მარკოიშვილს, ცინცაძესა და ვლადიმერ ბოისას შენგელია, შერმადინი და ცქიტიშვილი სრულფასოვნად ვერ შეცვლიან, მაგრამ, როგორც ამბობენ, ფაფას არ გააფუჭებენ. ქართველებს ერთადერთი დეფიციტი მსუბუქი ფორვარდის პოზიციაზე აქვთ.

## სისუსტე

საქართველოს ნაკრების სისუსტე მისსავე ძალაში - ზაზა ფაჩულიაშია. საქმე ის არის, რომ გუნდი ბევრად არის დამოკიდებული თავის ცენტრზე. ფაჩულიას თამაში თუ წაუვიდა, ნაკრებში ყველაფერი რიგზეა, მაგრამ „ატლანტის" კალათბურთელს მეტოქეები თუ ამოკეტავენ, ქართველები სამქულიანებს ველარ აგდებენ, რასაც, შესაძლოა, სრული ჩავარდნა მოყვეს. ეს, ცხადია, შეტევას ეხება. დაცვაში კი ქართველებს არ ჰყავთ ისეთი მოთამაშე, რომელსაც კოკოშკოვი ასპროცენტიანად ენდობა. ამ პოზიციაზე საქართველო ზონურ ვარიანტს პერსონალური მეთვალყურეობით ცვლის, თუმცა ორივე შემთხვევაში მოწინააღმდეგეს თავისუფალ სატყორცნ პოზიციაზე გასვლა იოლად შეუძლია. აღსანიშნავია ისიც, რომ ქართველებს უჭირთ იმ გუნდებთან პაექრობა, რომლებიც ელვისებურ კალათბურთს თამაშობენ. მთავარი პოზიციები ნაკრებში ტანმაღალ კალათბურთელებს უკავიათ, რომლებსაც სწრაფ მეტოქეებთან გამკლავება უჭირთ.

## პროგნოზი

თავისი შემადგენლობითა და შესაძლებლობებით საქართველოს ნაკრები შეიძლება ფავორიტად მივიჩნიოთ ჯგუფში მესამე ადგილისთვის ბრძოლაში. კოკოშკოვის შეგირდებმა სლოვენია წინ უნდა გაუშვან, რუსებთან კი ცნობილი პოლიტიკური ვითარების გამო ქართველი კალათბურთელები ალბათ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებენ.

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო

**ჭიდაობა. მსოფლიოს ჩემპიონატი**




# გოგშელიძე მსოფლიოს იჭიდავებს

**თავისუფალი** სტილით მოჭიდავეთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ზაზა თურმანიძემ** დაასახელა 12-18 სექტემბერს სტამბოლში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატზე წასაყვანი შემადგენლობა, რომელშიც მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი, ოლიმპიური პრიზიორი **გიორგი გოგშელიძეც** (96) შეიყვანა. სხვა წონებში **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (55), **მალხაზ ზარქუა** (60), **შალვა მუზიაშვილი** (66), **დავით ხუციშვილი** (74), **დავით მარსაგიშვილი** (84) და **დავით მოძმანაშვილი** (120) იჭიდავებენ.

თურმანიძემ აქცენტი ძირითადად იმ ფალავნებზე შეაჩერა, რომლებიც ივნისში თბილისში წარმატებით გამოვიდნენ მსოფლიოსთვის მთავარ შესარჩევ შეჯიბრებაში - ვახტანგ ბალავაძის ტურნირზე. თუმცა იქ ახალი თაობის სამ წარმომადგენელს - ხინჩეგაშვილს, ხუციშვილსა და მარსაგიშვილს არ უჭიდავიათ, მაგრამ მათ იმთავითვე დაუჯავშნა ადგილი მსოფლიოზე. ძნელია, ამისთვის მწვრთნელი გაამტყუნო, რადგან იმ წონებში ამათზე უკეთესები მართლაც არ ჰყავს. საკუთარი სიძლიერე მოგვიანებით მათ შეჯიბრებებშიც დაამტკიცეს - ხუციშვილმა საერთაშორისო ტურნირებში გამოიჩინა თავი, იმ დუეტმა კი ახალგაზრდებში დუბლი შეასრულა, ხოლო უფროსებში ევროპის ვიცე-ჩემპიონები გახდნენ.

გერმანიაში ხელზე გაკეთებული ოპერაციის შემდეგ გოგშელიძეს არსად უჭიდავია და ბოლო ხანებამდე სარეაბილიტაციო პერიოდს გადიოდა. ის გეგმაზომიერად კი მიდიოდა, მაგრამ ვერანაირად ვერ დააჩქარებდა და ვერც ტურნირებში მოასწრო გამოსვლა. აქედან გამომდინარე, ოპტიმალურ ფორმაში რომ ვერაა, ამას არც თურმანიძე უარყოფს, თუმცა მისი გამოცდილებისა სჯერა და ამიტომაც მიჰყავს სტამბოლში. ეს სალიცენზიო ტურნირია და ექსპერიმენტების დრო არააო, თქვა მწვრთნელმა. ვფიქრობთ, ასეთ პირობებში გოგშელიძეს კიდევ უფრო გაუჭირდება რუსთა ოთხგზის მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონ **ჰაჯიმურატ გაცალოვთან** და აზერბაიჯანელ მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონთან, ოლიმპიურ პრიზიორ **ხეტაგ გოზიუმოვთან** ბრძოლა.

მსოფლიოს ჩემპიონატზე ყოველ წონაში 6-6 საგზური გაიცემა ანუ ლიცენზიის მოსაპოვებლად სპორტსმენმა, მინიმუმ, ბრინჯაოსთვის მაინც უნდა იჭიდაოს.

თავისუფალი სტილით მოჭიდავეები შაბათს დუშეთში წავლენ დასკვნით შეკრებაზე, სტამბოლში კი 14 სექტემბერს გაფრინდებიან.

ბერძენ-რომაელთა ნაკრები [illegible] დუშეთშია და ბოლო შეკრებას გადის, თუმცა ბეგი დარჩია შემადგენლობას კვირას დაასახელებს. ისინი თურქეთში 9 სექტემბერს გაემგზავრებიან. ჩემპიონატი 12 სექტემბერს იწყება და მასში პირველები ბერძენ-რომაელები ჩაებმებიან - 55, 66 და 96-ის ფალავნები. მეორე დღეს 60, 84 და 120-ის წარმომადგენლები იასპარეზებენ. 14-ში ბერძენ-რომაელთა ბოლო წონასთან - 74-თან ერთად ტურნირში ქალებიც ჩაერთვებიან, რომლებიც გამოსვლას 16-ში დაამთავრებენ. იმავე დღეს იჭიდავებს „თავისუფალთა" პირველი წონა - 55. 17-ში ლეიბზე 60, 86 და 96-ის ფალავნები გავლენ, ჩემპიონატს კი 66, 74 და 120-ის მოჭიდავეები დაასრულებენ.

**ირაკლი თავაძე**

**ბრძოლა წესების გარეშე**



# მალე საქართველო უმასპინძლებს

20-21 აგვისტოს ჩვენმა კარატისტებმა ინგლისის ქალაქ კარდიფში მსოფლიო საბრძოლო ხელოვნებათა თამაშებზე იასპარეზეს. გამორჩეულ ოსტატთა შორის იყო საქართველოს კარატეს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი, მეშვიდე დანის მფლობელი, შიხანი **კახა ბასილია.** უსახსრობის გამო გუნდი არ გვყავდა ამ პრესტიჟულ ჩემპიონატზე და იგი მხოლოდ კატაში გამოდიოდა ეროვნული ნაკრების ღირსების დასაცავად. ამჯერად ქართული კარატეს თავკაცი მხოლოდ მეორე ადგილს დასჯერდა. კახა ბასილიას თქმით, ეს მან განგებ გააკეთა, რადგან გამარჯვებული სპეციალური პრიზით, ვერცხლის მედალოსანი კი სოლიდური თანხით ჯილდოვდებოდა. ეს თანხები მხოლოდ ნაკრების დაფინანსებას მოხმარდება.

ლონდონში კახა ბასილიას მნიშვნელოვანი შეხვედრებიც ჰქონდა ინგლისის ფედერაციის ხელმძღვანელობასთან. საგულისხმოა, რომ ამ ქვეყანაში დიდი ხანია წარმატებით ასპარეზობს ჩვენი თანამემამულე **თენგო თევდორაძე.**

„ბევრმა ფაქტორმა განაპირობა, რომ ინგლისის ფედერაცია და მათი პრომოუტერები ამ ეტაპზე მხოლოდ საქართველოთი დაინტერესდნენ. მოლაპარაკებაც შედგა შემდგომი თანამშრომლობის თაობაზე. სულ მალე, სექტემბერში, ინგლისიდან ბრძოლა წესების გარეშე სტილით მსოფლიოში ცნობილი საუკეთესო სპორტსმენები გვესტუმრებიან. ვიზიტის დროს ხელი მოეწერება მემორანდუმს, რომლის საფუძველზე საქართველო წარმოდგენილი იქნება საერთაშორისო შეჯიბრებების კალენდარში და ჩვენც ვუმასპინძლებთ სარეიტინგო თუ მსოფლიო-ევროპის ჩემიონატებს. ეს დიდად წაადგება ქართველი მებრძოლების განვითარებას, გულშემატკივრებს კი მიეცემათ შესაძლებლობა, იხილონ რჩეულთა მაღალი ოსტატობა. დავძენ, რომ მოლაპარაკების წარმატებით დასრულებაში დიდი წვლილი მიუძღვის ქართულ სათვისტომოს ინგლისში, რისთვისაც მადლობას ვუხდი მათ" - განაცხადა ინგლისიდან დაბრუნებულმა კახა ბასილიამ.

**„ლელოს" კორ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული სპორტი

## თვის მონაგარი. აგვისტო

**3. ფეხბურთი.** ჩემპიონთა ლიგის III საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩში „ზესტაფონი" 0:1 დამარცხდა ავსტრიულ „შტურმთან" და ტურნირს დაემშვიდობა.

**4. ფეხბურთი.** ევროპალიგის III საკვალიფიკაციო ეტაპზე „დინამომ" 2:0 მოუგო „რეიკიავიკს", „მეტალურგი" „რენთან" 0:2 დამარცხდა. შემდეგ ეტაპზე თბილისის „დინამო" გავიდა.

**7. კალათბურთი.** საქართველოს ნაკრებმა ესტონეთის ოთხთა ტურნირზე მე-2 ადგილი დაიკავა.

**7. კალათბურთი.** საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ბ დივიზიონში მე-16 ადგილზე გავიდა.

**10. ფეხბურთი.** საქართველოს ნაკრები სტუმრად პოლონეთის ეროვნულ გუნდთან 0:1 დამარცხდა ამხანაგურ მატჩში.

**11. კალათბურთი.** ათენის „პანათინაიკოსს" დაუბრუნდა **გიორგი შერმადინი.**




**11-12. თავისუფალი ჭიდაობა.** ვარშავაში კადეტთა ევროპის ჩემპიონატზე ქართველებმა 4 მედალი მოიპოვეს: **გენო პეტრიაშვილი** ჩემპიონი გახდა, **შოთა ფანცულაიას** და **ომარ გურჯიძეს** ვერცხლის მედლები ერგოთ, **შოთა ფარტენაძე** კი ბრინჯაოს დასჯერდა.

**11-14. ძიუდო.** კიევში, მსოფლიოს ჭაბუკთა ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა 2 ოქრო (**ბექა ლვინიაშვილი, გურამ თუშიშვილი**), 2 ვერცხლი (**ბექა დონლვანი, შალვა ჩოჩელი**) და 1 ბრინჯაო (ლევან გუგავა) მოიპოვა.

**12-23. მსოფლიო უნივერსიადა.** საქართველოს დელეგაციამ ჩინურ შენზენში მსოფლიო უნივერსიადიაზე ისპარეზა.

**14. კალათბურთი.** საქართველოს ნაკრებმა ჰოლანდიის ოთხთა ტურნირი მოიგო.

**14. რაგბი.** საქართველოს ნაკრებმა საკონტროლო მატჩში ფრანგული „ორიაკი" 28:24 დაამარცხა.

**14-15. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.** ვარშავაში კადეტთა ევროპის ჩემპიონატზე ქართველებმა 5 მედალი მოიპოვეს: **კუკური კირცხალია** და **ლაშა გობაძე** (ვერცხლი), **რამაზ ზოიძე, ედნარ შავაძე** და **შმაგი ბოლქვაძე** (ბრინჯაო).

**16. ძიუდო.** ფედერაციის ყრილობაზე პრეზიდენტად **გიორგი ალექსიძე** აირჩიეს.

**16. კალათბურთი.** საქართველოს ნაკრებმა თბილისში ამხანაგურ მატჩში 97:91 მოუგო ისრაელის გუნდს.

**16. ფეხბურთი.** თანამდებობიდან გადადგა „ზესტაფონის" მთავარი მწვრთნელი **გია გეგუჩაძე.**

**18. ფეხბურთი.** ევროპალიგის პლეი ოფში „ზესტაფონი" 3:3 ეთამაშა „ბრიუგეს", ხოლო „დინამომ" აეკ-თან 0:1 წააგო.

**19. რაგბი.** საქართველოს ნაკრებმა საკონტროლო მატჩში ფრანგული „ბურგუენი" 28:15 დაამარცხა.

**19. კალათბურთი.** ნაკრების თავკაცმა **იგორ კოკოშკოვმა** ევროპის ჩემპიონატზე გასამგზავრებელი შემადგენლობა დაასახელა.

**22. რაგბი. რიჩი დიქსონმა** იმ 30 „ბორჯღალოსნის" სია დაასახელა, რომლებიც მსოფლიოს თასზე იასპარეზებენ ახალ ზელანდიაში.

**22. კალათბურთი.** საქართველოს ნაკრებმა ამხანაგურ მატჩში ლატვიას 83:79 მოუგო, ხოლო **ზაზა ფაჩულიამ** ნაკრების რეკორდი დაამყარა - 42 ქულა ჩააგდო.

**23-24. თავისუფალი ჭიდაობა.** უნგრულ სომბატჰეიში ჭაბუკთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ქართველებმა 3 მედალი მოიპოვეს: **გენო პეტრიაშვილი** (ვერცხლი), **გიორგი ჩხარტიშვილი** (ბრინჯაო), **შოთა ფარტენაძე** (ბრინჯაო).

**24. კალათბურთი.** საქართველოს ნაკრები ლატვიასთან ამხანაგურ მატჩში 73:84 დამარცხდა.

**25. ფეხბურთი.** ევროპალიგის საპასუხო პლეი ოფში თბილისის „დინამომ" 1:0 მოუგო ბერძნულ აეკ-ს, მაგრამ დამატებით დროში სტუმრებმა გოლი გაიტანეს და ჯგუფურ ეტაპზე მოხვდნენ, „ზესტაფონი" „ბრიუგესთან" 0:2 დამარცხდა.

**27. კალათბურთი.** საქართველოს ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატამდე ბოლო ამხანაგური მატჩი გამართა და ლიტვასთან 80:88 წააგო.

**27-28. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.** უნგრულ სომბატჰეიში ჭაბუკთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ქართველებმა 3 მედალი მოიპოვეს: **რამაზ ზოიძე** (ოქრო), **ზურაბ გედეხაური** (ვერცხლი), **ლაშა გობაძე** (ბრინჯაო).

**28. რაგბი.** საქართველოს ჩემპიონატში შვიდკაცა რაგბიში, II ეტაპი „ყოჩებმა" იმარჯვა.

**28. ძიუდო.** პარიზში, მსოფლიოს ჩემპიონატზე **ირაკლი ცირეკიძემ** (100 კგ) ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

**30. სუმო.** გამოქვეყნდა სუმოს ახალი რეიტინგ-ლისტი. **ლევან ცაგურია** (კოკაი) ელიტას დაუბრუნდა, ხოლო **ლევან გორგაძემ** (ტოჩინოშინი) კომუსუბის ტიტული დაკარგა.

**31. კალათბურთი.** საქართველოს ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე პირველი შეხვედრა გამართა. ჩვენებმა ბელგიას 81:59 მოუგეს

**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

## ჩოგბურთი

# ანა ანასტასიასთან ვერას გახდა

ამერიკის ღია პირველობის პირველ წრეში საქართველოს პირველმა ჩოგანმა **ანა ტატიშვილმა** ვერაფერი გააწყო მე-17 ნომრად განთესილ რუს **ანასტასია პავლიუჩენკოვასთან** და გათამაშებას ნაადრევად დაემშვიდობა. მსოფლიოს მე-16 ჩოგანმა რუსმა კლასიფიკაციაში 85-ე ადგილზე მყოფ ტატიშვილს იოლად, 6:2, 6:2 მოუგო. ჩვენებურმა მხოლოდ 5 სარეიტინგო ქულა, თუმცა საკმაოდ დიდი ჰონორარი, 19 ათასი დოლარი მიითვალა. პავლიუჩენკოვამ ჩვენებურს საათნახევარში მოუგო, რუსმა ხუთი ეისი ჩააგდო (ქართველმა არც ერთი) და 10-დან 7 ბრეიკპოინტი გამოიყენა (ანამ 11-დან 4).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**





# ქართული სპორტის ქრონიკა

## მსოფლიოს ჩემპიონები საქართველოდან

# რუსუდან სიხარულიძე



დაიბადა 19.08.1954, ბათუმი. **სპორტული ტანვარჯიში.** მსოფლიოს ჩემპიონი გუნდურ პირველობაში და მესამე პრიზიორი თავისუფალ ვარჯიშში (1974), სსრკ ორგზის ჩემპიონი (1973 - მრავალჭიდი, 1974 - თავისუფალი ვარჯიში). საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი. ღირსების ორდენის კავალერი, საქართველოს ტანვარჯიშის ეროვნულ სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტი 2005.

## ვინ, როგორ იწყებდა...

**მანუჩარ მაჩაიძე** იგონებს: *„ფეხბურთის თამაში, მისი ანბანა, მე და გოჩამ, ჩემმა ერთი წლით უმცროსმა ძმამ, ჩვენი სახლის ეზოში ვისწავლეთ, ნაძალადევში, გუდამაყრის ქუჩაზე, სადაც ფეხი და ენა ავიდგით და ბავშვობა-სიყრმე-სიჭაბუკეც გავატარეთ".*

## სათავეები

# ველოსპორტი



საქართველოში ველოსპორტი XIX საუკუნის მიწურულს შემოვიდა, როცა თბილისში, ყოფილი დიდი მთავრის (ახლანდელი უზნაძის) ქუჩაზე აიგო პირველი ველოტრეკი. ამ საქმის ერთ-ერთი თაოსანი იყო ცნობილი სამხედრო ინჟინერი, თავადი **ვასილ ჯორჯაძე** (1856-1927), რომელსაც საკმაოდ დიდი თანხა გაუღია. ტრეკის ამოქმედების ოფიციალურ თარიღად 1892 წელი სახელდება. 1893 წელს ვასილ ჯორჯაძეს ექვსთა ტურნირი მოუწყვია. ტურნირში სწორედ ჯორჯაძეს გაუმარჯვია, თანაც - დიდი უპირატესობით. ამიტომაც არის, რომ საქართველოს პირველ ველოსიპედისტად ვასილ ჯორჯაძეა აღიარებული. XX საუკუნის დასაწყისში სახელი გაითქვა **ლადო კავსაძემ** - პოპულარულმა ველოსიპედისტმა, მოჭიდავემ, საოპერო და საესტრადო მომღერალმა. 1907 წლის 18 მაისს თბილისის ველოტრეკზე კავსაძემ რუსთა სახელოვან სპორტსმენს **სერგეი უტოჩკინს** აჯობა და ჯილდოდ 300 მანეთი მიიღო. ამის შემდეგ კავსაძე წარმატებით გამოდიოდა ილერის, ტულის, ხარკოვისა და მოსკოვის ველოტურნირებში, პეტერბურგში კი, გარდა რუსებისა, დაუმარცხებია ინგლისელი, ამერიკელი და იტალიელი მრბოლები.

1910-იან წლებში ველოსპორტი ქუთაისშიც გავრცელდა, რასაც ხელი შეუწყო ველოსიპედების საფირმო მაღაზიის გახსნამ. ამ მაღაზიის მეპატრონეს **ვლადიმერ ტერკის** თაოსნობით საღორიას ტყის მიდამოებში ხშირად იმართებოდა ველოსიპედისტთა შეჯიბრებები. 1920 წელს ქუთაისის „შევარდენის" ვარჯიშთავმა **დათა ჯავრიშვილმა** ჩამოაყალიბა ველოსიპედისტთა სექცია. საქართველოს ველოსიპედისტთა შემდეგმა თაობებმა სახელი გაითქვეს მთელ სოფლიოში.

საქართველოს ველოსპორტის ფედერაცია დაფუძნდა 1992 წლის 13 მარტს. 1992 წლიდან ველოსპორტის საერთაშორისო კავშირისა (UCI) და ევროპის ველოსპორტის კავშირის (UEC) წევრია.

## თარიღი

### 1-7 სექტემბერი

**01. 1913 წ.** დაიბადა **სერგო შუდრა** - ფეხბურთი. გარდაიცვალა 1983 წელს.

**01. 1933 წ.** დაიბადა **რომან ძნელაძე** - ჭიდაობა. გარდაიცვალა 1966 წელს.

**01. 1937 წ.** დაიბადა **ილია დათუნაშვილი** - ფეხბურთი.

**02. 1925 წ.** დაიბადა **ანდრო ზაზროევი**-ფეხბურთი. გარდაიცვალა 1987 წელს.

**02. 1952 წ.** დაიბადა **იოსებ მაღალაშვილი** - სამბო

**03. 1923 წ.** განხორციელდა პირველი სამეცნიერო ექსპედიცია მყინვარწვერზე.

**03. 1976 წ.** თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდის პირველი გამარჯვება სსრ კავშირის თასზე ფინალში ერევნის „არარატთან" (3:0).

**04. 1983 წ.** დაიბადა **გოგიტა გოგუა** - ფეხბურთი.

**04. 2004 წ.** საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ფეხბურთში 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში თურქეთის ნაკრებთან 1:1 ითამაშა. ანგარიში 85-ე წუთზე **მალხაზ ასათიანმა** გაათანაბრა.

**05. 1972 წ.** დაიბადა **მევლუდ მელაძე** - სამბო.

**06. 1920 წ.** დაიბადა **გიორგი ანთაძე** - ფეხბურთი. გარდაიცვალა 1987 წელს.

**06. 1959 წ.** შედგა მიხეილ მესხის დებიუტი სსრ კავშირის ნაკრებში (ჩეხოსლოვაკიის ნაკრებთან (3:1).

## ვიქტორინა

**1. რომელი ქართველი ძიუდოისტია ოლიმპიური თამაშების და მსოფლიოს ჩემპიონი?**

ა — დავით ხახალეიშვილი
ბ — შოთა ჩოჩიშვილი
გ — ირაკლი ცირეკიძე

**2. საქართველოში სად ჩამოყალიბდა პირველი პროფესიონალური ჯგუფი მძლეოსნობაში?**

ა — თბილისში
ბ — თელავში
გ — ქუთაისში

**3. რომელ ქართველ კალათბურთელს აქვს მეტოქის კალათში ჩაგდებული ყველაზე მეტი ბურთი ერთ მატჩში?**

ა — ზურაბ საკანდელიძეს
ბ — მიხეილ ქორქიას
გ — ზაზა ფაჩულიას

**4. რომელი წლიდან ტარდებოდა სსრ კავშირის თასის გათამაშება ფეხბურთში?**

ა — 1936 წლიდან
ბ — 1947 წლიდან
გ — 1954 წლიდან

**5. საქართველოს სამბისტებიდან, პირველი ვინ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი?**

ა — იოსებ მაღალაშვილი
ბ — გენადი გიორგაძე
გ — ლევან თედიაშვილი

პასუხები: 1-გ, 2-ბ, 3-ბ, 4-ა, 5-ბ.

## პირველი, პირველმა, პირველად...

**პირველი** ევროპელი, რომელიც იაპონური სუმოს ხელოვნებას ეზიარა და ძურიოს თანრიგს მიაღწია, არის სოხუმში დაბადებული ქართველი **ლევან ცაგურია,** რომელსაც იაპონელებმა კოკაი („შავი ზღვა") შეარქვეს.

**პირველმა** ზედიზედ გაუცდენლად და უტრავმოდ 150 ოფიციალური მატჩი ჩაატარა თბილისის „დინამოს" ნახევარმცველმა და კაპიტანმა **მანუჩარ მაჩაიძემ,** რაც თავისებური რეკორდია.

**პირველად** ზესტაფონის საფეხბურთო კლუბი საქართველოს ჩემპიონი **გია გეგუჩაძის** მწვრთნელად მუშაობის პერიოდში გახდა.

# კროსვორდი



**თარაზულად:** 1. ქართველი ტანმოვარჯიშე, ირინა ... ; 5. ფრთიანი ბურთი და ჩოგანი...; 8. საფეხბურთო კლუბ თბილისის „დინამოს" პრეზიდენტი; 9. სამაგიდო თამაში დანომრილი კოჭებით; 11. საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრების პირველი მწვრთნელი; 14. მშვილდი და ... ; 15. იაპონური საბრძოლო ხელოვნება; 16. 21-წლამდელ საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი; 19. ვეტერანი კალათბურთელი, მწვრთნელი, ლევან ... ; 21. ჩინურ-იაპონური სამაგიდო თამაში; 23. მოჭადრაკე ნანა ... ; 25. სასიგნალო ტივტივა წყალზე; 26. სავალდებულო სპორტული ცეკვა ყინულზე; 27. "ყარაბახის" ქართველი ნახევარმცველი; 28. სპორტის სახეობა სიმძიმეების აწევაში; 29. თბილისის "დინამოს" ნახევარმცველი.

**შვეულად:** 2. იხ. სურათი: საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების მცველი; 3. ქართველი მოჭადრაკე, დიდოსტატი; 4. „რაპიდის" ქალაქი; 6. თბილისელი ვეტერანი აკრობატი ქალი, ირინა...; 7. ქართველი მოკრივე, ნიკოლოზ ... ; 10. გამარჯვების ქალღმერთი; 11. წარსულში ცნობილი ქართველი კალათბურთელი და მწვრთნელი; 12. სახელოვანი მოჭიდავე ... ხაბელოვი; 13. ქულა, რომელიც თამაშდება ჩოგბურთის მატჩში და რომლის მოგება-წაგებამაც, შესაძლოა, სეტის ბედი გადაწყვიტოს; 17. "ჩელე", იგივე ... ; 18. ცნობილი მოფარიკავე, გურამ ... ; 20. გუნდური თამაში პეპლის საჭერისმაგვარი ჩოგნებითა და ტყავის ბურთით; 22. ჭიდაობის სახეობა; 24. ცხენბურთის ძველი ნაირსახეობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

● მეტოქეები

# პომები უკვე ახალ ზელანდიაში არიან

**ახალ ზელანდიაში მსოფლიოს თასის ციებ-ცხელება დაიწყო. მსოფლიოს რაგბის უდიდესი ფორუმის გამართვის ადგილს გუშინ რამდენიმე გუნდი უკვე ეწვია. ოქლენდის აეროპორტში ერთმანეთის მიყოლებით დაეშვნენ თვითმფრინავები, რომლებმაც მაორთა მიწაზე ინგლისის, იაპონიის, არგენტინისა და საფრანგეთის ნაკრებები ჩაიყვანა.**

ჩვენს ყურადღებას განსკუთრებულად, ცხადია, „პომები" იმსახურებენ. **მარტინ ჯონსონის** სამწყსო, რომელიც ჯგუფურ ტურნირში საქართველოს ნაკრების მეტოქეა, პირველ შეხვედრას 10 სექტემბერს დანიდინში არგენტინის ეროვნულ გუნდთან გამართავს. ოქლენდში ჟურნალისტებისა და ქომაგების ყურადღების ცენტრში, ცხადია, მგეზავი **ჯონი ვილკინსონი** იყო, თუმცა იქაურ მედიას მხოლოდ ფულბეკი **დელონ არმითიჯი** გაესაუბრა.

*„მსოფლიოს თასის გათამაშება რაგბის უდიდესი ზეიმია. საბოლოოდ აქ გამოჩნდება, ვინ რისი მაქნისია და ვის შეიძლება მართლაც დიდი მორაგბის სახელი ერქვას. მინდა, რეალური კონკურენცია გავუწიო ისეთ დიდ ფულბეკებს, მალილი მულიანია, ქართლი ბეილი და ჯეომზ ოკონორი რომ არიან. ისინი ფანტასტიკური მოთამაშეები არიან. ჩემთვის უდიდესი პატივია, ასეთი ძლიერი მორაგბეების წინააღმდეგ თამაში.*

*ამასთან, საკმაოდ დიდი კონკურენციაა ფულბეკის პოზიციაზე ინგლისის ნაკრებშიც. თავად განსაჯეთ, ძირითად შემადგენლობაში ადგილი რომ დაიკავო, ბენ ფოდენს, კრის ეშტონს და მარკ კუეტოს უნდა აჯობო. ახლა მთლიანად კონცენტრირებული ვარ იმაზე, რომ შევძლო არგენტინის ნაკრებთან ძირითად შემადგენლობაში თამაში. ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს, მწვრთნელი რა პოზიციაზე დამაყენებს, ფულბეკად თუ გარემარბად, მე, უბრალოდ, თამაში მინდა.*

*ყოველთვის, როცა მწვრთნელი ნდობას მიცხადებს, ვცდილობ კარგად ვითამაშო, თუ სათადარიგოთა სკამზე, ან სულაც ტრიბუნაზე დამსვავენ, დაე ეგრე იყოს. იმ დღეს დავივიწყებ და მომავალ მატჩზე ვიფიქრებ"* - თქვა დელონ არმითიჯმა.

ინგლისის ნაკრები ოქლენდში 4 სექტემბრამდე დარჩებიან, მერე კი დანიდინში გადაბარგდებიან, სადაც, როგორც უკვე ვთქვით, ურთულესი მატჩი ელით არგენტინის საკმაოდ ძლიერ და ამბიციურ ნაკრებთან.

ამის შემდეგ „პომები" გეზს ქვინზთაუნისკენ აიღებენ, სადაც 16 სექტემბრამდე დაჰყოფენ, მერე კი ისევ დანიდინში დაბრუნდებიან და 18 სექტემბერს „ბორჯლალოსნებს" დაუპირისპირდებიან.

**ინგლისის ნაკრები**

შერკინება: დენ კოლი, ალექს კორბიშერო, ენდრიუ შერიდანი, მეთ სტივენსი, დევიდ ვილსონი, დილან ჰართლი, ლი მაერასი, სტივ თომსონი, ლუის დიკონი, კორტნი ლოუ, ტომ პალმერი, საიმონ შოუ, ტომ კროფტი, ნიკ ისტერი, ჯეომზ ჰესკელი, ლუის მუდი, ტომ ვუდი.

უკანა ხაზი: დელონ არმითიჯი, ბენ ფოდენი, კრის ეშტონი, მარკ კუეტო, მეთ ბანაჰანი, შონთაი ჰეპი, მაიკ თონდოლი, მანუ ტუილაგი, ტობი ფლუდი, ჯონი ვილკინსონი, ჯო სიმპსონი, რიჩრად წაიგელსვორსი, ბენ იანგზი

**ბესიკ ჯანგავაძე**



# მაქს ევანსის ახალი მისია

საქართველოს ნაკრების კიდევ ერთი მეტოქე, შოტლანდიის ეროვნული გუნდი, ახალ ზელანდიაში მხოლოდ 7 სექტემბერს ჩავა. **ენდი რობინსონის** სამწყსო ინვერქარგილში დაბანაკდება და ჯერ რუმინეთის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება 10 სექტემბერს, სამი დღის შემდეგ კი, 14 სექტემბერს, იქვე „ბორჯლალოსნებთან" გაარკვევს ურთიერთობას.



„ნარშავების" გარემარბი **მაქს ევანსი** იმედიანადაა და მიაჩნია, რომ წლევანდელ მსოფლიოს თასზე მან აუცილებლად უნდა გაიბრწყინოს.

*„ენდი რობინსონმა სრული თავისუფლება მომცა, მატჩის მსვლელობისას შემიძლია უკანა ხაზში ნებისმიერ პოზიციაზე გადავიდე. ანუ დაახლოებით ისე უნდა ვითამაშო, როგორც უელსელი შეინ ვილიამსი, რომელიც საჭირო მომენტში ცხრა ნომერიცაა, მგეზავიც და შუამარბიც. ეს ძალიან კარგი ხერხია, ის ნებისმიერი ძალის მეტოქეს აბნევს და სათამაშო უპირატესობას ადვილად ეუფლები.*

*მსოფლიოს თასზე თამაში ნებისმიერი მორაგბის ოცნებაა. ძალიან ბევრ ადამიანს ვიცნობ, რომელსაც ჩემს ადგილზე ყოფნა უნდა. შესანიშნავი შანსი მაქვს, ახალ ზელანდიაში გასამართი მსოფლიოს თასის გათამაშება ჩემს ცხოვრებაში ყველაზე ბედნიერი ხანა გახდეს.*

*დარწმუნებული ვარ, რომ ახალ ზელანდიაში მეოთხედფინალში აუცილებად გავაღწევთ. საამისოდ მზადება ერთი ან ორი თვის წინ არ დაგვიწყია. ამისთვის ოთხი წელიწადია ვემზადებით. მთელი ამ დროის მანძილზე ფიქრით, მთელი გონებით ამ მსოფლიოს თასისკენ ვიყავით მომართული. ახლა ისლა დაგვრჩენია, რაც ვიშრომეთ, იმის ნაყოფი მოვიმკათ.*

*როდესაც ინგლისის, რუმინეთის, არგენტინისა და საქართველოს ნაკრებების წინააღმდეგ ვითამაშებ, ჩემს უმცროს ძმაზე ვიფიქრებ. ყველაფერს, რასაც გავაკეთებ, მას ვუძღვნი"* - თქვა შოტლანდიის ნაკრების გარემარბმა მაქს ევანსმა.

მაქსს 12 სექტემბერს 28 წელი შეუსრულდება. მისი უმცროსი ძმა, **ტომ ევანსი** კი რაგბის შარშან მიღებული მძიმე ტრავმის გამო 25 წლის ასაკში გამოემშვიდობა. ტომი მსოფლიოს თასის გათამაშებისას ლონდონის ერთ-ერთ ტელევიზიაში რაგბის ექსპერტად იმუშავებს.

**შოტლანდიის ნაკრები**

შერკინება: ჯონ ბარკლი, კელი ბრაუნი, გოფ კროსი, ალისტერ დიკინსონი, როს ფორდი, რიჩი გრეი, დაგ ჰალი, ჯიმ ჰამილტონი, ნათან ჰაინსი, ალან იაკობსენი, ალისტერ კელოკი, სკოტ ლაუსონი, მორეი ლოუ, ევან მურეი, როს რენი, ალისტერ სტროკოში, რიჩი ვერნონი.

უკანა ხაზი: ჯო ანსბრო, მაიკ ბლერი, კრის კასიტერი, საიმონ დენიელი, ნიკ დე ლუკა, მაქს ევანსი, რუარიდ ჯექსონი, რორი ლამონტი, შონ ლამონტი, გრემ მორისონი, დენ პარქსი, კრის პატერსონი, რორი ლაუსონი

**ბესიკ ჯანგავაძე**

● ინტერვიუ ლევან შარვაშიძესთან



მარცხნივ ლევან შარვაშიძე

# ვეტერანებს ღირსეული მემკვიდრეები გვყავს

**25 აგვისტოს ქუთაისის „აია" გრიგოლეთში გაემგზავრა და სეზონის განახლებისთვის მზადება ზღვისპირეთში გააგრძელა.**

ქუთათურები სასტუმრო „ვილა აისში არიან დაბანაკებული. ვარჯიშებს კი მალთაყვის სტადიონზე ატარებენ, რომელიც გრიგოლეთიდან საკმაოდ ახლოსაა. გუნდთან ერთად იმყოფება ქუთათურთა ვეტერანი მორაგბე, 33 წლის **ლევან შარვაშიძე**, რომელმაც ქუთაისურ გუნდში პირველად 15 წლისამ ითამაშა და მას შემდეგ „აიასთან" ერთად არაერთი „ქარტეხილი" გამოიარა.

„აიაში" ვვარჯიშობ 1988 წლიდან, დიდ გუნდში პირველად 1993 წელს ვითამაშე და მას შემდეგ ძირითადად ქუთაისური რაგბის ღირსებას ვიცავდი. „აიას" გარდა ქუთაისის უნივერსიტეტის „აიეტში" და ბათუმის „დათვებში" (19982000) ვთამაშობდი, შემდეგ კი ისევ „აიაში" დავბრუნდი და მას შემდეგ ჩემს მშობლიურ გუნდში ვარ. „აიას" და „დათვების" შემადგენლობაში ჩემპიონატის ვერცხლის მედლებს დავეუფლე. ბათუმურ გუნდთან ერთად თასიც მოვიპოვე.

**- დიდი ხანია „აიაში" თამაშობთ, როგორ ვითარდებოდა დღემდე ქუთაისური გუნდი?**

- ძალიან დიდი პროგრესი განვიცადეთ. წინა წლებთან შედარებაც არ შეიძლება. რაგბის მიმართ ინტერესი გაზრდილია, მარტო ქუთაისის სარაგბო სკოლაში 600 ბავშვი ვარჯიშობს. გუნდშიც დიდი კონკურენციაა, არადა, წლები იყო, როცა 15 კაცი ძლივს ვგროვდებოდით, რომ შეხვედრა ჩაგვეტარებინა. პირობებზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო.

**- „აიაში" ვეტერანებთან ერთად არაერთი ახალგაზრდა მოთამაშეა. მათზე რას იტყვით, ნიჭიერი თაობა მოდის?**

- ვეტერანებს ნამდვილად ღირსეული შემცვლელები გვყავს. მაგრამ, მოგეხსენებათ, სპორტში გამოცდილება ძალიან დიდ როლს თამაშობს,გამოცდილი მოთამაშეების გვერდით ნიჭიერი და ენერგიული ახალგაზრდებიც თავს უკეთესად წარმოაჩენენ და ამიტომ, მწვრთნელები ცდილობენ, რომ „აია" ასეთ ნაზავს წარმოადგენდეს. ჩვენი მიზანი წლეულს ჩემპიონობისა და თასის მოპოვებაა. ჩემპიონატის განახლებისთვის დიდი შემართებით ვემზადებით და მიზნის მისაღწევად თავს არ დავზოგავთ.

**- ბევრი ამბობს, რომ ახლანდელი პირობების ადრინდელთან შედარებაც არ შეიძლებაო, თუმცა ახლაც გაქვთ დიდი პრობლემა - სტადიონის არქონა.**

- ახლა რემონტდება ქუთაისის „დინამოს" სტადიონი და იმედია, რომ მეორე წრეში საკუთარ ქალაქში ვითამაშებთ.

**- აქართველოს ჩემპიონატის სტაჟიანი მოთამაშე ხართ, როგორ ფიქრობთ, ეროვნული პირველობა პროგრესირებს?**

- 18 წელიწადია უკვე საქართველოს ჩემპიონატში ვთამაშობ. რა თქმა უნდა, პროგრესი არის და ეს ნაკრების თამაშებზეც აისახება. თანაც, ბოლო დროს ნაკრების თავკაცები ჩვენს ჩემპიონატში მოთამაშე მორაგბეებს უფრო მეტ ნდობას უცხადებენ.

**- წლების წინ ნაკრებში თქვენც იყავით გამოძახებული...**

- ახალგაზრდულ ნაკრებში ვიყავი 1995 წელს, 1999 წელს კი კლოდ სორელმა ეროვნულ გუნდშიც გამომიძახა, მაგრამ, სამწუხაროდ, ტრავმის გამო ნაკრებში ვერ ვითამაშე.

**დავით კოხრეიძე**

ქუთაისიდან

● მსოფლიოს თასი



საფრანგეთის ნაკრების ქომაგებმა ოქლენდში საყვარელ გუნდს ასეთი მხიარული დახვედრა მოუწყვეს

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელ საათს

# ზაფხულის ბოლო დღის სიგიჟე

## ჯო კოული საფრანგეთში, სკოტ პარკერი ტოტენჰემში, ლუის გარსია სარაგოსაში, გაგო რომში, ბენაიუნი არსენალში და ბევრი სხვა...

**წუხელ (ჩვენი დროით, 2 საათზე) ევროპაში სატრანსფერო სეზონი დასრულდა. უკანასკნელ დღეს, სულ ბოლო საათებში უამრავი ტრანსფერი განხორციელდა, რომელთა შესახებაც აქ მოკლედ მოგიყვებით.**

### ესპანეთი

„ვილიარეალმა" „მალიორკას" ჰოლანდიელი ლიდერი **ჯონათან დე გუზმანი** გაიფორმა. 23 წლის ნახევარმცველმა ბალეარის კუნძულებზე მხოლოდ ერთი სეზონი გაატარა, „ელ მადრიგალზე" კი მომავალ სამ სეზონს გაირჯება. ესპანური მედია აცხადებს, რომ ვალენსიელებს ეს ტრანსფერი 8,5 მილიონი ევრო დაუჯდათ. კანადაში დაბადებულ დე გუზმანს პუბლიკას პარასკევს წარუდგენენ.

როგორც იქნა, მადრიდის „ატლეტიკომ" მიაღწია მიზანს და „ვოლფსბურგიდან" ბრაზილიელი **დიეგო** წაიყვანა. ბუნდესლიგაში გატარებული უცუდესი სეზონის შემდეგ, დიეგო კარიერის თავიდან აწყობას პრიმერაში ფიქრობს, სადაც სეზონის განმავლობაში იჯარის წესით ითამაშებს. ეს იჯარა „ატლეტიკოს" (ას-ის ცნობით) 3 მილიონი ევრო დაუჯდა, თუკი სეზონის ბოლოს მადრიდული კლუბი 7 მილიონს დაამატებს, დიეგო მისი საკუთრება გახდება.

„ვალენსიამ" მარჯვენა მცველი **ანტონი ბარაგანი** დაიმატა, „ვალიადოლიდის" ყოფილმა ფეხბურთელმა 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. ბარაგანი 24 წლისაა, ის „სევილიას" აღზრდილია, უთამაშია „ლივერპულსა" და „დეპორტივოში".

მადრიდის „რეალმა" ნახევარმცველი **პედრო ლეონი** „ხეტაფეში" გაანათხოვრა. სეზონის ბოლოს მადრიდის გარეუბნის კლუბს მისი შეძენის უფლებაც აქვთ. შეგახსენებთ, რომ „რეალმა" პედრო ლეონი სწორედ „ხეტაფესგან" იყიდა ერთი წლის წინათ და მასში 10 მილიონი ევრო გადაიხადა. პედრო ლეონი 24 წლისაა.

„სარაგოსამ" ლისაბონის „სპორტინგს" მილიონი ევრო გადაუხადა თავდამსხმელ **ელდერ პოშტიგას** სანაცვლოდ.

„ესპანიოლმა" „სევილიადან" 30 წლის კოტ დივუარელი **რომარიკი** შეიძინა, ხოლო კაპიტანი **ლუის გარსია** „სარაგოსაში" გაუშვა.

### იტალია

„რომა" ამ ზაფხულს არნახულად გაძლიერდა, წუხელ კლუბს კიდევ ერთი კარგი ნახევარმცველი შეემატა, არგენტინელი **ფერნანდო გაგო**, რომელმაც „რეალში" ფეხი ვერ მოიკიდა. გაგო იტალიის დედაქალაქში იჯარით ითამაშებს. 25 წლის არგენტინელი 2007 წლიდან „რეალშია".

ბერგამოს „ატალანტა" სატრანსფერო ფანჯრის ბოლო საათებში ორი ფეხბურთელით გაძლიერდა. სერია ა-ში დაბრუნებულებმა „რომას" ნახევარმცველი **მატეო ბრიგი** და „ნაპოლის" გამთამაშებელი **ლუკა ჩიგარინი** თითოწლიანი იჯარით დაიმატეს. თავად კლუბმა ამავე დილით **ედგარ ბარეტო** დაკარგა, რომელიც „პალერმოში" გადავიდა. ფორვარდი **საშა ბიელანოვიჩი** კი სერია B-ს „ვერონაში" წავიდა.

„ინტერმა" გაიფორმა **ლორენცო ტასი** „ბრეშადან", რომლის შესახებ გუშინაც მოგითხრეთ.

„მილანმა" 26 წლის ნახევარმცველი **ანტონიო ნოჩერინო** შეიძინა. ექსპალერმოელს 2016 წლამდე გაუფორმეს კონტრაქტი. სამაგიეროდ პორტუგალიელი **რიკარდო ფერეირა** „მილანიდან" „პალერმოში" გადავა.

„ინტერმა" იჯარის წესით აიყვანა „ლაციოს" არგენტინელი ლეგიონერი **მაურო სარატე**. ფორვარდი სეზონის ბოლომდე იჯარით ითამაშებს, თუ გაამართლებს, „ინტერი" მას შეიძენს.

„პალერმომ" ედგარ ბარეტოს გარდა **ედგარ ალვარესი** („ბარი") და **დელა როკა** („ბოლონია") დაიმატა.

„ლეჩემ" „იუვენტუსის" ორი ფეხბურთელი დაიმატა - **კრისტიან პასკუატო** და **მანუელ ჯანდოტო**.

„რომამ" 21 წლის ბოსნიელი ვარსკვლავი **მირალემ პიანიჩი** შეიძინა, რომლის სანაცვლოდ „ლიონს" 11 მილიონი ევრო გადაუხადა. პიანიჩმა სამი სეზონი გაატარა ფრანგული კლუბში.

„სამპდორიამ" „ლაციოს" **პასკუალე ფოჯა** დაიმატა. 28 წლის ფოჯას, რომელსაც „სკუადრა აძურაშიც" უთამაშია, სერია B-ში მოუწევს თამაში.

„უდინეზემ" გამოაცხადა, რომ „რივერ პლეიტის" **რობერტო პერეირა** ამიერიდან ამ კლუბის ფეხბურთელია. 20 წლის ფეხბურთელის სანაცვლოდ უდინეელები 4 მილიონ ევროს გამოვიდნენ.

„ინტერმა" 28 წლის კოლუმბიელი **ნელსონ რივასი** გაუშვა.

**მასიმო ოდო** „მილანიდან" „ლეჩეში" იჯარით გადავიდა.

### ინგლისი

„ვალენსიასა" და ესპანეთის ნაკრების ყოფილმა გარემარბმა **ვისენტემ** ინგლისურ „ბრაიტონთან" მოაწერა ხელშეკრულებას ხელი. 30 წლის ფეხბურთელი „მესტალიას" 11-წლიანი ერთგულების შემდეგ გამოეთხოვა. ჩემპიონშიპში მოთამაშე „ბრაიტონს" ურუგვაელი **გუსტავო პოიეტი** წვრთნის. ვისენტეს 38-ჯერ უთამაშია ესპანეთის ნაკრებში.

„მანჩესტერ სიტიმ" 19 წლის შვედი ფორვარდი **ჯონ გიდეტი** იჯარით ჰოლანდიურ „ფეიენოორდში" გაუშვა.

**ჯო კოულმა** „ლივერპულის" მაისურა „ლილისაზე" გაცვალა - 29 წლის ნახევარმცველი საფრანგეთში იჯარით ითამაშებს.

„ტოტენჰემმა" აისრულა ნატვრა და „ვესტ ჰემის" 30 წლის ნახევარმცველი **სკოტ პარკერი** შეიძინა. შეგახსენებთ, რომ პარკერი ინგლისის ნაკრების წევრია.

„ჩელსიმ" **გაელ კაკუტა** „ბოლტონში" 1 იანვრამდე გაუშვა.

**იოსი ბენაიუნმა** „ტვიტერზე" დაწერა, რომ „არსენალში" გადავიდა. მალე მას **მიკელ არტეტაც** მიჰყვა „ევერტონიდან".

„სტოკმა" „ტოტენჰემის" **ვილსონ პალასიოსს** 4-წლიანი კონტრაქტი გაუფორმა.

**ბრაიან რუისი** „ფულჰემის" წევრი გახდა, **კრეიგ ბელამი** კი - „ლივერპულის".

**შონ რაიტ-ფილიპსი** „ქუინზ პარკ რეინჯერსში" გადავიდა.

„ჩელსიმ" გამოაცხადა, რომ 15 მილიონ ევროდ „ლივერპულის" **რაულ მეირელეში** შეიძინა.

„ევერტონში" გადავიდა „რეალის" ჰოლანდიელი ფლანგელი **როისტონ დრენტე**.




„უიგანმა" პრიმერადივიზიონიდან გავარდნილი „ალმერიადან" 29 წლის **ალბერტ კრუსატი** აიყვანა. ნახევარმცველმა 2+1 სისტემით მოაწერა კონტრაქტს ხელი.

„ფულჰემმა" ექსიუვენტუსელი **ზდენეკ გრიგერა** თავისუფალი აგენტის სტატუსით აიყვანა. „ბებერ სინიორასთან" კონტრაქტი მან სამშაბათს გააუქმა, მეორე დღეს კი ინგლისში გადაბარგდა. ჩეხმა ტურინში 4 სეზონი გაატარა.

„არსენალის" დანიელი შემტევი **ნიკლას ბენდტნერი** „პორტუში" გადავიდა. 23 წლის ფეხბურთელის სანაცვლოდ პორტუგალიელებმა სავარაუდოდ 12 მილიონი ევრო გადაიხადეს.

„ვესტ ჰემმა" „ჰამბურგიდან" 30 წლის კოტდივუარელი **გი დემელი** გადაიყვანა და 2-წლიანი ხელშეკრულებაც გაუფორმა.

„არსენალმა" ფორვარდი **ჯოელ კემპბელი** ფრანგულ „ლორიანში" გაანათხოვრა. **ჟილ სუნუც** ამ გზას დაადგა.

„ტოტენჰემის" **დევიდ ბენტლი** ერთ სეზონს იჯარით „ვესტ ჰემში" გაატარებს.

„ლივერპულმა" 18 წლის ამერიკელი **ვილიან ბიევი** ინათხოვრა დიუსელდორფის „ფორტუნასგან".

### გერმანია

„ჰამბურგმა" „კაიზერსლაუტერნიდან" **ივო ილიჩევიჩი** აიყვანა, ხორვატი 24 წლისაა.

„შალკემ" **ედუ** თურქულ „ბეშიქთაშში" გაანათხოვრა.

„ჰერტამ" ნიქოზიის აპოელ-ის **კაკა** დაიმატა („იმ" კაკაში არ აგერიოთ).

**მარიო გავრანოვიჩი** „შალკედან" „მაინცში" გადავიდა.

### სხვადასხვა

„აიაქსმა" რუსი ფორვარდი **დიმიტრი ბულიკინი** შეიძინა, რომელიც „ანდერლეხტის" წევრი იყო.

„ლიონმა" „ლე ავრისგან" **გუეიდა ფოფანა** შეიძინა, რომელმაც ახლახან 20-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე გაიბრწყინა.

„ტვენტემ" „ფეიენოორდიდან" ნახევარმცველი **ლეროი ფერი** შეიძინა.

პსვ-ს სლოვენიელი ფორვარდი **ტიმ მატავჟი** 7 მილიონი დაუჯდა, 22 წლის მატავჟი „გრონინგენში" გამოდიოდა.

„გალათასარაიმ" „არსენალისგან" **ემანუელ ებუე** ინათხოვრა.

სლოვაკი **მარეკ ჩეხი** „ვესტ ჰემიდან" „ტრაბზონში" გადავიდა.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ესპანეთი. პრიმერადივიზიონის კლუბების წარდგენა
ატლეტიკო (მადრიდი)



# აგუეროს გარეშე

## სულ სხვა გუნდი, იგივე მიზანი

მადრიდის „ატლეტიკოში" დიდი რყევებია, გუნდი ძველმა სახეებმა დატოვეს და ახლები მოვიდნენ. აღარ იქნებიან **დიეგო ფორლანი** და **დავიდ დე ხეა**, თუმცა მთავარი, რაც „ატლეტიკომ" უნდა გააკეთოს - **სერხიო აგუეროს** გარეშე გოლების გატანა და გამარჯვება უნდა ისწავლოს.

მწვრთნელობიდან გადადგომის წინ **კიკე სანჩეს ფლორესმა** განაცხადა, რომ მძიმე ჩემპიონატი გამოიარეს და რომ გუნდს შეუძლია იამაყოს მიღწეულით. თუმცა საამაყოც ბევრი არაფერია - გუნდმა შეპირებული ლიგის საგზურის მოპოვება ვერ შეძლო და ჩემპიონატი მე-7 ადგილზე დაასრულა. ამიტომაც ფლორესს კარისკენ მიუთითეს, თუმცა ეს საკმაოდ სამართლიანად გააკეთეს, მწვრთნელს სეზონის შუაში დაუსვეს საკითხი - მე-4 ადგილს დაიკავებ და კლუბში დარჩები, არადა, წახვალო - მწვრთნელიც დათანხმდა. მისია არ შესრულდა და ფლორესი **გრეგორიო მანსანომ** შეცვალა. შეიცვალა მთელი „ატლეტიკოც". გუნდიდან წავიდნენ ის ფეხბურთელები, რომლებსაც მოტივაცია აღარ ჰქონდათ მადრიდულ კლუბში თამაშის და მოვიდნენ ახლები, თანაც საკმაოდ ამბიციურები. ასე რომ, ნუ ჩამოვწერთ „ატლეტიკოს".

კუნის გარეშე მაინც გაჭირდება, არგენტინელი ალბათ **ფერნანდო ტორესის** შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანი ფეხბურთელი იყო ბოლო წლების „ატლეტიკოსი". თუმცა მის შემცვლელად შეგულებულ **რადამელ ფალკაოზე** საკმაოდ მაღალი აზრისა ვართ. „ატლეტიკოს" **დანიელ ოსვალდოს** შეძენაც სურდა, თუმცა „რომამ" არგენტინელში 15 მილიონი ევრო გადაიხადა და მადრიდელებს ფორვარდი „ცხვირწინ" ააცალა.

მანსანო ჯერაც ძიებაშია, არ იცის, რა სქემით ათამაშოს გუნდი - ჯერ 4-3-3 სისტემაზე გადაეწყო, ბოლო თამაშებში კი „ატლეტიკოსთვის" ჩვეულ კლასიკურ განლაგებას, 4-4-2-ს დაუბრუნდა.

### ციტატები

**გაბი**: *„ძალიან იმედიანად ვარ განწყობილი. ჩემთვის, „ატლეტიკო" ესპანეთის საუკეთესო კლუბია".*

**არდა თურანი**: *„ატლეტიკოს" შეუძლია „რეალისა" და „ბარსელონას" დონეს მიაღწიოს, თუმცა ჯერჯერობით მე-4 ადგილზე ჩემპიონატის დასრულებაც კარგი იქნება. თუმცა ოცნება მეტზეც შეიძლება, ვიდრე ჩემპიონთა ლიგის უბრალო საგზურზე".*

### სეზონის ამოცანა ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება

მანსანო რეალისტია, ის ამბობს, რომ ოცნება ბევრ რამეზე შეიძლება, თუმცა არსებობს ობიექტური რეალობა, რომელსაც ვერსად გაექცევი. და მაინც, ჩვენ გვგონია, რომ „ატლეტიკოს" შარშანდელზე უკეთესი შედეგის მიღწევა შეუძლია. მთავარია, გუნდმა ისწავლოს აგუეროს გარეშე თამაში...

### ტრანსფერები

**მივიდნენ**: **მირანდა** („სან პაულუ", თავ. აგენტი), **ადრიან ლოპესი** („დეპორტივო", თავ. აგენტი), **ტიაგო** („იუვენტუსი", თავ. აგენტი), **სილვიო** („ბრაგა", 8 მლნ. ევრო), **რუბენ მიკაელი** („პორტუ", 5 მლნ.), **ფალკაო** („პორტუ", 40 მლნ.), **გაბი** („სარაგოსა", 3 მლნ.), **არდა თურანი** („გალათასარაი", 12 მლნ.), **ხორხე პულიდო** („ატლეტიკო ბ"), **ბორხა გონსალესი** („ატლეტიკო ბ"), **ტიბო კურტუა** („ჩელსი", თავ. აგენტი), **დანი პაჩეკო** („ლივერპული", იჯარა), **პიცი** („ბრაგა"), **ლეანდრო კაბრერა** („უელვა"), **სერხიო ასენხო** („მალაგა").

**წავიდნენ: ელიასი, აგუერო, დე ხეა, უიფალუში, ბალდე, ვალერა, ფორლანი, რაულ გარსია, რუბენ მიკაელი, მერიდა.**

### დოსიე



**კლუბ ატლეტიკო დე მადრიდ**

**დაარსდა**: 1903 წ.

**სტადიონი**: ვისენტე კალდერონი, 54 851

**პრეზიდენტი**: ენრიკე სერესო

**მწვრთნელი**: გრეგორიო მანსანო

**კლუბის წევრი**: 48 900

9-გზის ჩემპიონი, 9-გზის თასის მფლობელი, ევროპალიგის გამარჯვებული (2010), უეფას თასი (1962), უეფას სუპერთასი (2010), ინტერტოტოს თასი (2007), საკონტინენტთაშორისო თასი (1974)

**მეტსახელი**: კოლჩონეროსი, როხიბლანკოსი, ინდიოსი

**გასულ სეზონში**: მე-7 ადგილი

**ოფიციალური საიტი**: http//www.clubatleticodemadrid.com/

**ყველაზე მეტი თამაში 2010/11**: დე ხეა (38), რეიესი (34), აგუერო (32), ფორლანი (32), უიფალუში (32).

**ყველაზე მეტი გოლი 2010/11**: აგუერო (20), ფორლანი (8), დ. კოშტა (6), რეიესი (6), ტიაგო (4).

### გუნდი 2011/12

| მცველები | |
|---|---|
| 1. ხოელ როგლესი | 17.06.1990 |
| 13. ტიბო კურტუა (ბელგია) | 11.05.1992 |
| 25. სერხიო ასენხო | 28.06.1989 |

| მცველები | |
|---|---|
| 2. დიეგო გოდინი (ურუგვაი) | 16.02.1986 |
| 3. ანტონიო ლოპესი | 13.09.1981 |
| 6. ფელიპე ლუის კასმირსკი (ბრაზ.) | 09.08.1985 |
| 17. სილვიო მანუელ აზევედო (პორ.) | 28.09.1987 |
| 18. ალვარო დომინგესი | 15.05.1989 |
| 21. ლუის პერეა (კოლუმბია) | 30.01.1979 |
| 24. ჟოაო მირანდა (ბრაზილია) | 07.09.1984 |
| 26. ხორხე პულიდო | 08.04.1991 |

| ნახევარმცველები | |
|---|---|
| 4. მარიო სუარესი | 24.02.1987 |
| 5. ტიაგო მენდეში (პორტუგ.) | 02.05.1981 |
| 8. ედუარდო სალვიო (არგენ.) | 13.07.1990 |
| 11. არდა თურანი (თურქეთი) | 30.01.1987 |
| 12. პაულო ასუნსაო (ბრაზილია) | 25.01.1980 |
| 14. გაბი ფერნანდესი | 10.07.1983 |
| 20. ხუანფრან ტორესი | 09.01.1985 |
| 23. ხორხე მელოდიო კოკე | 08.01.1992 |

| თავდამსხმელები | |
|---|---|
| 7. ადრიან ლოპესი | 08.01.1988 |
| 9. რადამელ ფალკაო (კოლუმ.) | 10.02.1986 |
| 10. ხოსე ანტონიო რეიესი | 01.09.1983 |
| 29. ბორხა გონსალესი | 25.08.1992 |
| 22. დიეგო კოშტა (ბრაზილია) | 07.10.1988 |
| პიცი (პორტუგალია) | 06.10.1989 |

*შენიშვნა: მუქი შრიფტით წარწერა მაისურზე*

ეროვნული ბიბლიოთეკა

● არგენტინა. პრიმერადივიზიონი, აპერტურა. IV ტური



ლიდერი „ატლეტიკო“ „ოლიმპოსთან“ მატჩის წინ

# რიკელმე კლასიკოს გამოაკლდა

## ლიდერი დებიუტანტი, სამყაროს დასალიერის ყვავები და ცეცხლოვანი მიწის რეალ მადრიდი

**გოდოი კრუსი–ბანფილდი 1:0**

გოლი: 1:0 რამირესი (55)

**ესტუდიანტესი–სან მარტინი 2:2**

გოლები: 1:0 გ. ფერნანდესი (8), 2:0 ბოსელი (20), 2:1 მასი (45), 2:2 ნუნიესი (66)
გაძევება: სელაი (81. ესტუდიანტესი)

**რასინგი–არსენალი 0:0**

გაძევება: გუტიერესი (54. რასინგი), ვიოლა (85. რასინგი), ორტისი (79. არსენალი)

**ლანუსი–ტიგრე 0:0**

**ატლეტიკო–ოლიმპო 3:1**

გოლები: 1:0 ა. კასტრო (39), 2:0 განდინი (67-პენ), 3:0 სერანო (76), 3:1 ბარიერო (89)

**ველესი–ოლ ბოისი 0:1**

გოლი: 0:1 პერეა (68)
გაძევება: სოტო (51. ოლიმპო)

**კოლონი–სანტა ფე 0:2**

გოლები: 0:1 როსალესი (8), 0:2 მონტერო (18)
გაძევება: მორენო ი ფაბიანესი (81. კოლონი)

**ბელგრანო–ნიუელსი 2:3**

გოლები: 1:0 ტურუსი (8), 2:0 მალდონადო (13), 2:1 აკინო (42), 2:2 ნორი (67), 2:3 ნორი (70)

**ბოკა–სან ლორენსო 1:1**

გოლები: 0:1 მენდესი (29), 1:1 ცვიტანიჩი (50)

**არხენტინოსი–ინდეპენდიენტე 0:0**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ატლეტიკო | 4 | 3 | 0 | 1 | 8-5 | 9 |
| 2. ბოკა | 4 | 2 | 2 | 0 | 6-1 | 8 |
| 3. რასინგი | 4 | 2 | 2 | 0 | 5-1 | 8 |
| 4. ლანუსი | 4 | 2 | 2 | 0 | 2-0 | 8 |
| 5. სან ლორენსო | 4 | 2 | 1 | 1 | 6-3 | 7 |
| 6. ველესი | 4 | 2 | 1 | 1 | 5-2 | 7 |
| 7. კოლონი | 4 | 2 | 1 | 1 | 4-4 | 7 |
| 8. სან მარტინი | 3 | 1 | 2 | 0 | 4-3 | 5 |
| 9. ნიუელსი | 4 | 1 | 2 | 1 | 4-4 | 5 |
| 10. ტიგრე | 4 | 1 | 2 | 1 | 4-4 | 5 |
| 11. ოლ ბოისი | 4 | 1 | 2 | 1 | 4-4 | 5 |
| 12. სანტა ფე | 4 | 1 | 2 | 1 | 3-5 | 5 |
| 13. არსენალი | 4 | 1 | 1 | 2 | 4-4 | 4 |
| 14. ინდეპენდიენ. | 3 | 1 | 1 | 1 | 1-1 | 4 |
| 15. გოდოი კრუსი | 4 | 1 | 1 | 2 | 3-6 | 4 |
| 16. ბელგრანო | 4 | 0 | 3 | 1 | 4-5 | 3 |
| 17. არხენტინოსი | 4 | 0 | 3 | 1 | 3-5 | 3 |
| 18. ოლიმპო | 4 | 0 | 2 | 2 | 2-5 | 2 |
| 19. ესტუდიანტესი | 4 | 0 | 2 | 2 | 2-5 | 2 |
| 20. ბანფილდი | 4 | 0 | 0 | 4 | 0-7 | 0 |

**ბომბარდირები:** 3 - განდინი (ატლეტიკო), გუტიერესი (რასინგი), მატოსი (ოლ ბოისი); 2 - კასტრო (ატლეტიკო), ჯილიოტი (სან ლორენსო), ლეგისამონი (არსენალი), მაჯოლო (ტიგრე), მენდესი (სან ლორენსო), ნორი (ნიუელსი), რამირესი (გოდოი კრუსი), ვიატრი (ბოკა).

**მომდევნო ტური**

2 სექტემბერი: ნიუელსი-კოლონი, ტიგრე-ბანფილდი, სან ლორენსო-ბელგრანო.
3 სექტემბერი: არსენალი-გოდოი კრუსი, ოლ ბოისი-რასინგი, ლანუსი-ესტუდიანტესი.
4 სექტემბერი: სან მარტინი-არხენტინოსი, სანტა ფე-ატლეტიკო, ინდეპენდიენტე-ბოკა, ოლიმპო-ველესი.

„ბოკა ხუნიორსმა“ ჩემპიონატში პირველი გოლი გაუშვა და ლიდერობა რაფაელას „ატლეტიკოს“ გადააბარა. მართალია, აპერტურა ჯერ მხოლოდ 4 ტურის დაწყებულია, თუმცა ვინ იფიქრებდა, რომ პრიმერას სათავეში კარლოს ტრულეტის დებიუტანტი გუნდი მოექცეოდა, რომელმაც 4-დან 3 მატჩი მოიგო.

### ტურის მოვლენები

ჩემპიონატს ერთპიროვნული ლიდერი პირველად ჰყავს, აქამდე „კოლონი“, „ველესი“, „რასინგი“, „ბოკა“ და „ლანუსი“ ერთდროულად ლიდერობდნენ, მაგრამ ყველა მათგანმა გაანიავა ქულები მე-4 ტურში და ბურთი და მოედანი რაფაელას „ატლეტიკოს“ დაუთმო.

სანტა ფეს დერბი დიდი მოულოდნელობით დასრულდა, „უნიონ სანტა ფემ“ „კოლონის“ მოედანზე 1989 წლის მერე პირველად მოიგო, ეს ამ კლუბის პირველი გამარჯვებაა ელიტაში 8-წლიანი შესვენების შემდეგ. ამ შეხვედრას „შესაფერისი“ გაგრძელებაც მოჰყვა - გუნდური ჩხუბი.

არგენტინულ სეზონში მწვრთნელის პირველი თავიც დაგორდა, არავისთვის იყო საეჭვო, რომ „ბანფილდის“ თავკაც **სებასტიან მენდესს** ზედიზედ მეოთხე მარცხს აღარ შეარჩენდნენ. მისი შემცვლელი ცნობილი სპეციალისტი **რიკარდო ლავოლპეა**, რომელსაც იმით გამოარჩევენ, რომ მისი გუნდები არასანახაობრივ ფეხბურთს თამაშობენ, ხოლო თავად ლავოლპეს მუდმივად მოსდის კონფლიქტები ფეხბურთელებთან. ამის მიუხედავად, ლავოლპეს ხშირად კარგი შედეგებიც აქვს ხოლმე.

ჩემპიონატში პირველი მოგებები „უნიონის“ გარდა „ოლ ბოისმა“, „ნიუელსმა“ და „გოდოი კრუსმა“ იზეიმეს, თუმცა კიდევ 4 კლუბს არ მოუგია ჩემპიონატში. „ნიუელს ოლდ ბოისმა“ შესანიშნავ სტილში მოიგო, „კეთროვნები“ სტუმრად „ბელგრანოსთან“ 0:2-ს აგებდნენ, თუმცა შეხვედრის ჩარხის შემობრუნება შეძლეს.

„ველეს სარსფილდმა“ პირველად ითამაშა ურუგვაელი ლიდერის **სანტიაგო სილვას** გარეშე („ფიორენტინაში“ წავიდა) და გუნდმაც ეგრევე წააგო.

### ტურის პოლემიკა

დიდი პოლემიკა მოჰყვა „ბოკა ხუნიორსის“ საპასუხო გოლს „სან ლორენსოს“ კარში. 50-ე წუთზე 27 წლის **დარიო ცვიტანიჩმა** (რომელიც „აიაქსიდან“ გემახსოვრებათ) ახლო მანძილიდან თავით გაიტანა, თუმცა მეტოქის მცველი **კრისტიან ტულა** და სტუმართა მთელი გუნდი თამაშგარე მდგომარეობის დაფიქსირებას ითხოვდა. საქმე იმაშია, რომ ტულამ, როცა შეხედა, რომ ცვიტანიჩზე პასი კეთდებოდა, პირითი ხაზი გადაკვეთა და მოედნის მიღმა გავიდა. მსაჯმა წესის მიხედვით იმოქმედა, როცა მცველი განზრახ გადის ეპიზოდში მოედნიდან თამაშგარე მდგომარეობა არ ითვლება. ეს რომ ასე არ იყოს, მეტოქეთა შეტევების ჩაშლის საოცარი მეთოდების მოგონება შეიძლება...

### ტურის ციფრები

გუნდები ჯერ ვერ შევიდნენ სეზონის რიტმში, ტურში მხოლოდ 19 გოლი გავიდა, ერთით მეტი სტუმრების ანგარიშზეა. ტურში ერთადერთი დუბლის ავტორი **რიკარდო ნორია**, რომელმაც „ნიუელსს“ გამარჯვება დრამატულ მატჩში მოუტანა.

ბომბარდირთა დავას 3 გოლით ლიდერობენ **დარიო განდინი, ტეო გუტიერესი** და **მაურო მატოსი**, რომელმაც ახლახან „ნაპოლიში“ გადასვლაზე უარი განაცხადა. განდინმა და მატოსმა ამ ტურშიც გოლებით გამოიჩინეს თავი, აი, კოლუმბიელმა გუტიერესმა კი - გაძევებით.

**ტურის მატჩი**

ბოკა vs სან ლორენსო

**ტურის გმირი**

რიკარდო ნორი (ნიუელსი)

**ტურის გოლები**

გაბრიელ მენდესი (სან ლორენსო)
პაულო როსალესი (სანტა ფე)

### რეალ მადრიდი მეორე წრეში

„რეალ მადრიდი“ არგენტინის თასის მეორე წრეში გავიდა. დიახ, არაფერი შეგვშლია - ქალაქ რიო-გრანდეს (ცეცხლოვან მიწაზეა) კლუბს ზუსტად ასე ჰქვია - „რეალ მადრიდი“. სწორედ ეს „რეალი“ გავიდა შემდეგ ეტაპზე მას შემდეგ, რაც „ლოს კუერვოს დელ ფინ დელ მუნდო“ პენალტების სერიაში დაამარცხა. სხვათა შორის, წაგებულ გუნდს უფრო საოცარი სახელი ჰქვია - ქართულად ასე ითარგმნება: სამყაროს დასალიერის ყვავები!

### რივერი მალე დაბრუნდება

ამასობაში მეორე დივიზიონში გავარდნილი „მილიონარიოსი“ ანუ „რივერ პლეიტი“ თამაშს თამაშზე იგებს და ცხრილს ერთპიროვნულად ლიდერობს. „რივერმა“ 3:1 მოუგო „დეკამპარადოსს“, ერთ-ერთი გოლი კი „ვალენსიას“ ყოფილი შემტევის, **ალეხანდრო დომინგესის** ანგარიშზეა. დედაქალაქელებს 3 ტურიდან 9 ქულა დაუგროვდათ.

*„მინდა „რივერი“ ელიტაში დაბრუნდეს. ყველაფერი მესმის, ვთამაშობთ ისეთი გუნდების წინააღმდეგ, რომლებთანაც საერთო არაფერი გვაქვს, ჩვენ ხომ დიდი ჩემპიონები ვართ. აქ ჩვენ არაფერი გვესაქმება“*, - განაცხადა **რამონ დიასმა**, რომელსაც 30 აგვისტოს 52 წელი შეუსრულდა.

### რიკელმეს გასაჭირი

**ხუან რამონ რიკელმეს** კვლავ პრობლემები აქვს, მუხლმა შეაწუხა, რის გამოც ნახევარმცველი სეზონის მთავარ კლასიკოს, „ბოკასა“ და „ინდეპენდიენტეს“ მატჩს გამოტოვებს.

● ბრაზილია. სერია A. XIX ტური

# დერბების ტური

## კორინთიანსმა დაამუხრუჭა, მაგრამ წრე მაინც მოიგო

**კორიტიბა–ატლეტიკო პ. 1:1**

გოლები: 1:0 ემერსონი (23), 1:1 ედილსონი (68)
**შენიშვნა:** *ანდერსონ აკინო (კორიტიბა) სათადარიგო იყო.*

**ამერიკა–ატლეტიკო გ. 1:2**

გოლები: 1:0 ვილიან როჩა (28), 1:1 ჟუნინიო (70), 1:2 ჟუნინიო (77)

**ფლუმინენსე–ბოტაფოგო 1:2**

გოლები: 1:0 ფრედი (55), 1:1 ელკესონი (56), 1:2 ლუკასი (64)

**პალმეირასი–კორინთიანსი 2:1**

გოლები: 0:1 ემერსონი (18), 1:1 ლუანი (36), 2:1 ფერნანდაო (51)

**სანტოსი–სან პაულუ 1:1**

გოლები: 0:1 ლუკას სილვა (45), 1:1 განსო (80)
გაძევება: კარლინიოს პარაიბა (27. სან პაულუ)

**ფლამენგო–ვასკო და გამა 0:0**

გაძევება: ველინტონი (41. ფლამენგო)

**გრემიო–ინტერნასიონალი 2:1**

გოლები: 1:0 მარკინიოსი (16), 1:1 ინდიო (24), 2:1 დუგლასი (78-პენ)

**სეარა–ბაია 3:0**

გოლები: 1:0 ტიაგო (16), 2:0 აზევედო (80), 3:0 ედმილსონი (90)

**ატლეტიკო მ.–კრუზეირო 1:2**

გოლები: 0:1 მონტილიო (13), 1:1 ფილიპე (57), 1:2 მონტილიო (87)

**ფიგეირენსე–ავაი 2:3**

გოლები: 1:0 იგორი (19), 1:1 ლინკოლნი (38), 2:1 ჟულიო სეზარი (45), 2:2 ვილიამი (60), 2:3 ვილიამი (87)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კორინთიანსი | 19 | 11 | 4 | 4 | 30-18 | 37 |
| 2. ფლამენგო | 19 | 9 | 9 | 1 | 33-21 | 36 |
| 3. სან პაულუ | 19 | 10 | 5 | 4 | 30-23 | 35 |
| 4. ვასკო და გამა | 19 | 10 | 5 | 4 | 26-21 | 35 |
| 5. ბოტაფოგო | 19 | 10 | 4 | 5 | 29-19 | 34 |
| 6. პალმეირასი | 19 | 8 | 8 | 3 | 25-14 | 32 |
| 7. კრუზეირო | 19 | 8 | 3 | 8 | 26-20 | 27 |
| 8. ინტერნასიონ. | 19 | 7 | 6 | 6 | 28-24 | 27 |
| 9. კორიტიბა | 19 | 7 | 5 | 7 | 32-24 | 26 |
| 10. ფიგეირენსე | 19 | 7 | 5 | 7 | 21-24 | 26 |
| 11. ფლუმინენსე | 19 | 8 | 1 | 10 | 22-22 | 25 |
| 12. ატლეტიკო გ. | 19 | 7 | 4 | 8 | 22-21 | 25 |
| 13. სეარა | 19 | 7 | 4 | 8 | 27-28 | 25 |
| 14. სანტოსი | 18 | 6 | 4 | 8 | 23-28 | 22 |
| 15. გრემიო | 18 | 5 | 6 | 7 | 18-23 | 21 |
| 16. ბაია | 19 | 4 | 8 | 7 | 21-27 | 20 |
| 17. ატლეტიკო პ. | 19 | 4 | 6 | 9 | 20-28 | 18 |
| 18. ავაი | 19 | 4 | 5 | 10 | 21-40 | 17 |
| 19. ატლეტიკო მ. | 19 | 4 | 3 | 12 | 24-38 | 15 |
| 20. ამერიკა | 19 | 2 | 7 | 10 | 22-37 | 13 |

**ბომბარდირები:** 12 - ბორჟესი (სანტოსი); 10 - რონალდინიო (ფლამენგო), მონტილიო (კრუზეირო); 8 - ლეონარდო დამიაო (ინტერნასიონალი), ელკესონი (ბოტაფოგო), დეივიდი (ფლამენგო), რაფაელ მოურა (ფლუმინენსე).

**მომდევნო ტური**

გვიან დასრულდა: ვასკო და გამა-სეარა, კორინთიანსი-გრემიო, ატლეტიკო გ.-კორიტიბა, ატლეტიკო პ.-ატლეტიკო მ, კრუზეირო-ფიგეირენსე, ავაი-ფლამენგო, ბოტაფოგო-პალმეირასი, ინტერნასიონალი-სანტოსი, სან პაულუ-ფლუმინენსე.
1 სექტემბერი: ბაია-ამერიკა.

ბრაზილიის ჩემპიონატში პირველი წრე დასრულდა, რომელიც „კორინთიანსმა“ 37 ქულით მოიგო, მიუხედავად ბოლო ტურში წაფორხილებისა. ტურის მატჩში „პალმეირასმა“ ლიდერს 2:1 მოუგო. „ვერდაო“ ამ მოგებით საჩემპიონო რბოლაში დაბრუნდა. ანგარიში მასპინძელთა მეკარე **მარკოსის** შეცდომის წყალობით გაიხსნა, **ემერსონის** დარტყმისას მან ორიენტაცია დაკარგა. ტაიმის მიწურულს მეორე მეკარის შეცდომის დრო დადგა, **ჟულიო სეზარმა** ბურთი ხელებში ვერ შეიჩერა და **ლუანმა** გაათანაბრა. 51-ე წუთზე ნამდვილი შედევრი შექმნა „პალმეირასის“ კაპიტანმა **მარკოს ასუნსაომ**, რომელმაც მცველთა ზურგს უკან მიაწოდა დიდებული პასი **ფერნანდაოს**, შეცვლაზე შესულმა ფორვარდმა კი გამარჯვების გოლი შეაგდო.

„კორინთიანსმა“ ბოლო პერიოდში მკვეთრად მოუკლო, სულ ახლახან ლიდერს წაგება არ ჰქონდა, ახლა კი უკვე 4 დაუგროვდა. ლიდერის წაფორხილებით კი ვერ ისარგებლეს „ფლამენგომ“ და „სან პაულუმ“. „ფლამ“ „ვასკო და გამასთან“ დერბი 0:0 დაასრულა, ხოლო „სან პაულუმ“ ბოლო წუთებზე გაუშვა გამარჯვება „სანტოსთან“ მატჩში.

სხვა მატჩებიდან აღსანიშნავია დიდებული დერბი „გრემიოსა“ და „ინტერნასიონალს“ შორის. „გრემიომ“, რომელსაც ურიგო შემადგენლობა არ ჰყავს, მაგრამ შედეგებით ვერ დაიკვეხნის, 2:1 მოუგო „ინტერს“.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**



ფერნანდაო, ლიდერის კარში გამარჯვების გოლის ავტორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრივი

# პოვეტკინი-ჰოლიფილდი დაინიშნა

## დე ლა ჰოია სუიციდთან ახლოს იყო

ლეგენდარულმა ამერიკელმა სუპერმძიმეწონოსანმა **ევანდერ ჰოლიფილდმა** განაცხადა, რომ მისი ბრძოლა რუს **ალექსანდრ პოვეტკინთან**, სავარაუდოდ, ამა წლის 17 დეკემბერს გაიმართება, - წერს ინტერნეტ-გამოცემა Fightnews.com. მსოფლიოს ყოფილი აბსოლუტური ჩემპიონის თქმით, ის მიმდინარე კვირას განიხილავს ამ საკითხს პრომოუტერ **კალე ზაუერლანდთან**, რომელიც პოვეტკინის ინტერესებს წარმოადგენს.

პოპულარულ ვებგვერდზე BoxRec.com-ზე უკვე გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბრძოლა: პოვეტკინი-ჰოლიფილდი 17 დეკემბერს შვეიცარიის ქალაქ ციურიხში გაიმართება.

შეგახსენებთ, რომ გასულ უქმეებზე პოვეტკინმა უზბეკი **რუსლან ჩაგაევი** დაამარცხა და სუპერმძიმე წონაში WBA-ის ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.

თავად ზაუერლანდმა განაცხადა, რომ ჰოლიფილდი - ერთადერთი კანდიდატი არ არის პოვეტკინთან ჩხუბზე. *„გერმანულმა პრესამ დაწერა, რომ ბრძოლა პოვეტკინსა და ჰოლიფილდს შორის ნამდვილად გაიმართება. მაგრამ სინამდვილეში ეს მხოლოდ ერთ-ერთი ვარიანტია. მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ რამდენიმე პოტენციურ მოწინააღმდეგესთან. ვფიქრობ, საბოლოოდ ამ საკითხში სიცხადეს უახლოეს 10-14 დღეში შევიტანთ.*

*რაც შეეხება ჰოლიფილდის ვარიანტს, ევანდერის სასარგებლოდ არ ლაპარაკობს მისი ასაკი“*, - ამბობს გერმანელი პრომოუტერი.

პოვეტკინი WBA-ის „ჩვეულებრივი“ ჩემპიონია, ვლადიმერ კლიჩკო კი ამ ვერსიის „სუპერჩემპიონი“ გახლავთ, ასე რომ, დღის წესრიგში დგება ამ მოკრივეთა შეხვედრაც. ცნობილი გახდა, რომ WBA-ის ხელმძღვანელობამ უკრაინელ ჩემპიონს 2013 წლის გაზაფხულამდე დაავალდებულა რუსთან შეხვედრა, თუ, რა თქმა უნდა, პოვეტკინი მანამდე შეინარჩუნებს რამდენიმე დღის წინ მოპოვებულ ტიტულს.


პოლიფილდი და პოვეტკინი

*„მანამდე ამ ბრძოლის ორგანიზება შეუძლებელი იქნება, - ამბობს ზაუერლანდი. - პოვეტკინსა და ვლადიმერს თავიანთი საჩემპიონო ტიტულების დაცვა უწევთ. შემდეგ დაიწყება სერიოზული მუშაობა შეხვედრის ადგილის ამოსარჩევად. არის რამდენიმე ვარიანტი, მათ შორის მოსკოვი. ბევრი რამ იქნება დამოკიდებული რუსი ორგანიზატორების ფინანსურ შემოთავაზებაზე“.*

ჰოლიფილდს დავუბრუნდეთ. ამერიკელმა მოკრივემ, რომელსაც 19 ოქტომბერს 49 წელს უსრულდება, ასევე განაცხადა, რომ 22 ოქტომბერს მან, შესაძლოა, **ფრანსუა ბოთასთან** გამართოს ბრძოლა. ეს მოკრივეები 2010 წლის აპრილში შეხვდნენ ერთმანეთს და მაშინ ჰოლიფილდმა მერვე რაუნდში ნოკაუტით მოიგო.

■ ■ ■

ექვს წონით კატეგორიაში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი **ოსკარ დე ლა ჰოია** კვლავაც ალკოჰოლურ და ნარკოტიკულ დამოკიდებულებას ებრძვის და რეგულარულად სტუმრობს შესაბამის სარეაბილიტაციო ცენტრს. ბოლო ინტერვიუში ამერიკელმა მოკრივემ აღიარა, რომ ბოლო წლებში არაერთხელ მოსვლია თავში თვითმკვლელობის იდეა. აღვნიშნავთ, რომ სამი თვეა, დე ლა ჰოია ჯანსაღ ცხოვრებას მისდევს.

*„ბოლო რამდენიმე წელია უბრალოდ ვფიქრობდი - არის თუ არა დარჩენილი ჩემს ცხოვრებაში რაიმე ღირებული. მართალია, არც ძალა და არც სითამამე არ მაქვს იმისთვის, რომ თავი მოვიკლა, მაგრამ ასეთი ფიქრი არაერთხელ დამეუფლა.*

*კოკაინთან და ალკოჰოლთან „ვმეგობრობდი“. კოკაინი სულ ახლახან მოვიშორე. თუმცა ბოლო ორი წელი, უფრო მეტად ალკოჰოლზე ვიყავი დამოკიდებული. მას იქ მივყავდი, სადაც თავს უსაფრთხოდ ვგრძნობდი“*, - ამბობს დიადი ჩემპიონი.

ფორმულა 1

# სამი მოგება საკმარისია

ბელგიის გრანპრიზე გამარჯვების შემდეგ „რედ ბულის“ პილოტი **სებასტიან ფეტელი** კიდევ ერთი ნაბიჯით მიუახლოვდა ზედიზედ მეორე ტიტულს და უფრო იოლი გახდა მისი საჩემპიონო შანსების დათვლა. ასევე გაირკვა, რომ პრეტენდენტთა რიგებს გამოაკლდა „ფერარის“ პილოტი **ფელიპე მასა** და ახლა ტიტულზე პრეტენზიას აცხადებენ: ფეტელი, **მარკ უებერი, ფერნანდო ალონსო, ჯენსონ ბატონი** და **ლუის ჰემილტონი.**

სებასტიან ფეტელისთვის საკმარისია მოიგოს შვიდი დარჩენილი რბოლიდან სამი და კიდევ ერთში მეექვსე მივიდეს ფინიშთან და ამ შემთხვევაში გერმანელი ვადაზე ადრე გახდება ჩემპიონი. არის სხვა ვარიანტებიც - მაგალითად, საკმარისია ოთხ რბოლაში მეორე ადგილი და ერთში - მეოთხე. ან კიდევ, უბრალოდ ყველა დარჩენილ ეტაპზე მინიმუმ მეოთხე ადგილი...

მარკ უებერმა უნდა მოიგოს ყველა დარჩენილი რბოლა და თან იმედი ჰქონდეს, რომ ფეტელი მეოთხე ადგილზე ზემოთ ვერ ავა, ერთ რბოლაში კი - მეხუთეზე ზემოთ.

ალონსოს სჭირდება, ფეტელი ყოველ ჯერზე მაქსიმუმ მეხუთეზე იყოს და მხოლოდ ერთხელ - მეორე. ამასთან, ესპანელმა შვიდივე ეტაპი უნდა მოიგოს.

„მაკლარენის“ პილოტებისთვის ამოცანა კიდევ უფრო რთულია. თითოეულმა უნდა მოიგოს ყველა დარჩენილი ეტაპი. ამასთან, ბატონს სჭირდება, რომ ფეტელი ოთხ რბოლაში მეხუთეზე ზემოთ არ ავიდეს, სამში - მეექვსეზე ზემოთ. ჰემილტონს პირიქით - სებასტიანმა სამ რბოლაში მეხუთეზე ზემოთ არ უნდა დაიკავოს ადგილი, ოთხში - მეექვსეზე ზემოთ.

■ ■ ■

ფორმულა 1-ში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი **მიკა ჰაკინენი** მიიჩნევს, რომ მისი თანამემამულე, მსოფლიოს 2007 წლის ჩემპიონი **კიმი რაიკონენი**, რომელიც ამჟამად რალიში გამოდის, აუცილებლად დაბრუნდება „სამეფო რბოლაში“.

*„ის ფორმულა 1-ში რამდენიმე წელი წარმატებით გამოდიოდა. კიმი უნიჭიერესი პილოტია, მაგრამ რაღაც მომენტში იგრძნო, რომ ჩემპიონატში გამოსვლის სურვილი აღარ ჰქონდა.*

*შეეძლო დიდი ხნით დარჩენილიყო ფორმულა 1-ში, მაგრამ რაღაც ახალი გამოწვევა მოისურვა - რალი ან ნასკარის სერია. რატომაც არა? ის ჯერ კიდევ ახალგაზრდაა - მაშინ, რატომ არ უნდა გააკეთოს ის, რაც სურს?!*

*ვიხილავთ თუ არა მას ისევ ფორმულა 1-ში? თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ასე მოხდება... ასეთია ჩემი აზრი“*, - ამბობს ჰაკინენი ჟურნალ F1 Racing-თან კომენტარში.

რაიკონენმა ფორმულა 1 2009 წლის ბოლოს, „ფერარისთან“ კონტრაქტის ნაადრევად გაწყვეტის შემდეგ დატოვა. უკვე ორი სეზონია ფინელი რალის მსოფლიოს ჩემპიონატში გამოდის, გარდა ამისა, წელს დებიუტი ჰქონდა ნასკარის სერიაში.

უფრო ადრე ბრიტანულმა ყოველკვირეულმა „ავტოსპორტმა“ დაწერა, რომ ფორმულა 1-ში დაბრუნება რაიკონენისთვის პრიორიტეტული ვარიანტია.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



სებასტიან ფეტელი

ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| ბეტისი-პორტსმუთი | 5:1 |
| ვალიადოლიდი-ხეტაფე | 0:1 |
| **Under 20** | |
| შვეიცარია-იტალია | 3:2 |
| გერმანია-პოლონეთი | 4:2 |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| იუვე სტაბია-ვერონა | 1:2 |
| ტორინო-ჩიტადელა | 1:1 |
| **გერმანია** | |
| **რეგიონალლიგა (სამ)** | |
| ნიურნბერგი A-ფრაიბურგი A | 2:1 |
| **რეგიონალლიგა (დას)** | |
| იდარ ობერშტაინი-შალკე A | 2:3 |
| ბოხუმი A-კობლენცი | 3:3 |
| ესენი-ფერლი | 3:1 |
| **საფრანგეთი** | |
| **ლიგის თასი** | |
| ტულუზა-ნიცა | 1:2 |
| კაენი-ბრესტი | 3:2 |
| დიჟონი-ვალანსი | 3:2 |
| ლე მანი-აიაჩო | 1:0 |
| მონპელიე-ამიენი | 2:2 პენ. 3:2 |
| სედანი-ნანტი | 2:0 |
| სტ. ეტიენი-ბორდო | 3:1 |
| **დანიის თასი** | |
| აარსი-ლინდჰოლმი | 1:0 |
| ალერედი-ნაესტვედი | 1:3 |
| ბალერუპი-ვესტსილანდი | 0:5 |
| დოლეფიელდი-აკადემისკი | გადაიდო |
| ფრედენსბორგი-სვენდბორგი | 2:4 |
| ჰელსინგე-სვებოლე | 1:4 |
| ჰერლევი-ბრონსჰოი | 3:3 დ.დ. 4:3 |
| ჰერნინგი-ვეილე | 2:7 |
| ჰილეროდი-ნორდსილანდი | 0:6 |
| იაგერსბორგი-სოლეროდი | 3:0 |
| კასტრუპი-ელიტი | 1:4 |
| ლანგესკოვი-რანდერსი | 0:5 |
| რინგკიობინგი-ვიბი | 3:3 დ.დ. 6:4 |
| სკოვბაკენი-ფრედერისია | 1:3 |
| ვანლოსე-ჰვიდოვრე | 1:5 |
| როსკილდე-ლუნგბიუ | 1:1 პენ. 2:1 |
| ფრემი-ნაესბი | 0:2 |
| ნორდვესტი-ბ1908 | 2:2 დ.დ. 3:2 |
| ტისტედი-მარიენლისტი | 1:1 დ.დ. 2:3 |
| ვიბორგი-ოლბორგი | 1:1 პენ. 3:2 |
| **ფინეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ვიიკინგიტი-ლაჰტი | 1:0 |
| **ირლანდიის თასი** | |
| მონეგანი-სლიგო | 0:4 |
| **ჩეხეთის თასი** | |
| ბრნო-ბოლესლავი | 1:3 |
| ფრიდეკი-სლოვაცკო | 0:2 |
| კარვინა-ოპავა | 4:1 |
| მიკულოვიცე-ტეპლიცე | 0:4 |
| პრევისოვი-სლავია | 3:0 |
| სოკოლი (ო)-ვიქტორია | 0:2 |
| სოკოლი (ტ)-დუკლა | 0:4 |
| კრალუვი-ბუდეიოვიცე | 0:2 |
| ლიბერეცი-ჰრადეცი | 3:1 |
| იჟლავა-სიგმა | 1:2 |
| **ბრაზილია** | |
| კორინთიანსი-გრემიო | 3:2 |
| ვასკო-სეარა | 3:1 |
| **კოლუმბია** | |
| იტაგუი-ენვიგადო | 1:1 |
| დეპორტივო კალი-ონსე კალდასი | 1:1 |
| **კალათბურთი** | |
| **ამერიკის ჩემპიონატი** | |
| ვენესუელა-დომინიკის რეს | 89:92 |
| პუერტო რიკო-პარაგვაი | 101:55 |
| არგენტინა-ურუგვაი | 86:51 |
| **ჩოგბურთი** | |
| **აშშ-ის ღია** | |
| **კაცები** | |
| როსოლი-**პოსპიშილი** | 1:6, 2:6, 1:6 |
| **დუტრა**-სიორენსენი | 6:0, 3:6, 6:4, 1:0 უარი |
| **ფ. ლოპესი**-იტო | 6:2, 6:4, 6:4 |
| ალმაგრო-**ბენეტო** | 2:6, 4:6, 3:6 |
| **გ. ლოპესი**-ხ. ტრავერო | 6:3, 1:6, 7:6, 4:6, 7:6 |
| **ისტომინი**-სვიტინგი | 3:6, 7:5, 6:4, 7:6 |
| **ხუნკეირა**-კ. ბეკი | 6:2 უარი |
| **დელ პოტრო**-ვოლანდრი | 6:3, 6:1, 6:1 |
| მაშადო-**ჰაასე** | 0:6, 4:6, 4:6 |
| **ბოგომოლოვი**-ჯონსონი | 4:6, 4:6, 6:3, 7:6, 6:3 |
| დევარმანი-**მიურეი** | 6:7, 2:6, 3:6 |
| მელო-**სიმონი** | 6:3, 3:6, 4:6, 6:3, 4:6 |
| **ქალები** | |
| დუშევინა-**კირილენკო** | 1:6, 2:6 |
| **მედინა გარიგესი**-რობსონი | 6:2, 6:3 |
| **საფაროვა**-კეისი | 3:6, 7:5, 6:4 |
| **ნიკულესკუ**-დულგერუ | 6:3, 6:0 |
| **ზვონარევა**-კ. ბონდარენკო | 7:5, 3:6, 6:3 |
| **პენგი**-პირონკოვა | 6:2, 6:4 |
| ბარტოლი-**მაკჰეილი** | 6:7, 2:6 |
| **გორჯესი**-პოუს ტიო | 6:3, 6:1 |
| **სტოსური**-ვანდევეგე | 6:3, 6:4 |
| **პეტროვა**-ჰერცოგი | 6:2, 6:4 |
| ციბულკოვა-**ფალკონი** | 6:2, 3:6, 5:7 |
| **პენეტა**-ოპრანდი | 6:0, 6:3 |

TV პროგრამა

**1 სექტემბერი. ხუთშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** გერმანიის ჩემპიონატი. IV ტურის მიმოხილვა.
**11:00** ესპანეთის ჩემპიონატი. II ტურის მიმოხილვა.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. IV ტური. ჰერტა-შტუტგარტი.
**14:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. IV ტური. აიაქსი-ვიტესი.
**16:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. IV ტური. ლიონი-მონპელიე.
**18:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. XIX ტურის მიმოხილვა.
**18:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - WORLD OF FOOTBALL.
**19:00** ინგლისის ჩემპიონატი. III ტური. ტოტენჰემი-მანჩესტერ სიტი.
**21:00** არგენტინის ჩემპიონატი. IV ტურის მიმოხილვა.
**22:00** ესპანეთის ჩემპიონატი. II ტური. ბარსელონა-ვილიარეალი.
**00:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. IV ტური. ლილი-მარსელი.

**GMG-სპორტი**

**10:00** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. II ტური. სარაგოსა-რეალი.
**12:00** კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. ჩემპიონის გზა. ჰიუსტონი-დალასი.
**13:50** კალათბურთი. ევროლიგა. სუპერმატჩი. ოლიმპია-რომა.
**15:40** მძლეოსნობა. IAAF-ის გრანპრი. ბელგია.
**18:00** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. III ტური. ბაიერნი-ჰამბურგი.
**19:55** მხატვრული ტანვარჯიში.
**22:30** რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP 14. მონპელიე-სტად ფრანსე.
**00:15** კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. ჩემპიონის გზა. ჰიუსტონი-დალასი.

**I არხი**

**18:50** კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. საქართველო-რუსეთი. ლიტვა (LIVE).
**20:50** ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (21-წლამდელები). შესარჩევი მატჩი. საქართველო-ესპანეთი (LIVE).

**НТВ-პლუსი (სპორტი)**

**14:20** ჰოკეი. მოსკოვის მერის თასი. ცსკა-ატლანტი (LIVE).
**18:20** ჰოკეი. მოსკოვის მერის თასი. დინამო-სპარტაკი (LIVE).
**21:55** კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. II ტური. იტალია-გერმანია. ლიტვა (LIVE).

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

**19:00** ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. IV დღე. ნიუ იორკი (LIVE).
**03:00** ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. IV დღე. ნიუ იორკი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ჩოგბურთი)**

**19:00** ამერიკის ღია პირველობა. IV დღე. ნიუ იორკი (LIVE).

**НТВ-პლუსი (კალათბურთი)**

**16:10** ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. II ტური. სერბეთი-ლატვია. ლიტვა (LIVE).
**18:40** ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. II ტური. რუსეთი-საქართველო. ლიტვა (LIVE).
**21:55** ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. II ტური. უკრაინა-სლოვენია. ლიტვა (LIVE).

**SPORT+**

**18:40** კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. II ტური. რუსეთი-საქართველო. ლიტვა (LIVE).
**22:25** ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (21-წლამდელები). შესარჩევი მატჩი. ინგლისი-აზერბაიჯანი (LIVE).

**EUROSPORT**

**07:30** ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. III დღე. ნიუ იორკი (LIVE).
**13:45** მძლეოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. VI დღე. ტეგუ. ს. კორეა (LIVE).
**18:00** ველოსპორტი. ვუელტა. XII ეტაპი. ესპანეთი (LIVE).
**21:15** ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. IV დღე. ნიუ იორკი (LIVE).
**03:00** ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. IV დღე. ნიუ იორკი (LIVE).
**05:00** მძლეოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. VII დღე. ტეგუ. ს. კორეა (LIVE).

**EUROSPORT-2**

**19:00** ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. IV დღე. ნიუ იორკი (LIVE).
**21:45** ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. IV დღე. ნიუ იორკი (LIVE).
**02:15** ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. IV დღე. ნიუ იორკი (LIVE).
**05:00** ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. IV დღე. ნიუ იორკი (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. II დღე




სიმონა ჰალეპი

# ჩემპიონები აგებენ

ქალებს შორის დღეში ერთი სენსაცია ნორმა გახდა. პირველ დღეს ბრძოლას გამოეთიშა უიმბლდონის ჩემპიონი **პეტრა კვიტოვა**, ახლა კი ამერიკის ღიას გამოეთიშა როლან გაროსის ტრიუმფატორი **ნა ლი**. ჩინელი ჩოგბურთელი რუმინელ **სიმონა ჰალეპთან** დამარცხდა. აზიელი თავად დაეხმარა მეტოქეს, რადგან 54 უნებლიე შეცდომა დაუშვა, ამასთან, ჰალეპმა მთელი მატჩის განმავლობაში ოდნავ მეტი - 69 გათამაშება მოიგო.

მეორე სეტში ნა ლის ჰქონდა ინიციატივის ხელში ჩაგდების შანსი, მაგრამ 5:4-ზე ზედიზედ სამი გეიმი და მასთან ერთად მატჩი წააგო - 2:6, 5:7. აღსანიშნავია, რომ სიმონამ კარიერაში პირველად დაამარცხა რეიტინგის პირველი ათეულის წევრი.

ნა ლის აშკარად უჭირს ამერიკულ ჰარდზე თამაში - ზედიზედ ორი წელია მარცხდება აშშ-ის ღია პირველობის, ინდიან უელსისა და მაიამის სუპერტურნირების პირველ წრეში.

კიდევ ერთი დიდი მოულოდნელობა იყო სლოვაკი **დანიელა ჰანტუხოვას** წაგება ფრანგ **პოლინ პარმენტიესთან**, რომელიც გრუნტის საფარზე ამჯობინებს თამაშს. რთული მოგებით დაიწყო ტურნირი **ფრანჩესკა სკიავონემ**. იტალიელმა 16 ორმაგი შეცდომა დაუშვა და მაინც სამ სეტში მოუგო **გალინა ვოსკობოევას** - 6:3, 1:6, 6:4.

მეორე წრეში გაალწია ორივე სერბმა ვარსკვლავმა. როგორც ჩანს, საბოლოოდ აღიდგინა ოპტიმალური ფორმა **ელენა იანკოვიჩმა**. ტურნირის მე-11 ნომერმა, რომელსაც აქ 2008 წელს ფინალი აქვს ნათამაშები, 58 წუთში ამერიკელ **ალისონ რისკეს** მხოლოდ ორი გეიმი დაუთმო - 6:2, 6:0.

რთული დღეები უდგას **ანა ივანოვიჩს**, რომელსაც შაბათს ბაბუა გარდაეცვალა. მიუხედავად ამისა, მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა მართალია შედარებით პასიური თამაშით, მაგრამ მაინც ორ სეტში მოუგო რუს **ქსენია პერვაკს** - 6:4, 6:2.

იანკოვიჩისა არ იყოს, თავის თამაშს პოულობს **კაროლინ ვოზნიაცკი**. გასულ კვირას ნიუ ჰევენის ტურნირის მოგების შემდეგ, დანიელმა აშშ-ის ღია პირველობის პირველ წრეში ესპანელი **ნურია ლაგოსტერა ვივესი** გაანადგურა - 6:3, 6:1. ზუსტად ასეთი ანგარიშით გაიმარჯვა **ვიქტორია აზარენკამაც**, რომელსაც ტურნირის წინ ხელის ტრავმა აწუხებდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ბელარუსს ყველაფერი წესრიგში აქვს. მისი პირველი მსხვერპლი შვედი **იოჰანა ლარსონი** გახდა.

უკვე ვიცით, რომ მეორე წრეში ცენტრალური მატჩი იქნება ამერიკელ **ვენუს უილიამსსა** და გერმანელ **საბინ ლისიცკის** შორის. ვენუსმა პირველ დღეს მოიგო თავისი მატჩი, ლისიცკიმ კი გუშინ ჩაატარა პირველი შეხვედრა უკრაინელი **ალიონა ბონდარენკოს** წინააღმდეგ. გერმანელს პრობლემა არ ჰქონია და ორივე სეტი ერთნაირი ანგარიშით - 6:3 მოიგო.

ლისიცკიმ წლევანდელი სეზონი მე-100 ჩოგანის რანგში დაიწყო და ახლა რეიტინგის მე-18 ნომერია. უიმბლდონზე მან ნამდვილი ფურორი მოახდინა, როცა ნახევარფინალში გავიდა, გასულ კვირას კი დალასის ტურნირი მოიგო და უილიამსთან შეხვედრას შესანიშნავ ფორმაში ხვდება.

### I წრე

**კაროლინ ვოზნიაცკი (დან,1)**-ნურია ლაგოსტერა ვივესი (ესპ) 6:3, 6:1; **არანჩა რუსი (ჰოლ)**-ელენა ვესნინა (რუს) 6:2, 6:4; **ვანია კინგი (აშშ)**-გრეტა არნი (უნგ) 6:1, 6:4; **იარმილა გაიდოშოვა (ავსტრა, 29)**-ივეტა ბენეშოვა (ჩეხ) 7:6(5), 7:5; **პოლინ პარმენტიე (საფ)**-დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ, 21) 6:2, 6:3; **აკგულ ამანმურადოვა (უზბ)**-ტამირა პაჩეკი (ავსტრია) 6:4, 6:2; **ელენა ბალტაჩა (ბრიტ)**-ჯეიმი ჰემპტონი (აშშ) 2:6, 6:2, 5:1 ჰემპტონის უარი; **სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 15)**-სარა ერანი (იტა) 7:5, 6:1; **ანდრეა პეტკოვიჩი (გერ, 10)**-ეკატერინა ბიჩკოვა (რუს) 6:2, 6:2; **ჟიე ჟენგი (ჩინ)**-ვიტალია დიატჩენკო (რუს) 4:6, 7:5, 6:2; **ალიზ კორნე (საფ)**-კეისი დელაკუა (ავსტრა) 7:5, 6:0; **რობერტა ვინჩი (იტა, 18)**-ირინა კამერია ბეგუ (რუმ) 6:3, 6:4; **კაია კანეპი (ესტ, 31)**-ტამარინე ტანასუგარნი (ტაილ) 6:4, 6:3; **სილვია სოლერ-ესპინოსა (ესპ)**-კიმიკო დატე (იაპ) 7:6(5), 7:6(2); **კარლა სუარეს ნავარო (ესპ)**-მატილდ იოჰანსონი (საფ) 6:2, 4:6, 7:5; **სიმონა ჰალეპი (რუმ)**-ნა ლი (ჩინ, 6) 6:2, 7:5; **ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 4)**-იოანა ლარსონი (შვედ) 6:1, 6:3; **ხისელა დულკო (არგ)**-რებეკა მარინო (კან) 6:3, 6:3; **მიხაელა კრაიჩეკი (ჰოლ)**-ელენი დანილიდუ (საბ) 3:6, 7:6(4), 6:1; **სერენა უილიამსი (აშშ, 28)**-ბოიანა იოვანოვსკი (სერ) 6:1, 6:1; **შაარ პეერი (ისრ, 23)**-სანია მირზა (ინდ) 6:7(5), 6:3, 6:1; **სლოუნ სტივენსი (აშშ)**-რეკა ლუკა იანი (უნგ) 6:2, 3:6, 7:6(3); **პეტრა ჩეტკოვსკა (ჩეხ)**-ევგენია როდინა (რუს) 1:6, 6:1, 6:2; **ანა ივანოვიჩი (სერ, 16)**-ქსენია პერვაკი (რუს) 6:4, 6:2; **ელენა იანკოვიჩი (სერ, 11)**-ელისონ რისკე (აშშ) 6:2, 6:0; **ელენა დოკიჩი (ავსტრა)**-ოლგა გოვორცოვა (ბლრ) 6:3, 6:1; **პეტრა მარტიჩი (ხორ)**-ბარბორა ზახვალოვა (ჩეხ) 5:7, 6:3, 6:4; **ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუს, 17)**-ანა ტატიშვილი (საქ) 6:2, 6:2; **მონა ბარტელი (გერ)**-მარია ხოსე მარტინეს სანჩესი (ესპ, 32) 6:3, 6:4; **შანელ სხეპერსი (ს.აფრ)**-ენ კეოტავონგი (ბრიტ) 7:5, 6:3; **მირიანა ლუჩიჩი (ხორ)**-მარინა ერაკოვიჩი (ზელ) 6:4, 2:6, 6:4; **ფრანჩესკა სკიავონე (იტა, 7)**-გალინა ვოსკობოევა (ყაზ) 6:3, 1:6, 6:4; **იანინა ვიკმაიერი (ბელ, 20)**-სორანა კირსტეა (რუმ) 6:1, 7:5; **ფლავია პენეტა (იტა, 26)**-არავან რეზაი (საფ) 6:1, 6:4; **კოკო ვანდევეგე (აშშ)**-ალბერტა ბრიანტი (იტა) 7:5, 6:3; **საბინ ლისიცკი (გერ, 22)**-ალიონა ბონდარენკო (უკრ) 6:3, 6:3.

ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. II დღე

# ნადალი ისევ გაჭირვებულია

ამერიკის ღია პირველობის მეორე სათამაშო დღეს ბრძოლაში ჩაებნენ მსოფლიოს პირველი და მეორე ჩოგანი - **ნოვაკ ჯოკოვიჩი** და **რაფაელ ნადალი**. თანამედროვე ჩოგბურთის ლიდერების მატჩები ბრძოლის ხასიათის მიხედვით ძალიან განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. თუ სერბმა კორტზე მხოლოდ 44 წუთი გაატარა, ნადალმა თითქმის სამი საათი იწვალა ყაზახი **ანდრეი გოლუბევის** წინააღმდეგ. ეს უკანასკნელი წელს ძალიან ცუდ სეზონს ატარებს - ATP-ის ტურნირებზე 29 მატჩიდან 23 წააგო, მათ შორის 16 - პირველ წრეში. ამიტომაც, ესპანელის გამარჯვებაში ეჭვი არავის ეპარებოდა.

მიუხედავად ამისა, გოლუბევმა ღირსეული შთაბეჭდილება დატოვა და მეტი იღბალი რომ ჰქონოდა, მინიმუმ ორ სეტს მაინც მოიგებდა. ხანდახან ყაზახი ისეთ კომბინაციებს ათამაშებდა, რომ ნადალი გაოცებული აყოლებდა თვალს ბურთს, მაგრამ ამას შეცდომების წყება მოყვებოდა და ყველაფერი თავის ადგილას დგებოდა. მაგალითად, პირველ სეტში გოლუბევმა მეხუთე გეიმში ბრეიკი გააკეთა, 3:2 დაწინაურდა, მაგრამ შემდეგ ზედიზედ ოთხი გეიმი წააგო - 3:6.

ყველაზე რეალური შანსი გოლუბევს მეორე და მესამე პარტიაში ჰქონდა. სანამ ნადალმა მცირე დასვენება მოიწყო, მისმა მეტოქემ სოლიდური უპირატესობა მოიპოვა - 3:0. რაფაელმა ბრეიკი დაიბრუნა, მაგრამ იქვე ყაზახმა აღადგინა საწყისი ჰანდიკაპი. მალე კი გოლუბევმა სეტზე ჩაწოდების შანსი მიიღო. მეცხრე გეიმი მან დამაჯერებლად დაიწყო და სამმაგი სეტბოლი მოიპოვა, მაგრამ აღელდა და შეცდომები დაუშვა. მეხუთე სეტბოლზე გოლუბევი ბადესთან გავიდა, თუმცა ნადალმა ის ავანტიურისთვის დასაჯა, შემდეგ კი მაინც გააკეთა ბრეიკი. მსოფლიოს 98-ე ნომერს მეტოქის მოწოდებაზეც შეეძლო პარტიის აღება, მაგრამ კიდევ ორი სეტბოლი გაანიავა. შემდეგ ყაზახმა რაფას წინ გასვლის საშუალება მისცა, თუმცა ესპანელმაც ვერ ჩააწოდა სეტზე და ტაი-ბრეიკი დაინიშნა, სადაც ნადალის უპირატესობა ეჭვს არ იწვევდა - 7:1.

საოცარია, მაგრამ მესამე სეტში გოლუბევი 5:2-ს იგებდა, თანაც თადარიგში ორი ბრეიკი ჰქონდა. თუმცა ეს მარაგიც არ ეყო, რომ პარტია თავის სასარგებლოდ დაესრულებინა. მსაჯის ერთმა შეცდომამ ყაზახის თამაშზე ძალიან ცუდი გავლენა იქონია და ესპანელმა ზედიზედ ხუთი გეიმი აილო - 7:5.

ამ მატჩის მსვლელობიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ნადალი კვლავ გასაჭირშია. უიმბლდონის ფინალის შემდეგ მან ორ ტურნირში მიიღო მონაწილეობა და ორივეში ნახევარფინალამდეც ვერ მიაღწია - მონრეალის მასტერსზე მეორე წრე წააგო **ივან დოდიგთან**, ცინცინატიში კი მეოთხედფინალი დათმო **მარდი ფიშის** წინააღმდეგ.

რაც შეეხება ჯოკოვიჩს, მას მეტოქედ ძირითად ბადეში კვალიფიკაციიდან გასული ირლანდიელი **კონორ ნილანდი** ერგო, რომელმაც 0:6, 1:5-ის შემდეგ ბრძოლის გაგრძელება უაზრობად მიიჩნია, მოწამვლა მოიმიზეზა და კორტი მიატოვა. ნოვაკმა სეზონში 58-ე გამარჯვება მიითვალა.

როგორც გუშინდელ ნომერში აღვნიშნეთ, ჯერჯერობით მამაკაცთა ტურნირი სენსაციების გარეშე მიმდინარეობს და პირველ წრეში მხოლოდ ორი განთესილი გამოეთიშა ბრძოლას. პირველი იყო სერბი **ვიქტორ ტროიცკი**, მეორე ხელმოცარული კი გუშინ რუსი **მიხაილ იუჟნი** აღმოჩნდა, რომელიც, სხვათა შორის, შარშან აქ ნახევარფინალში თამაშობდა. რუსს პირველ წრეში სერიოზული მეტოქე ჰყავდა ლატვიელი **ერნესტ გულბისის** სახით, რომელიც კარგად მოემზადა ამერიკული სერიის ტურნირებისთვის და გასულ თვეში ლოს ანჯელესის ჩემპიონატიც მოიგო. ბალტიისპირელმა კარგი სათამაშო ფორმა ამ მატჩშიც დაამტკიცა და სამ სეტში ისე მოიგო, რომ ერთი საკუთარი გეიმიც არ მისცა იუჟნის. ასე რომ, რუსმა 720 სარეიტინგო ქულა დაკარგა და ახლა, კლასიფიკაციაში მინიმუმ 30-ე პოზიციამდე დაქვეითდება, გულბისმა კი თავის 23-ე დაბადების დღეზე ძალიან კარგი საჩუქარი გააკეთა.

### I წრე

**ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 1)**-კონორ ნილანდი (ირლ) 6:0, 5:1 ნილანდის უარი; **კარლოს ბერლოკი (არგ)**-პერე რიბა (ესპ) 7:5, 6:0, 6:1; **პოტიტო სტარაჩე (იტა)**-მიხაელ ბერერი (გერ) 6:4, 4:6, 6:3, 6:2; **ნიკოლაი დავიდენკო (რუს)**-ივან დოდიგი (ხორ, 32) 6:7(6), 6:3, 6:0, 2:6, 6:2; **ჟო ვილფრიდ ცონგა (საფ, 11)**-იენ ჰსუნ ლუ (ტაივ) 6:4, 6:4, 6:4; **სერგეი ბუბკა (უკრ)**-ანდრეას ჰაიდერ-მაურერი (ავსტრია) 6:3, 6:2, 3:6, 6:4; **მარსელ ილჰანი (თურ)**-ფრანკ დანჩევიჩი (კან) 6:3, 6:2, 1:0 დანჩევიჩის უარი; **ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 19)**-იარკო ნიემინენი (ფინ) 3:6, 6:4, 6:1, 6:4; **სტანისლას ვავრინკა (შვეიც, 14)**-მაქსიმო გონსალესი (არგ) 3:6, 6:4, 6:1, 6:3; **დონალდ იანგი (აშშ)**-ლუკაშ ლაჩკო (სლოვაკ) 6:4, 6:2, 6:4; **სტივ დარცისი (ბელ)**-დმიტრი ტურ[illegible] სუნოვი (რუს) 6:7(4), 4:6, 7:5, 6:1, 7:6(0); **ხ[illegible] იგნასიო ჩელა (არგ, 24)**-მარინკო მატოშევიჩი (ავსტრა) 3:1 მატოშევიჩის უარი; **დავიდ ფერერი (ესპ, 5)**-იგორ ანდრეევი (რუს) 2:6, 6:3, 6:0, 6:4; **ჯეიმს ბლეიკი (აშშ)**-იესე ჰუტა გალუნგი (ჰოლ) 6:4, 6:2, 4:6, 6:4; **ჟან-რენე ლის[illegible]ი (მონ)**-ოლივიე როხუსი (ბელ) 7:6(5), 6:2, [illegible]; **ფლორიან მაიერი (გერ, 26)**-ადრიან მანარინო (საფ) 6:2, 6:0, 6:1; **ერნესტ გულბისი (ლატ)**-მიხაილ იუჟნი (რუს, 16) 6:2, 6:4, 6:4; **ჟილ მიულერი (ლუქ)**-ედუარდ როჟე-ვასელენი (საფ) 7:6(5), 6:4, 6:4; **იგორ კუნიცინი (რუს)**-მატიას ბახინგერი (გერ) 2:6, 1:6, 6:1, 6:4, 6:4; **იურგენ მელცერი (ავსტრია, 17)**-ერიკ პროდონი (საფ) 6:2, 7:6(4), 6:2; **ივან ლუბიჩიჩი (ხორ, 30)**-ბლაჟ კავჩიჩი (სლოვენ) 7:6(5), 3:6, 6:1, 7:5; **დავიდ ნალბანდიანი (არგ)**-ბობი რეინოლდსი (აშშ) 4:6, 6:3, 6:4, 6:3; **ნიკოლას მაუ (საფ)**-რობერტ ფარა (კოლ) 3:6, 6:7(4), 6:2, 6:4, 6:0; **რაფაელ ნადალი (ესპ, 2)**-ანდრეი გოლუბევი (ყაზ) 6:3, 7:6(1), 7:5.



კალათბურთი. ახალი ამბები

# დურანტულას 59 ქულა

წინა ნომერში ვწერდით იმის შესახებ, რომ „მაიამი ჰიტის“ ლიდერი **ლებრონ ჯეიმსი** დათანხმდა საჩვენებელ მატჩში თამაშს, რომელშიც ერთმანეთს უნდა შეხვედროდნენ ბალტიმორისა და ვაშინგტონის ვარსკვლავები. გამარჯვება ბალტიმორმა მოიპოვა, რომლის რიგებში სწორედ ლებრონი თამაშობდა - 149:141.

მატჩის ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი იყო **კევინ დურანტი**, რომელიც ვაშინგტონის რიგებში გამოდიოდა - მის ანგარიშზე 59 ქულა იყო. რაც შეეხება ჯეიმსს, ის 38 ქულით დაკმაყოფილდა.

ბალტიმორში ლებრონის გარდა **კარმელო ენტონი, კრის პოლი, გერი ნილი** და **ჯოშ სელბი** თამაშობდნენ. ვაშინგტონის ინტერესებს დურანტის გარდა **ჯეფ გრინი, ოსტინ დეი, ჯარეტ ჯეკი** და **როჯერ მეისონი** იცავდნენ.



კევინ დურანტი გუშინდელი მატჩის დროს

■ ■ ■

„მინესოტა ტიმბერვულვზი“ კვლავაც მწვრთნელის გარეშეა დარჩენილი. როგორც იცით, კლუბის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებებს აწარმოებდა ვეტერანი სპეციალისტი **რიკ ადელმანი**, მაგრამ „მგლებისგან“ ვერ მიიღო ოფიციალური წინადადება.

ადელმანი მინეაპოლისში ორშაბათს საღამოს ჩავიდა. თავიდან ის „მინესოტას“ გენერალურ მენეჯერს **დევიდ კანს** შეხვდა, სამშაბათს კი კლუბის მფლობელს **გლენ ტეილორს**, მაგრამ მოლაპარაკებებმა შედეგი არ გამოიღო.

■ ■ ■

22 წლის ქალის მკვლელობაში ეჭვმიტანილი **ჯავარის კრიტენტონი** ლოს ანჯელესში გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტებმა დააკავეს. NBA-ის ყოფილი კალათბურთელი მაშინ აიყვანეს, როცა ის აეროპორტში რეგისტრაციას გადიოდა. კრიტენტონი ატლანტაში მიფრინავდა.

კალათბურთელს დაკავებისას წინააღმდეგობა არ გაუწევია, პირიქით, პოლიციასთან თანამშრომლობას დათანხმდა.

შეგახსენებთ, კრიტენტონმა ატლანტაში 22 წლის **ჯულიან ჯონსი** მოკლა. მოთამაშის თქმით, ეს იყო შურისძიება ამა წლის აპრილში განხორციელებული ყაჩაღური ძარცვის გამო.

კალათბურთელის თქმით, ის თავის ნაცნობთან ერთად საპარიკმახეროდან გამოდიოდა, როცა მას ორი შეიარაღებული მოზარდი მიუახლოვდა და ძვირფასეულობა მოსთხოვა. კრიტენტონმა 25 ათას დოლარად შეფასებული შავი ბრილიანტებით გაწყობილი სამაჯური და 30 ათასად შეფასებული ბრილიანტის საათი მისცა მათ.

სწორედ ამის შემდეგ გადაწყვიტა კალათბურთელმა შურისძიება.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**